



კერძო სასოფლო- სამეურნეო სექტორის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში

პროექტი “ფორმალური, არაფორმალური და არაოფიციალური პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში აგრობიზნესის ხელშეწყობისთვის“

2/16/2016

სარჩევი

რეზიუმე.....	3
რეკომენდაციები და წინასწარი მოსაზრებები კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგიასთან დაკავშირებით აგრო-პროფესიულსექტორში.....	14
მეთოდოლოგია.....	19
იმერეთის აგრობიზნესის სექტორის მიმოხილვა	21
პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნულ დონეზე არსებული სისტემა.....	27
მზარდი ყურადღება პროფესიულიგანათლებისადამომზადების სექტორის მიმართ	27
პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრები საქართველოში.....	29
საგანზე ორიენტირებულიდან მოდულზე ორიენტირებულ მიდგომამდე	31
ეროვნულ დონეზე არსებული პროფესიული განათლებისა და მომზადების სტრატეგიები	35
სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებები იმერეთში	40
კერძო სექტორის ჩართულობა იმერეთში	43
იმერეთში არსებული პარტნიორი პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებების კერძო სექტორთან თანამშრომლობა დღეის მდგომარეობით.....	43
სხვა პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებების გამოცდილება კერძო სექტორთან თანამშრომლობის კუთხით	45
ბიზნეს სექტორის დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ	47
არაფორმალური და არაოფიციალური პროფესიული განათლება	51
საერთაშორისო პრაქტიკა.....	53
გაერთიანებული სამეფო.....	53
რეფორმები 2010 წლიდან	55
კერძო სექტორის ჩართულობის ინტენსივობა და ხასიათი	57
პრობლემები კერძო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებით და მიღებული გამოცდილება.....	58
ჩეხეთის რესპუბლიკა	62
სოციალური პარტნიორობის განვითარება პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში.....	62
სტაჟირებები კომპანიებში – განათლება პრაქტიკის მეშვეობით (2012 –2014)	65
კერძო სექტორის ჩართულობის ფინანსური მოტივატორები	66
ესტონეთი	68
პროფესიული განათლებისა და მომზადების მთავარი მახასიათებლები ესტონეთში.....	68
არაფორმალური განათლება	71

დამსაქმებლების ჩართულობა	72
გამოწვევები	73
დანართი 1: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული შრომის ბაზრის კვლევის მთავარი რელევანტური საკითხების მოკლე მიმოხილვა.....	75
დანართი 2: ინტერვიუების და ფოკუს-ჯგუფების სია	77

რეზიუმე

წინამდებარე კვლევა განხორციელდა იმერეთის ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და მომზადების პროექტის ფარგლებში. აღნიშნული პროექტის მიზანია ფორმალური, არაფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრების მიერ შემოთავაზებული უნარებისა და კვალიფიკაციის აგრობიზნესის შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის გაუმჯობესება. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანების განხორციელებით:

- პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრებს, კერძო აგრობიზნესსა და სხვა სოციალურ და სამთავრობო პარტნიორებს შორის პარტნიორობის გაუმჯობესება;
- აგრობიზნესის შრომით ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის ხარისხისა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- პროფესიული განათლებისა და გადამზადების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა; და
- საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს, ფერმერებსა და უმუშევარ პირებს შორის პროფესიული განათლებისა და გადამზადების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

კვლევის წინამდებარე ნაწილი, პირველ რიგში, მიზნად ისახავს ჩამოთვლილთაგან პირველი ამოცანის მხარდაჭერას. კვლევა ანალიზებს იმ არსებული მეთოდებს, რომლებსაც იყენებენ სამთავრობო, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლებისა და გადამზადების სუბიექტები კერძო სექტორთან დაკავშირებისა და თანამშრომლობისთვის. აღნიშნული მეთოდების შეფასება ხდება როგორც პროცესში ჩართულ, ასევე სხვა სუბიექტებთან განხილვების საფუძველზე. და ბოლოს, აღნიშნული დოკუმენტი საკითხს განიხილავს საერთაშორისო პრაქტიკის კონტექსტში. დოკუმენტის ამოცანაა, წარმოადგინოს პირველადი რეკომენდაციები პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორს, კერძოდ კი აღნიშნული პროექტის იმერეთის პარტნიორ ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ჩვენი კვლევა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. იმერეთის სასოფლო-სამეურნეო სექტორთან დაკავშირებით მაკრო-მონაცემები შეგროვდა საქსტატის დახმარებითა და მთავრობის მიერ დაფინანსებულ საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურებთან განხილვების შედეგად ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებისა და კერძო სექტორის ჩართულობით. აღნიშნული საჭირო იყო კერძო სექტორთან ურთიერთობის ანალიზის კონტექსტის მოსამზადებლად. პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული მაკრო-მონაცემები წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. გაერთიანებული სამეფოს, ესტონეთის და ჩეხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო პრაქტიკასთან დაკავშირებით ინფორმაცია ძირითადად მოპოვებული იქნა სამაგიდო კვლევების საშუალებით.

იმერეთის კერძო სექტორის აღქმასა და შეხედულებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად ჩვენ შევქმენით კერძო სექტორის სუბიექტების სია (რაც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრებისთვის), რომელშიც

გაერთიანებულია საქსტატიდან მიღებული 'რეგისტრირებული და მოქმედი ბიზნესების' სია, სამთავრობოსაინფორმაციოდასაკონსულტაციოცენტრებიდან, პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრებისა და ადგილობრივი ექსპერტებისგანმიღებული მონაცემები. ჩვენ ჩავატარეთ 40 ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის, კოოპერატივებთან ისევე, როგორც პროფესიული განათლებისა და გადამზადების მომწოდებლებთან და დარგობრივი კომიტეტებისა და დარგობრივი სამუშაო ჯგუფების წევრებთან. ჩვენ ასევე მოვახდინეთ პროექტის პარტნიორი პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრების მასწავლებლების ორი ფოკუს-ჯგუფისა და მოსწავლეების ოთხი ფოკუს-ჯგუფის ორგანიზება.

იმერეთი სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონია საქართველოში. აღნიშნული რეგიონი აწარმოებს ქვეყნის სიმინდის მარაგის ერთ მეოთხედზე მეტს, ყურძნის 17%-ს, თხილის 15%-ს (რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის უმსხვილეს საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს) და ხილის 11%-ს. იმერეთი ფლობს ასევე ქვეყნის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 17%-ს, ღორების 16%-ს, ქათმების 18%-სა და ფუტკრის 4%-ს.

დანარჩენი საქართველოს მსგავსად, იმერეთშიც სასოფლო მეურნეობა შესაძლებელია დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად: კომერციული ფერმები და მცირე საოჯახო ტიპის ფერმები. კომერციული სასოფლო მეურნეობა ფართომასშტაბიანად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ზომის, არამედ კაპიტალის საინვესტიციო დონისა და გამოყენებული ტექნიკური უნარების მხედველობაში მიღებით. მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, საქართველოში არის დიდი და კარგად დაფინანსებული კომერციული ფერმები, რომლებიც საქმიანობას მაღალი საერთაშორისო სტანდარტებით ახორციელებენ. მეორეს მხრივ, მცირე საოჯახო ტიპის ფერმები, როგორც წესი, მრავალკულტურიანია და მისი ზომა მერყეობს 0.7-1.5 ჰექტარს შორის. ასეთი ფერმების კაპიტალდაბანდება საკმაოდ მცირეა და ძირითადად თვითმომხმარებაზეა ორიენტირებული.

დიდ კომერციულ ფერმებსა და თვითმომხმარებაზე ორიენტირებულ მცირე საოჯახო ტიპის ფერმებს შორისბევრი „შუალედური“ მეურნეობაა. თუმცა, ორ უხემ კატეგორიას შორის არსებული განსხვავება მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნებისთვის, რამდენადაც არსებული უნარების დონე, საჭირო უნარების დონე და რომელიმე ჯგუფთან თანამშრომლობის პროფილი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება.ზოგადად, კომერციულ ფერმებს მოთხოვნა აქვთ კვალიფიციურ მუშახელსა და მენეჯმენტზე, ხოლო პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების მიერ შემოთავაზებული ტრენინგები ამ სექტორში არასაკმარისი და არასანდოა.შესაბამისად, დიდ კომერციული ფერმებს მუშახელის მოძებნა უნივერსიტეტებში და საერთაშორისო მასშტაბითაც კი უწევთ. მეორეს მხრივ, პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების მიერ შემოთავაზებული ტრენინგები, როგორც წესი, ძალიან ინტენსიურია, მოითხოვს ზედმეტად დიდ შრომას და ფერმერების უმრავლესობისთვის ზედმეტად სპეციალიზებულია.

სოფლისმეურნეობისკომერციულისექტორიმხოლოდმსხვილიძირითადიმწარმოებლებისგან არ შედგება. იგიასევემოიცავსსოფლის მეურნეობის პროდუქტისმომწოდებლებს, ვეტერინარებსადადამწარმოებლებს.ჩვენ მრავალიწყაროს გამოყენებითშევექმენითიმერეთის 335 სასოფლო-სამეურნეობიზნეს სუბიექტის სია. აქედან,მხოლოდოთხისუბიექტია

მიჩნეული როგორც მსხვილი მეწარმე (სუბიექტი, რომელსაც აქვს დაახლოებით 1 მილიონი ლარის ბრუნვა ან ყავს 100-ზე მეტი თანამშრომელი), 23 მიჩნეულია საშუალოდ, ხოლო დანარჩენი მცირე მეწარმედ ანარარის კლასიფიცირებული. ოთხი მსხვილი მეწარმიდან სამი თხილის წარმოებაზეა ორიენტირებული, ხოლო მეთხუთხუთმეტი ტექსტილის წარმოებაზეა ორიენტირებული. 114 კოოპერატივი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროექტისთვის მნიშვნელოვანი იყო ფორმალური და კომერციული სოფლის მეურნეობის სუბიექტების იდენტიფიცირება, რადგანაც ისინი პროფესიული სწავლების აშკარად მომხმარებლებს წარმოადგენენ, სოფლის მეურნეობის სექტორის უდიდესი ნაწილი როგორც რეგიონში, ისე მთლიანად საქართველოში, მცირე ტიპის საოჯახო ფერმებისგან შედგება. ამ ფერმების საკუთრებაში არსებული ნაკვეთები 0.5-დან ორი ჰექტარამდე მერყეობს, აწარმოებენ სხვადასხვანაირს და, როგორც წესი, 1-5 ძროხა და უფრო მცირე რაოდენობის ღორი და ქათამი ყავთ.

მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების გაანალიზებაც, რომელთა წინაშეც დგას უმეტესად მცირე საოჯახო ტიპის ფერმებისგან შემდგარი სოფლის მეურნეობის თემები. ასევე მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნას მიღებული ის განსხვავებები, რომლებიც არსებობს ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებულ მცირე საოჯახო ფერმებსა და იმ მეურნეობებს შორის, რომლებიც მხოლოდ საარსებო საშუალებას გამოიმუშავენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებისა და მომზადებისთვის, რადგან, იმ შემთხვევაში, თუ სწავლების სუბიექტები აპირებენ მცირე საოჯახო ტიპის ფერმებთან დაკავშირებას, მან უნდა შეძლოს ამ ფერმების უფრო კომერციული ასპექტების იდენტიფიცირება.

სოფლის მეურნეობის თემების საქართველოში განიცდიან საკმაოდ ქრონიკული უმუშევრობას. უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი შეიძლება უფრო დაბალია სოფლადვიდრე ქალაქში, მაგრამ ესაიხსნება იმით, რომ საარსებო მინიმუმის გამო მუშაობაზე ორიენტირებული ფერმერები ითვლებიან დასაქმებულად მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გამოიმუშავებული ფულადი რეზერვები ძალიან დაბალია ქვეყანაში არსებულ საშუალო შემოსავალთან შედარებით. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობაში ითვით დასაქმებული პირების შემოსავალი, ქვეყანაში არსებული საშუალო შემოსავლის დაახლოებით 20%-ს წარმოადგენს. შედეგად, დამატებითი შემოსავლის წყაროს გარეშე მოფიჭვის პირები, რომლებიც მხოლოდ საარსებო საშუალებაზე ორიენტირებულ სოფლის მეურნეობას ეყრდნობიან, მიეკუთვნებიან საქართველოს ყველაზე დაბალი მოსახლეობას.

სოფლის მოსახლეობას აქვს ფულადი შემოსავლების რამდენიმე პოტენციური წყარო, თუმცა ანაზღაურებადი დასაქმება არ არის ყველაზე გავრცელებული წყარო. ოფიციალურის ტატიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ანაზღაურებადის ამ სახურის მქონე პირების პროცენტული რაოდენობა საქართველოს სოფლებში შესაძლებელია არ აღემატებოდეს 20%-ს. სხვა წყაროები ვარაუდობენ, რომ სოფლის მოსახლეობის ერთ მესამედს აქვს ანაზღაურებადი შემოსავლის მინიმუმ ერთი წყარო. ეს შემოსავალი, როგორც წესი, დაკავშირებულია მთავრობის (მათ შორის, მასწავლებლები), სამედიცინო მომსახურების სფეროსა და კომუნალურ კომპანიებში

დასაქმებასთან. დასაქმებაზე უფროფართოდ გავრცელებული შემოსავლის წყაროამთავრობისდახმარებები, უმეტესადპენსიებისსახით. მიზნობრივისოციალურიდახმარებასევემნიშვნელოვანია. აღნიშნულიფარავსსოფლისმოსახლეობის დაახლოებითორმესამედს. გარდაამისა, სოფლის მაცხოვრებლების დაახლოებით 12% აცხადებს, რომისინიიღებენშემოსავალსსაერთაშორისოწყაროებიდანდახოლო დამატებით 12% ამბობს, რომფულს უგზავნიანქალაქში მცხოვრები ოჯახისწევრები.

და ბოლოს, სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული შემოსავლის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი პროდუქტის წარმოება ხდება. ამას მნიშვნელოვანი გავლენა აქვსპროფესიული განათლებისა და მომზადების სავარაუდო გამოყენებაზე. ოჯახური მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი არის მიწის ხარისხი და მოცემული მიწის ნაკვეთის რესურსები. მიწის ნაკვეთები, რომელზეც გაშენებულია თხილი ან ხეხილი, კარგი საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების მქონე მიწის ნაკვეთები და ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც ახლოს მდებარეობს ან დაკავშირებულია ქონებასთან, მნიშვნელოვნად უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე ის მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ეს თვისებები არ გააჩნიათ. აღნიშნულიგანსხვავებაწარმოადგენს გონივრული ინვესტიციის საწყის წერტილს.

ჩვენი კვლევა ასევე მიმოიხილავსსაქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადებისსისტემას სოფლის მეურნეობის და კონკრეტულადიმერეთის კონტექსტში. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის მიმართ დაბალი მოლოდინები და დაბალი ინტერესი არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ განვითარების საზოგადოებამ გამოამყდავანა მნიშვნელოვანი ინტერესი ამ მიმართულების გაუმჯობესების ხელშეწყობის კუთხით, დაახლოებით 2012 წლამდე მთავრობა არ იყო მზად, რომ გამოეყო მნიშვნელოვანი რესურსები სექტორის განვითარებისთვის. ამან, რა თქმა უნდა, განაპირობასექტორის მიმართცუდი აღქმა და დაბალი მოლოდინები,რამდენადაცამ მიმართულებით არ ხდებოდა ან თითქმის არ ხდებოდა ინფრასტრუქტურული ან პედაგოგიური განვითარება და ზოგადად მხოლოდ იმ პირთა ყურადღებას იპყრობდა, რომლებმაცვერშემდეგს უნივერსიტეტებში ჩაბარება.

მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პროფესიული განათლებისა და გადამზადებისთვის დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა - 2011 წლის ნიშნულთან შედარებით დაფინანსების მაჩვენებელმა 500%-ზე მეტითმოიმატა. დიდი ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სასწავლო გეგმის შემუშავებასაც. თუმცა, აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი ცვლილება. ზოგიერთ სექტორში განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოების ძლიერი და მდგრადი ბიძგის კერძო სექტორის მხარდაჭერის შედეგადმოხდა მნიშვნელოვანი და მდგრადი გაუმჯობესება, განსაკუთრებით მშენებლობის და ტურიზმის სფეროში. სოფლის მეურნეობის მიმართ ინტერესის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ერთ-ერთ პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრში, რომელიც წლების განმავლობაში ფინანსდებოდა UNDP-ის მიერ, თუმცა, ამ ეტაპზე სტუდენტებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებით კვლავ ნეგატიური აღქმა აქვთ.

საჯარო სექტორის მცირე დაფინანსების შესაბამისად, საქართველოში მხოლოდ 17 საჯარო და 72 კერძო პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრია. შედეგად, საჯარო

ცენტრებში მხოლოდ დაახლოებით 3 300 ადგილია ხელმისაწვდომი, საიდანაც მხოლოდ 190 ადგილია განკუთვნილი სოფლის მეურნეობის მიმართულებისთვის. გარდა ამისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყნის მასშტაბით სულ დაახლოებით 2 500 ადგილს ითვალისწინებს პროფესიული განათლებისა და მომზადებისთვის, საიდანაც სოფლის მეურნეობაზე ალბათ მიმართულია 10%. ეს დაბალი მაჩვენებელია და საზოგადოებრივი აღქმის შეცვლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება არის ის, რომ რთულია ნებისმიერი ტიპის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეროვნული კამპანიისთვის რესურსების ხარჯვის გამართლება ასეთი მცირე რაოდენობის ადგილების გათვალისწინებით.

პროფესიული განათლებისა და მომზადების რეფორმირების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა დღეს არსებული ტრადიციული მიდგომა სრულიად ჩაანაცვლოს მოდულზე ორიენტირებული მიდგომით. მოდულზე ორიენტირებული მიდგომის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტს შეუძლია თავად აირჩიოს ის მოდულები, რომლებიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მის პროფესიას და გამოტოვოს ისინი, რომლებიც მის პროფესიას არ შეესაბამება. ამ ეტაპზე, ქვეყნის მასშტაბით, 50-ზე მეტი მოდულზე ორიენტირებული პროგრამაა. მოსალოდნელია, რომ 2017 წლისთვის პროფესიული განათლებისა და მომზადების ყველა პროგრამა მოდულზე ორიენტირებული იქნება.

კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიულ განათლებასა და მომზადებაში

ხელისუფლება, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოება, მიიჩნევს, რომ კერძო სექტორის ჩართულობა გადამწყვეტია პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის განვითარებისთვის, რადგან კერძო სექტორს ყველაზე უკეთ შეუძლია მოახდინოს დაუყოვნებლივ გამოყენებადი პროფესიული უნარების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, რამდენადაც ბევრი პროფესიული უნარის განვითარება მხოლოდ სამუშაო ადგილზეა შესაძლებელი, პროფესიული განათლება და მომზადება დიდ როლს ასრულებს სამუშაო ადგილზე სწავლების კუთხით.

სწორედ ამის გამო, კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და მომზადების კუთხით არსებული მთავრობის პოლიტიკის აშკარა ნაწილია. მიუხედავად ამისა, როგორც ამას კერძო სექტორის განხილვისას დავინახავთ, ძალიან რთულია მათი ჩართულობის უზრუნველყოფა თუნდაც ამისთვის ყველაზე ხელსაყრელ დროს. ამის მიღწევა რთულია ისეთი ქვეყნებისთვისაც კი, როგორცაა გაერთიანებული სამეფო, რომელსაც უფრო მეტი დიდი კომპანია და ბევრად უკეთესი ეკონომიკა აქვს. საქართველოში, სადაც ამგვარი ინიციატივები შედარებით ახალია, კომპანიები უფრო მცირე ზომისაა და ტრენინგებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი უფრო შეზღუდულია, უფრო რთულია საჯარო/კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა.

საქართველოში კერძო სექტორის ჩართულობა ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების მეშვეობით. ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭო. საბჭო აერთიანებს სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებს, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიული განათლების სექტორის ევოლუციასთან დაკავშირებით რჩევების მიცემა. საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და შედგება მთავრობის ექვსი წარმომადგენლის (მინისტრის მოადგილეები), დამსაქმებელთა ასოციაციების მიერ დასახელებული ექვსი წევრის, პროფკავშირების მიერ დასახელებული ექვსი წევრისა და სამოქალაქო

საზოგადოების მიერ დასახელებული ექვსი წევრისაგან. 2015 წელს საბჭოს ორი სხდომა ჰქონდა გაფართოებული შემადგენლობით, სადაც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები. საბჭოს სხდომები, როგორც წესი, ეთმობა ახალი ინიციატივებისა და პროექტების პრეზენტაციას ისევე, როგორც პროფესიული განათლებისა და მომზადების რეფორმის პროგრეს-ანგარიშის განხილვას. ჩვენ შევეცადეთ ჩვენი კვლევის მიზნებისთვის დავკავშირებოდითამ ჯგუფის დაინტერესებულ მხარეებს, კერძოდ, ფერმერთა ასოციაციასა და მიკროსაფინანსო ასოციაციას - რომლებიც ორიენტირებული არიან კონკრეტულად სოფლის მეურნეობაზე - თუმცა, წარუმატებლად.

კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფის მეორე მექანიზმია დარგობრივი საბჭოები. საქართველოში სულ 11 დარგობრივი საბჭოა და აქედან ერთი სოფლის მეურნეობას ეხება. დარგობრივი საბჭოების მთავარი ფუნქციაა პროფესიული სტანდარტების განხილვა და შემუშავება. ყოველი საბჭო შედგება ცხრა წევრისგან, რომელთაგან სამი დასახელებულია პროფკავშირების მიერ, ერთი წევრი კერძო კოლეჯებიდან არის, ერთი - პროფესიული განათლებისა და მომზადების სახელმწიფო ცენტრებიდან, ერთი - სოფლის მეურნეობის სამინისტროდან და სამი - დამსაქმებელთა ასოციაციიდან.

დარგობრივ საბჭოში განსახილველად წარმოდგენილი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებისთვის პროფესიულ სტანდარტებს შესაბამისი დარგობრივი სამუშაო ჯგუფები ამზადებენ. 2015 წელს სოფლის მეურნეობის დარგის საბჭომ სოფლის მეურნეობის სფეროს რვა პროფესიული სტანდარტი განიხილა. დარგობრივი სამუშაო ჯგუფები შედგება 10-15 წევრისგან და მათ მუშაობას მხარს უჭერს და ეხმარება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

მართალია, ჩანს, რომ აღნიშნული მექანიზმი ჩართულობის რამდენიმე განზომილებას გვთავაზობს, მაგრამ სინამდვილეში, კერძო სექტორის რეალური წვლილი ამ პროცესში მეტად მცირეა. პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო თანამშრომლობს არა უშუალოდ ბიზნეს-სექტორთან, არამედ ბიზნეს-ასოციაციებთან. ხოლო ბიზნეს-ასოციაციები, რომლებსაც ისინი ეკონტაქტებიან, ძირითადად მცირე ბიზნესს (როგორცაა დამსაქმებელთა ასოციაცია) ან მცირე ფერმერებს (როგორცაა ფერმერთა ასოციაცია) წარმოადგენენ. აღნიშნულ კერძო პირებს კი ხშირად არ აქვთ საკმარისი დრო და რესურსი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამაში ჩართვისთვის და, როგორც წესი, არ არიან მსხვილი დამსაქმებლები.

დარგობრივი საბჭოების საერთო მახასიათებელია ის, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ ჯგუფებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან კერძო სექტორს. კერძო სექტორთან სოფლის მეურნეობის დარგობრივი საბჭოს თანამშრომლობის სამ სუბიექტს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო სფეროს მიმწოდებელი, თევზის ფერმა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრი. ეს სუბიექტები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ქვედარგში მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად კარგ საშუალებას არ წარმოადგენენ.

დარგობრივ სამუშაო ჯგუფებში - სხვადასხვა სპეციალობებისთვის განვითარების სტანდარტების შემუშავებაზე პასუხისმგებელი მექანიზმი - სიტუაცია ცოტა სხვაგვარია. 2015 წელს შექმნილი რვა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის 137 წევრიდან 83 კერძო სექტორის წარმომადგენელი იყო. თუმცა, მათი ჩართულობის ინტერესი ყოველთვის ერთნაირი არ არის.

ზოგიერთი ბიზნეს-სუბიექტის რამდენიმე წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას დარგობრივ სამუშაო ჯგუფებში, თუმცა, ზოგი საერთოდ არ მონაწილეობდა.

ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას არ უნდა კერძო სექტორთან თანამშრომლობა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ვერ ხერხდება. ეს აშკარა პრობლემას წარმოადგენს. პროფკავშირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების წვლილი ღირებულია, მაგრამ ეს ჯგუფები ძალიან ცუდი საშუალებაა სამუშაო ბაზრის მოთხოვნების ნათლად წარმოჩენისთვის.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებს კერძო სექტორთან თანამშრომლობა რამდენიმე გზით შეუძლიათ. შესაძლებელია კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართვა სამეთვალყურეო საბჭოების მუშაობაში, მათი მოსაზრებების წარმოდგენა სილაბუსებზე და პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებებში სწავლების განხორციელება მათ მიერ. თუმცა, პირველ რიგში, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროფესიული განათლებისა და მომზადების სტუდენტებისთვის ისეთი შესაძლებლობების შეთავაზებით, როგორცაა სასწავლო და სამუშაო პრაქტიკა. ჩვენი პროექტი ორ მთავარ პარტნიორთან თანამშრომლობს, ესენია საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია და აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის (აწსუ) აგრარული ფაკულტეტი. კერძო სექტორთან მათი ჩართულობის ხარისხის გაანალიზებამდე მნიშვნელოვანია განვიხილოთ მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამები.

საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ორ კურსს გვთავაზობს: მეფუტკრეობა და დეკორატიული ყვავილების მოშენება. ამ კურსების მონაწილე სტუდენტებს, როგორც წესი, უკვე მიღებული აქვთ ხარისხი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კოლეჯი ცდილობს მკვეთრად გააფართოვოს თავისი აგრარული კურსი, რომ მოიცვას ისეთი მიმართულებები, როგორცაა ფერმერის პროფესია, ხილის გადამამუშავების პროფესია, რძის გადამამუშავების პროფესია, ვეტერინარია, მძიმე ტექნიკის მემანქანის/ტექნიკოსის პროფესია და საჩითილე მეურნეობის პროფესია. ქუთაისსა და ბაღდათში არსებული მათი დაწესებულებები საკმაოდ ახალია; ახლახანს ცენტრალური ხელისუფლებისგან მათ მიიღეს გრანტი ფერმის ასაშენებლად, რომელიც დაიტევს 20 მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს (ძროხა), რომელთა საშუალებით განხორციელდება რძის პროდუქტების წარმოების სწავლება. მიუხედავად ამისა, მათი ნებისმიერი გეგმის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მათ ხელში ამჟამად არსებული რესურსები მცირეა.

აწსუ-ს პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამა საკმაოდ დიდია და მასში 430 სტუდენტი მონაწილეობს (მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით). აგრარული ფაკულტეტი 10 საგანს მოიცავს, საიდანაც მხოლოდ ექვსია კონკრეტულად სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული და წელს მხოლოდ ორმა მათგანმა მოახერხა სტუდენტების დაინტერესება: აგრო-ლოგისტიკის სისტემები და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კურსი ითვალისწინებს აგრობიზნესის მენეჯმენტთან დაკავშირებულ საგნებს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, აწსუ-მ სულ 7 პროფესიულ პროგრამაზე გამოაცხადა მიღება 2015-2016 აკადემიური წლებისთვის. სხვა პროგრამები არ ფუნქციონირებენ და უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ მათზე მოთხოვნა არ არსებობს. აწსუ-ში ასევე განიხილება

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ისეთი საგნების დამატება, როგორცაა ფერმერობა, მეზღვეობა და მეფუტკრეობა.

სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის ჩართულობა მინიმალურია. საზოგადოებრივ კოლეჯ იბერიას, როგორც პროფესიული განათლების და მომზადების დაწესებულებას, ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის მხოლოდ ერთი მონაწილეა კერძო სექტორის წარმომადგენელი (რომელიც არ არის სოფლის მეურნეობის სფეროდან). სოფლის მეურნეობის საგნებთან დაკავშირებით მათ სამი პარტნიორი ჰყავთ, საიდანაც თითოეული მათგანი სტუდენტებს ასწავლის და სთავაზობს სამუშაო პრაქტიკას.

მეორეს მხრივ, აწსუ-მ წარმოგვიდგინა 22 კერძო სექტორის ორგანიზაციის სია, რომლებთანაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს. ამ ორგანიზაციების ნაწილმა უარყო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფაქტი, თუმცა, მათგან უმეტესობა არ იყო სოფლის მეურნეობის სფეროდან. აწსუ-ს მიერ ჩამოთვლილი იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც სოფლის მეურნეობის სფეროს მიეკუთვნებიან, ჩვენ მოვახერხეთ ხუთ მათგანთან გასაუბრება. ამ ორგანიზაციების უმრავლესობა სტუდენტებს სამუშაო პრაქტიკას სთავაზობს. სამუშაო პრაქტიკა შესაძლოა უკავშირდებოდეს კერძო სექტორის ორგანიზაციისთვის პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრის მიერ გარკვეული თანხის გადახდას, თუმცა, ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ჩართულობის მთავარი მიზეზი იყო შესაძლო დამსაქმებლების მიერ პოტენციური მუშახელის იდენტიფიცირება.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებს კერძო სექტორთან მათი თანამშრომლობის ხარისხთან დაკავშირებით, როგორც წესი, ბევრი არაფრის თქმა შეუძლიათ. ყველა იმ განხილვებიდან, რომლებშიც ჩვენ ვმონაწილეობდით, გაირკვა, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრები კერძო სექტორთან თანამშრომლობის დასამყარებლად მხოლოდ პირად კონტაქტებს ეყრდნობიან. განიხილებოდა იდეა, რომ კერძო სექტორთან კონტაქტის დამყარება ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით მოეხდინათ, თუმცა, ეს ძალიან საეჭვოა.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების მიმართ კერძო სექტორის დამოკიდებულება არასახარბიელოა. ჩვენ ვესაუბრეთ სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე 40 ბიზნესის წარმომადგენელს, რომელთაგან 10-ს უთანამშრომლია პროფესიულ სასწავლებლებთან, ხოლო 30-ს -- არა. ამ უკანასკნელი ჯგუფიდან მხოლოდ რვა აფასებდა დადებითად ზოგადად პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორს, ხოლო პროფესიული განათლების მიმწოდებლების 10 პარტნიორიდან არც ერთმა არ შეაფასა ეს თანამშრომლობა პოზიტიურად (ექვსმა უარყოფითად შეაფასა, ოთხმა კი - ნეიტრალურად). აღნიშნული მაჩვენებელი სრულად შეესაბამება ჩვენს გამოცდილებას, რომ კერძო სექტორს პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების მიმართ არასახარბიელო დამოკიდებულება აქვთ და რომ, პირველ რიგში, ისინი ვერ ახერხებენ მაღალი მოსწრების სტუდენტების დაინტერესებას. ის ფაქტი, რომ მხოლოდ რვა იმ ბიზნესებიდან, რომლებიც არ თანამშრომლობენ პროფესიული განათლების მიმწოდებლებთან) ბიზნესს საერთოდ ჰქონდა ინფორმაცია იმერეთში პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების არსებობის შესახებ, მისატევებელია იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები, რომლებიც მათ სამუშაოს შეესაბამებიან, ამ რეგიონში არ სწავლობენ (რადგანაც შეთავაზებული კურსები ძალიან ვიწრო პროფილისაა). მიუხედავად ამისა, ინფორმაციის არარსებობა განამტკიცებს

კერძო სექტორის აპათიურ დამოკიდებულებას პროფესიული განათლებისა და მომზადების მიმართ.

თუ ფორმალურ პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორსა და იმ ფერმებს შორის, რომლებსაც ჩვენ კომერციულს ვუწოდებთ, მჭიდრო კავშირი არ არის, მცირე საოჯახო ტიპის ფერმებთან ასეთი კავშირი საერთოდ არ არსებობს. ჩვენი პარტნიორებიდან არცერთს აქვს პირდაპირი კავშირი მცირე ფერმერთან. ამ ეტაპზე ჩვენ ვატარებთ კვლევას, რომელიც მოიცავს რეგიონში არსებული მცირე ფერმერების გამოკითხვას და შევაფასებთ პროფესიული განათლებისა და მომზადების მიმართ მათ დამოკიდებულებას. ამჟამად ჩვენი მცდელობა შემოიფარგლება პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორსა დაფერმერებს შორის კონტაქტების დამყარების ან ვერ-დამყარების გზების, პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციისა და 2013 წელს ხელისუფლების მიერ დაფუძნებულ საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურებთან ჩვენი განხილვების მიმოხილვით.

GeoWel-ის მიერ განხორციელებული ვრცელი კვლევიდან ჩვენ ვიცით, რომ მცირე საოჯახო ტიპის მეწარმეებს ინფორმაციის ძალიან ცოტა სანდო წყაროზე მიუწვდებათ ხელი. ისინი ეყრდნობიან სიტყვიერ და სხვა არაფორმალურ ინფორმაციებს. მათგან ბევრი გამოთქვამს უკმაყოფილებას ინფორმაციის სანდო წყაროების არარსებობასთან დაკავშირებით. სხვადასხვა ქვე-დარგებში ჩატარებული სხვა კვლევითი პროექტებიდან ვიცით, რომ მცირე ფერმერებს მუდმივად აქვთ საბაზისო ინფორმაციის პრობლემა ისეთ მარტივ საკითხებზე, როგორცაა რომელი სასუქები და პესტიციდები გამოიყენება დარგვის, მორწყვის, გასხვლისა და მოსავლის აღების დროს. ასეთივე საბაზისო ინფორმაციის დეფიციტი არსებობს მეცხოველეობის სფეროში. შესაბამისად, პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიღწევა შესაძლებელია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განვითარების ყველაზე მარტივი გზებით.

ინფორმაციის ერთ-ერთი რეგულარული წყარო პროცესში მონაწილე სუბიექტები არიან. ამ ინფორმაციის გაცემამ შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს, თუმცა, მრავალმა კვლევამ და საქართველოში განხორციელებულმა განვითარების ხელშეწყობის რამდენიმე პროექტმა აჩვენა, რომ მონაწილე სუბიექტებისგან ინფორმაციის მიღების გაუმჯობესება შესაძლოა ორმხრივად სასარგებლო იყოს. ინფორმაციის აღნიშნული წყაროდან მიღება შესაძლოა სასარგებლო იყოს როგორც მარცვლეულის წარმოებისთვის, ასევე მეცხოველეობისთვის. მემცენარეობისთვის ინფორმაცია შესაძლოა მიღებულ იქნეს იმ მაღაზიებისგან, რომლებიც ყიდიან მარცვლეულს, სასუქსა და პესტიციდებს. ცხოველთა მოვლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვეტერინარებისგან, მაგრამ ვეტერინარების მცირე რაოდენობა და მათი მხოლოდ ვაქცინაციისთვის გამოყენება ამ შემთხვევაში დაბრკოლებას წარმოადგენს. თუმცა, ვეტერინარებისთვის წამლების მიმწოდებლები შესაძლოა ინფორმაციის ღირებული წყარო იყოს და მათი რჩევები ისეთივე სასარგებლო იყოს, როგორცაა, მაგალითად, ფართოდ გავრცელებულ დაავადებებთან დაკავშირებით ფარმაცევტის რჩევა ექიმის არარსებობის დროს.

ფართო გაგებით, როგორც ვიცით, სიახლეებისა და ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყარო ტელევიზიაა. სოფლის მეურნეობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საერთო თანხმობის დამსახურებით, განსაკუთრებით რეგიონულ სატელევიზიო არხებზე, გაჩნდა

ზოგიერთი ისეთი სატელევიზიო გადაცემა, სადაც განიხილავენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ თემებს. მიუხედავად ამისა, ასეთი პროგრამები არარეგულარული ხასიათისაა და გადაცემაში ვითარდება გამიზნულის წავლებისათვის.

განხილული გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლებამ 2013 წელს შექმნა საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურები. აღნიშნული სამსახურების ფუნქციაა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის გარემოსთვის თვალყურის დევნება და ფერმერების დახმარება. თუმცა, დღეს ისინი რესურსების სიმცირეს განიცდიან და მართალია, არსებობდა იდეა, რომ ისინი შესაძლოა მომავალში გამხდარიყვნენ ინფორმაციის გავრცელების კარგი წყარო, ამ ეტაპზე ეს იდეა არარეალურია. აღნიშნული სამსახურები, როგორც ჩანს, მეტად ეფექტურები არიან მუნიციპალურ დონეზე ინფორმაციის შეგროვებისა და აღნიშნული ინფორმაციის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მიწოდების კუთხით. ეს სამსახურები აგრარული ბიზნეს-სუბიექტების იდენტიფიცირების ძალიან სასარგებლო წყარო აღმოჩნდა და შეძლეს მოეწოდებინათ საქსტატის მოწოდებულზე ბევრად უფრო ამომწურვი სია.

ჩვენ ვესაუბრეთ პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის წარმატებულ სუბიექტებს რომ გვეჩვენა, რა გაკვეთილის გაზიარება შეეძლოთ მათ. ეს განხილვები არ წარმოადგენდნენ დაგეგმილი კვლევის ნაწილს, ამიტომ, ამასთან დაკავშირებით შემდეგში იქნება უფრო დეტალური უკუკავშირი „სპექტრი“ თბილისში არსებული პროფესიული განათლებისა და მომზადების დიდი ცენტრია და ფოკუსირებულია მშენებლობაზე. მეორე ასეთივე დიდი ცენტრია „იკაროსი“, რომელიც ტურიზმის სფეროზეა ორიენტირებული. ორივე მათგანს გააჩნია ხელისუფლების ყურადღება და მიღებული აქვთ დიდი თანხები განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისგან. ორივე მათგანმა ასევე მოახერხა კერძო სექტორთან მჭიდრო კავშირის დამყარება. მათ ურთიერთობა აქვთ დიდ და მომგებიან კომპანიებთან. მათი წარმატებულობისა და შესაბამის სფეროებში მათზე მაღალი მოთხოვნის დამსახურებით, სპექტრი ამაყოფს 3 მილიონიანი კერძო ინვესტიციით, ხოლო იკაროსი აღარ საჭიროებს კერძო კომპანიებისთვის მიმართვას. პირიქით, როგორც წესი, კერძო კომპანიები თავად უკავშირდებიან აღნიშნულ კოლეჯებს. ორივე კოლეჯის განცხადებით, კერძო სექტორთან მათი ურთიერთობის ქვაკუთხედიანია ნდობა მაღალი ხარისხის ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით და მეტად პროაქტიული ადამიანური რესურსების დეპარტამენტი.

ჩვენ ასევე ვესაუბრეთ პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრ აისს, რომელიც 2007 წლიდან ფინანსდება UNDP-ის მიერ. ამ დახმარების შედეგად კოლეჯმა შეძლო სადემონსტრაციო ნაკვეთების განვითარება და რეგიონის საინფორმაციო ცენტრად გადაიქცა. შედეგად, მათ განავითარეს მჭიდრო ურთიერთობა 60 სასოფლო-სამეურნეო კომპანიასთან და ადგილობრივ დონეზე მაღალი რეპუტაციაც მოიპოვეს.

და ბოლოს, ჩვენ განვიხილეთ გაერთიანებული სამეფოს, ესტონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითები ინფორმაციის მოსაპოვებლად იმ მეთოდებზე, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში გამოიყენება კერძო სექტორთან თანამშრომლობისთვის. გაერთიანებული სამეფოს მაგალითი ძალიან საინტერესოა. მართალია, გაერთიანებული სამეფოს კონტექსტი სრულიად განსხვავდება საქართველოსგან, მაგრამ არც მას აქვს სოფლის მეურნეობის დარგში კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის დიდი

გამოცდილება. შესაბამისად, ზოგიერთი პრობლემა, რაც არსებობდა ამ ქვეყანაში, გამოსადეგია ჩვენი მიზნებისთვის. გარდა ამისა, 2010 წელს გაერთიანებულ სამეფოში ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში განხორციელებული ცვლილებები შესაძლოა სასარგებლო ინფორმაციას შეიცავდეს.

ისევე, როგორც საქართველოში, გაერთიანებულ სამეფოშიც თანამშრომლობის ძირითადი პლატფორმა დარგობრივი სამუშაო უნარების საბჭოებია, რომლებიც განიხილავენ სტანდარტების ცვლილებებს და გარკვეულ გავლენას ახდენენ კონკრეტული უნარების დაფინანსების პრიორიტეტიზაციაზე. გარდა ამისა, ხელისუფლებამ განცხადება გააკეთა სამუშაო პრაქტიკის როგორც კერძო სექტორსა და პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორს შორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითის უფრო ფართოდ დანერგვასთან დაკავშირებით.

მართალია, განხორციელებული ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სამუშაო პრაქტიკის შესაძლებლობა, მაგრამ პრობლემები მაინც არსებობს. კერძოდ, კერძო სექტორის ჩართულობის წახალისებასთან დაკავშირებით, რაც ხასიათდება დარგობრივი სამუშაო უნარების საბჭოების ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობით და იმ ფაქტით, რომ კერძო სექტორში აღნიშნული საკითხები კარგად არ ესმით. ამ მოვლენების ანალიზის საფუძველზე ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო პრინციპები შესაძლებელია სასარგებლო აღმოჩნდეს კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით:

- განვსაზღვროთ დამსაქმებლის მოლოდინი და განვსაჯოთ ჩართულობის რეალისტური ხარისხი
- შევეცადოთ ჩართულობა იყოს რაც შეიძლება ნაკლებად გართულებული ადმინისტრაციული პროცესი
- ჩართულობის საუკეთესო ხარისხი ჩნდება მაშინ, როცა დამსაქმებელი პირდაპირ კავშირზეა პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრთან საკუთარი გამოცდილი პერსონალის განვითარების მიზნით
- აუცილებელია, განვასხვავოთ ინდივიდუალური დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი უნარების დონეები.

განხილულის მსგავსად, ესტონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითებიც ადასტურებენ, რომ ფინანსური დახმარება შესაძლოა ეფექტური იყოს. მაგალითად, საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლებელია ითვალისწინებდეს პროფესიული განათლების ცენტრების სტუდენტების მიმღები კომპანიების გადასახადებისგან გათავისუფლებას. ხელისუფლების მხარდაჭერით განხორციელებული სტაჟირების პროგრამებიც ეფექტური ჩანს.

საერთო ჯამში, ჩვენი კვლევა საკმაოდ საინტერესო მიმოხილვას წარმოადგენს პროექტისთვის. პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრები საკმაოდ მცირერიცხოვან კურსებს სთავაზობენ სტუდენტებს და ბევრი მათგანი ორიენტირებული არ არის რეგიონის ბაზარზე არსებულ მთავარ შესაძლებლობებზე. შედეგად, კერძო სექტორის სუბიექტებს მათთან თანამშრომლობის ინტერესი თითქმის არ აქვთ. არსებობს თვალთახედვის გაფართოებისა და უფრო სისტემური მიდგომის შემუშავების შესაძლებლობა დაფინანსების გაზრდის გარეშეც კი, თუმცა, ეს სწორად უნდა იყოს გამოიხსნას.

იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდება კურსების შეთავაზება, შესაბამისად გაიზრდება კონტაქტზე გასვლის შესაძლებლობაც, მაგრამ ფორმალური და კომერციაზე ორიენტირებული სუბიექტები რეგიონში სოფლის მეურნეობის სფეროს მცირე ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ, ყველაზე დიდი შედეგის მისაღებად, პროფესიული განათლებისა და მომზადების სუბიექტებმა უნდა მოახერხონ ამ ჯგუფის მიღმა კონტაქტის დამყარება მცირე საოჯახო ტიპის ფერმერებთან. აღნიშნული მოითხოვს ახალ სტრატეგიებსა და კომუნიკაციის ახალ ფორმებს. თუმცა, თუ ამას მიაღწევენ, მათ, შესაძლოა, დიდი ფინანსური მხარდაჭერა მიიღონ ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოებისგან ახლო ან არც ისე შორეულ მომავალში. შესაბამისად, შესაძლოა, კერძო სექტორის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ სრულიად შესაძლებელია მცირე ჯგუფის წევრების დარწმუნება დაფინანსების აუცილებლობაში შემდეგი ეტაპისთვის გადაიდოს. განხილული გზა შესაბამისი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ითვალისწინებს.

რეკომენდაციები და წინასწარი მოსაზრებები კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგიასთან დაკავშირებით აგრო-პროფესიულსექტორში

ეროვნული სტრატეგია

- ამჟამინდელი მდგომარეობა არასახარბიელოა. კერძო სექტორის ჩართულობა შეზღუდულია იმ ეროვნული სტრუქტურების მუშაობაში, სადაც ისინი ჩართულები უნდა იყვნენ. როგორც ჩანს, დარგობრივი საბჭოები და პროფესიული განათლების ეროვნული საბჭოსაკმარისად არ თანამშრომლობს კერძო სექტორთან. ამ უწყებების მუშაობაში ხელისუფლება, პროფკავშირები და აკადემიური წრის წარმომადგენლები უფრო არიან ჩართულები. გამონაკლისია დარგობრივი სამუშაო ჯგუფები, თუმცა, გაურკვეველია, რა გავლენას ახდენს მათი ჩართულობა გარე დაფინანსების მოპოვებაზე.

კერძო სექტორთან თანამშრომლობის სურვილი ცალსახად არსებობს, მაგრამ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, არ აქვს აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო პროგრამა. შესაბამისად, კერძო სექტორის ჩართულობის საფუძვლიანი გადახედვაა საჭირო. სასურველია, პრიორიტეტი მიენიჭოს:

- o იმ დიდი დამსაქმებლების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაინტერესებული არიან კონკრეტული საკითხებით.
- o მაღალი რანგისპოლიტიკოსები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულობები პროცესებში.
- o იმ ბიზნეს სუბიექტების ჩართულობის უზრუნველყოფას, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მათ წევრებთან. ეს პირველრიგში ეხება არა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, არამედ ასოციაციებს, რომლებიც წარმოადგენენ დიდ კომპანიებს, როგორცაა საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, ამერიკის სავაჭრო პალატა და საერთაშორისო სავაჭრო პალატა.¹

¹ინფორმაციისსრულადგაცემისინტერესისთვისმხედველობაშიუნდაიქნესმიღებული, რომანგარიშისავტორიამავდროულადარისამერიკისსავაჭროპალატისაღმასრულებელიდირექტორისაქართველოში. აქედანგამომდინარე, ისძალიანკარგადიცნობსბიზნესასოციაციისპლატფორმას.

- ჩართულობის განსხვავებული რეალური მაჩვენებლის არსებობას ისე, რომ სხვადასხვა სუბიექტებს შეეძლოთ განსხვავებული ხარისხით ჩაერთონ. აქ იგულისხმება ჩართულობის მინიმუმ ხუთი სხვადასხვა ფორმა (ჩვენს მიერ განხორციელებულ გაერთიანებული სამეფოს მოდელის ანალიზზე დაყრდნობით):
 - o დარგობრივ საბჭოებში ჩართული დამსაქმებლების მიერ სტრატეგიის შემუშავება და ხელისუფლებასთან კოორდინირებულად მუშაობა ისევე, როგორც საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დახმარების შესაძლებლობა.
 - o კვალიფიკაციის განვითარებაში დამსაქმებლების ჩართვა.
 - o დამსაქმებლების მიერ ინიციატივების გამოყენება, გრანტების მოთხოვნა და/ან სამუშაო პრაქტიკის განხორციელება.
 - o გამოკითხვებში დამსაქმებლების მონაწილეობა იმისთვის, რომ მკვლევარებს მუდმივად ჰქონდეთ განახლებული ინფორმაცია მოთხოვნადი კომპეტენციის შესახებ.
 - o შესაბამისი დამსაქმებლის სურვილი, რომ მიიღონ ინფორმაცია პოლიტიკის შესახებ.
- ჩართულობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოთხოვნების მინიმუმამდე დაყვანას.
- პროფესიული განათლებისა და მომზადების დონეზე ამჟამინდელი ჩართულობის საძირკველად გამოყენებას. ზოგადად, განათლებასთან დაკავშირებით კერძო სექტორის სუბიექტების საჯარო სექტორთან დიალოგში ჩართვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ის პლატფორმა, სადაც კერძო სექტორის წარმომადგენლები უკვე არიან ჩართულები პროფესიული განათლებისა და მომზადების სიტემაში იმისთვის, რომ მოხდეს პოტენციური მუშახელის იდენტიფიცირება.
- ჩართულობის სხვა საშუალებები და პროფესიული განათლებისა და მომზადების მუშახელის დაქირავება - როგორცაა ორწლიანი მორატორიუმი საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით - შესაძლოა ასევე იყოს სარგებლის მომტანი.
- სასურველია განხორციელდეს ეროვნული კამპანია, რომელიც ხაზს უსვამს სამუშაოსა და ანაზღაურებას (შესაძლოა ამასთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობდეს განხილვები).
- სასურველია ფორმალური სამუშაო პრაქტიკა განხილულ იქნეს საქართველოს კონტექსტში. დიდი კომერციული ოპერაციებისთვის ეს შესაძლოა ეფექტური მოდელი იყოს.

პროფესიული განათლებისა და მომზადებისთვის ჩართულობის შესაძლო პრაქტიკული საკითხები:

- იმ ბიზნეს სუბიექტების იდენტიფიცირება, რომლებიც შესაძლოა გახდნენ სოციალური პარტნიორები. სოფლის მეურნეობის მრავალ პარტნიორთან კონტაქტზე გასვლა უშედეგო იქნება მანამ, სანამ შესაძლებელი არ იქნება უფრო მეტი სასწავლო კურსის შეთავაზება. თუმცა, კერძო სექტორის პარტნიორების იდენტიფიცირება სასარგებლო იქნება როგორც ამჟამინდელი, ასევე მომავალში განსახორციელებელი პროგრამებისთვის.
 - o პოტენციური პარტნიორების სიის გენერირება. ეს მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- დიდი კომერციული სუბიექტების სია. ეს იქნება ზოგადი ადგილობრივი სიისგან განსხვავებული სია და შესაძლოა მოიცვას ეროვნული კომპანიები.
- საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურები.
- საქსტატი.
- ადგილობრივი სამთავრობო სუბიექტები.
- სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამები.

წყაროების აღნიშნული სია შესაძლებელია გამოყენებული იქნას კერძო სექტორის პარტნიორების ამომწურავი სიის შესაქმნელად. აღნიშნული სიის განახლება შეიძლება ყოველწლიურად.

- იმის მიხედვით, თუ რომელი სასწავლო პროგრამის განხორციელება სურს შესაბამის დაწესებულებას, შესაძლებელია კოოპერატივებთან თანამშრომლობაც. შესაბამისად, კოოპერატივების სიაც საჭიროა.
- პარტნიორობა - აგრო-პროფესიულ სექტორში იმდენად მცირე რაოდენობის სტუდენტების მომზადება ხდება, რომ სხვადასხვა დაწესებულებებმა თავი ერთმანეთის კონკურენტებად არ უნდა მოიაზრონ. სასურველია, მათ განავითარონ ერთობლივად მუშაობის გზები, რადგან მცირე კოორდინაციამ შეიძლება გამოიწვიოს პროფესიული სასწავლებლების მიმართ მეტი დაინტერესება და მეტი სტუდენტი. როგორც ამბობენ, ხელი ხელს ბანს!
- კონტაქტზე გასვლა და კომუნიკაცია - საჭიროა პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების მიერ სტუდენტების, პოტენციური ბიზნეს პარტნიორებისა და პოტენციური მასწავლებლების სამიზნე ჯგუფად განხილვა. ქვემოთ მოცემულია შესაძლო მეთოდები:
 - ტელევიზია - შესაძლებლობები თავისუფალი მედიისთვის ადგილობრივ ტელევიზიაში, რომელიც დასაქმების თემებზეა ფოკუსირებული.
 - ვებგვერდის შექმნა მარკეტინგული მიზნებისთვის.
 - კურსდამთავრებულებთან მუდმივი კონტაქტი.
 - სადემონსტრაციო ნაკვეთები და ვიდეო-წარმოებაში დახმარება შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს კონტაქტების შექმნისთვის.
 - საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურები შესაძლოა ასევე სასარგებლო იყოს კონტაქტების დამყარების კუთხით და ითვალისწინებდეს სადემონსტრაციო ნაკვეთებს ან პროფესიული განათლებისა და მომზადების სუბიექტებთან მუშაობას ამ მიზნით.
 - ადგილობრივ საინფორმაციო ცენტრად (ჰაბად) გადაქცევა იმ სფეროში, რომელშიც არის პროფ. სასწავლებელს ექსპერტიზა გააჩნიათ. მაგალითად, პროფ. სასწავლებელი, სადაც მეფუტკრეობის კურსებია, შეიძლება გახდეს მეფუტკრეობის ცენტრი რეგიონში. ამ გზით შესაძლებელია ფორმალური და არაფორმალური ტრენინგის მიწოდება:
 - დღის თემებზე ფორუმის უზრუნველყოფა.
 - რეგიონში ან მის გარეთ არსებულ იმ კოოპერატივებთან კონტაქტების დამყარება, რომლებიც იგივე სფეროში მოღვაწეობენ ან იგივე ინტერესები გააჩნიათ.
- სასწავლო და სამუშაო პრაქტიკები:

- კერძო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებით უფრო მეტად მოქნილი უნდა იყოს - წარმატების მისაღწევად მიზნებისა და სტანდარტების განსაზღვრა, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული სამუშაო ადგილების და არა პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებთან. მაგალითად, თუ რომელიმე სამუშაო ადგილი იმგვარი უნარების განვითარებას მოითხოვს, რაც არაა მოცემული პროფესიულ სტანდარტებში, მაშინ სწორებ ამ უნარებში მომზადება შეიძლება გახდეს წარმატების საფუძველი.
- უნდა არსებობდეს მონიტორინგის უფრო ქმედითი მექანიზმი.
- კარგი მასწავლებლების მოსაზიდად:
 - საინფორმაციო ჰაბის ჩამოყალიბება
 - კოოპერატივებთან კონტაქტების დამყარებას
 - კერძო სექტორთან პარტნიორობის გამყარება - მართალია კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის ნდობა უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ გაზრდილი ანაზღაურება უფრო მეტი კვალიფიციური პედაგოგის მოზიდვას განაპირობებდა.
- ასეთი მცირე რაოდენობის პროგრამების ფონზე, რომლებიც ასეთ ცოტა ადგილს ითვალისწინებს, თითქმის არ არსებობს ყურადღების მიპყრობის და სასოფლო-სამეურნეო პროგრამირებაზე დადებითი გავლენის მოხდენის შანსი შემდეგი ღონისძიებების განხორციელების გარეშე:
 - სასოფლო-სამეურნეო კურსების ფარგლების გაფართოება.
 - სხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობა ან კოორდინაცია, რომლებიც ასევე ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ კურსებს.
 - ზოგადად, პროფესიული განათლების მიმართ გაუმჯობესებული განწყობები გამოიწვევს სოფლის მეურნეობის სფეროში აგრო-პროფესიული განათლების მიმართ განწყობების გაუმჯობესებასაც, მაშინ როცა მხოლოდ აგრო-პროფესიაზე ფოკუსირება შეიძლება ზედმეტად ვიწრო იყოს რამე PR კამპანიისთვის. ამიტომ, ჩვენ (პროექტმა *ადამიანი გაჭირვებაში*) უფრო ფართოდ უნდა ვითანამშრომლოთ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ზოგადად პროფესიული განათლების მარკეტინგისთვის - არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროში.
- სასოფლო-სამეურნეო პროგრამირების გაფართოება. საზომი სისტემის შექმნა, რომელიც დაეხმარებათ იმის გადაწყვეტაში, რომელ პროგრამაზე უფრო მაღალი მოთხოვნაა. ეს არ არის ცალსახა. თავლი პოპულარულია მიუხედავად იმისა, რომ ეს მოკრძალებული სფეროა ამ სფეროს მიერ იწარმოება მაღალი ღირებულების პროდუქტი და მოითხოვს ტექნიკურ უნარებს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე:
 - სათბურები
 - თხილეული
 - ყურძენი და ღვინო

რეკომენდაციები თუ როგორ მიიღონ სარგებელი პროფესიულმა სასწავლებლებმა არაფორმალური განათლების სისტემიდან

- საეჭვოა, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრები შეძლებენ გრძელვადიანი ტრენინგების შეთავაზებას მცირე საოჯახო ტიპის მეწარმეებისთვის, მაგრამ საინფორმაციო ჰაბებად (ცენტრებად) გადაქცევით მათ შეუძლიათ:
 - o საკუთარი კომპეტენციების გამოყენება საზოგადოებრივი სერვისების გასაუმჯობესებლად. ეს, თავის მხრივ, საშუალებას მისცეს მათ მეტი დაფინანსება მოითხოვონ მთავრობისა და დონორებისგან
 - o მოკლევადიანი კურსებით ხალხის დაინტერესება
 - o კომერციული ოპერაციებისთვის პროფესიული სასწავლებლების ხილვადობის ამაღლება
- ტრენინგები პროდუქტის მომწოდებლებისთვის
- ქართულენოვანი ვიდეოების გამოყენება
- სადემონსტრაციო ნაკვეთები - რომლებსაც შესაძლოა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემამ მხარი დაუჭიროს.

დამატებით საკვლევი საკითხები:

- შრომის ბაზრის კვლევები მოთხოვნაზეა ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ რა სექტორებში არის და სად იქნება კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები.
- განხილვები იმ მცირე საოჯახო ტიპის ფერმერებთან, რომლებიც უკვე აწარმოებენ მაღალი ღირებულების პროდუქტს, როგორცაა თხილეული, ყურძენი ან თაფლი - იმ მიზნით, რომ გაირკვეს, რა დონის ფორმალური განათლების ინვესტირებისთვის არიან ისინი მზად. ეს ნაწილობრივ მოხერხდება ბაზრის შეუსაბამობით, მაგრამ შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი ყურადღება.
- იმ მსხვილი ფერმერების იდენტიფიცირება, რომლებსაც გააჩნიათ შიდა ტრენინგ-პროგრამები ან ჰქონდათ მათი შექმნის მცდელობა.
- ფორმალური და არაფორმალური ცოდნის პროფესიული განათლების კურსების საშუალებით საოჯახო მეურნეობაში ინტეგრაციის საერთაშორისო მაგალითები

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მრავალი მეთოდი იქნა გამოყენებული და მიმდინარეობდა 2015 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 2016 წლის იანვრის ბოლომდე. კვლევის პირველი ფაზა მოიცავდა კონსულტაციებს პროექტის მთავარ მონაწილეებთან: *ადამიანი გაჭირვებაში* პროექტის პერსონალი, პროექტის პარტნიორები იმერეთში და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საველე სამუშაოები იმერეთში დეკემბერში დაიწყო და უმეტესად ფოკუსირებული იყო ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა 40 ბიზნეს სუბიექტთან ინტერვიუ, საიდანაც 10 თანამშრომლობდა სხვადასხვა პროფესიული განათლების მიმწოდებლებთან. ბიზნესების შერჩევისას, ჩვენ 2 კრიტერიუმით ვიხელმძღვანელებთ: 1) პროფესიული განათლების დაწესებულებებთან მუშაობის გამოცდილება. ჩვენ ვთხოვეთ პროფესიული განათლების დაწესებულებებს წარმოედგინათ პარტნიორების სია. ამ სიიდან ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით სასოფლო-სამეურნეო ბიზნესს; 2) ბიზნესის ზომა. სხვადასხვა წყაროს საშუალებით, ჩვენ შევადგინეთ იმერეთის 337 სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის სია. ჩვენ ინტერვიუებისთვის გვინდოდა შედარებით დიდი ზომის ბიზნესების შერჩევა, რადგან უფრო მეტად სავარაუდოა ასეთი ტიპის ბიზნესების თანამშრომლობა პროფესიული განათლების მიმწოდებლებთან. მცირე ბიზნესებისთვის ჩვენ დამატებით გამოვკითხეთ 17 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა არსებული თანამშრომლობის ხასიათი და პროფესიულ განათლებასა და მომზადებასთან დაკავშირებით არსებული ზოგადი აღქმა, კერძოდ კი, იმერეთში არსებული ასეთი ცენტრების მიმართ არსებული დამოკიდებულება. აღნიშნული ინტერვიუები დაგვებმარა პროფესიული განვითარებისა და მომზადების სექტორსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობაში არსებული ხარვეზების დადგენაში და წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის პოტენციურ საშუალებას, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს *ადამიანი გაჭირვებაში* პროექტის მიერ. ჩვენ ასევე ვცადეთ არაფორმალური პროფესიული განათლებისა და მომზადების საგანმანათლებლო მექანიზმებისა და რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგისთვის მათი მნიშვნელობის დოკუმენტირება.

ჩვენ მუდმივი კომუნიკაცია გვქონდა პროექტის პარტნიორ პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებთან იმერეთში, როგორცაა საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) აგრარული ფაკულტეტი. მათ მოგვაწოდეს ინფორმაცია მათი პარტნიორების ისევე, როგორც სასწავლო პროცესებისა და საჭიროებების შესახებ. გარდა ამისა, მოვახდინეთ სულ 6 ფოკუს ჯგუფის ორგანიზება: ერთი ფოკუს ჯგუფი საზოგადოებრივი კოლეჯ იბერიის 6 მასწავლებელთან შედგა, მეორე ფოკუს ჯგუფი შედგა აწსუ-ს 5 პედაგოგთან; და დანარჩენი ფოკუს ჯგუფები შედგა ორივე სასწავლებლის 40 სტუდენტთან.

ჩვენ შევქმენით იმერეთის სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს სუბიექტების საინფორმაციო ბაზა. აღნიშნული ბაზა უპირატესად ეყრდნობა საქსტატის მიერ ჩვენთვის მოწოდებულ მონაცემებს, თუმცა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვემდებარებაში არსებული) იმერეთის საინფორმაციო და საკონსულტაციო

სამსახურებისმიერ მოწოდებული ინფორმაციის შედეგად აღნიშნულს ჩვენ დავამატეთ მონაცემები, რომლებიც მოვიპოვეთ განვითარების ხელშეწყობის სხვა პროექტებიდან. ჯამში ჩვენ შევადგინეთ მონაცემები იმერეთში არსებული 300-ზე მეტი ბიზნეს სუბიექტის შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს არის იმერეთისთვის ამ ტიპის ყველაზე ამომწურავი მონაცემთა ბაზა და მისი გამოყენება ეფექტურადაა შესაძლებელი არა მხოლოდ რეგიონის სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს-აქტივობების ანალიზისთვის, არამედ, ასევე პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებისთვის პოტენციური პარტნიორების საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდებისთვის.

კერძო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკის უკეთ გაგებისთვის ჩვენ ასევე ვესაუბრეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს და განვიხილეთ მათი 2013-2020 წ.წ. ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. გარდა ამისა, ჩვენ ვესაუბრეთ დარგობრივი კომიტეტებისა და დარგობრივი სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლებს იმ მიზნით, რომ უკეთ გაგვეგოთ თუ როგორ არის კერძო სექტორი ჩართული პროფესიული სტანდარტების განვითარების პროცესში.

მნიშვნელოვანია საქართველოში და საზღვარგარეთ დღეს არსებული სიტუაციის შესწავლა იმ მიზნით, რომ მოხდეს შესაბამისი გამოცდილების იდენტიფიცირება, რაც შესაძლებელია გამოადგეს ჩვენს პროექტს. ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოში არსებულ პროფესიული განათლებისა და მომზადების მთავარ ცენტრებს, რომლებსაც კერძო სექტორთან თანამშრომლობის სხვადასხვა ტიპის გამოცდილება აქვთ. იმერეთში ჩვენ ვესაუბრეთ რეგიონის უმსხვილეს პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრს, რომელიც მდებარეობს სოფელ დიდ ჯიხაიში და ეკუთვნის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. ჩვენ ვეწვიეთ პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრ აისს კახეთში, და იკაროსისა დასპექტრის პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებს თბილისში. პროფესიული განათლებისა და მომზადების ყველა ამ ცენტრს განსხვავებული გამოცდილებები აქვთ და შესაბამისად, შესაძლებელია მათგან სასარგებლო გაკვეთილების მიღება.

ადგილობრივ გამოცდილებასთან ერთად ჩვენ შევისწავლეთ პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით სამი ევროპული ქვეყნის გამოცდილება. ეს ქვეყნებია გაერთიანებული სამეფო, ესტონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა. ჩვენ შევისწავლეთ ამ ქვეყნების განათლების სამინისტროების ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია და საჯარო დოკუმენტები, ასევე ევროპის ტრენინგის ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და სხვადასხვა კვლევითი დაწესებულებების ანალიზები და აკადემიური ნაშრომები. კონკრეტულად სოფლის მეურნეობის სექტორში კერძო სექტორის ჩართულობის კუთხით მხოლოდ მინიმალური ინფორმაციის მოგროვება მოხერხდა. ამიტომ, ჩვენ უფრო ზოგადად კერძო სექტორის ჩართულობის გამოცდილებაზე გავამახვილეთ ყურადღება და შევეცადეთ ეს გამოცდილება მოგვეგო ჩვენს სპეციფიურ კონტექსტთან. სამივე ქვეყნის კონტექსტი განსხვავებულია და იქ არსებულ სიტუაციასა და საქართველოს სიტუაციას შორის კონტრასტი დიდია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია სასარგებლო გაკვეთილების მიღება და საქართველოში გამოყენება.

აღნიშნული ანგარიში იქნება საფუძველი მეორე ანგარიშისთვის, რომელიც ორიენტირებული იქნება იმერეთში სოფლის მეურნეობის სფეროსთან შრომითი ბაზრის შეუსაბამობაზე. მართალია ამ ანგარიშში მოცემული გარკვეული ინფორმაციის გამოყენება და მეორე ანგარიშზე გავრცელება მოხდება, მაგრამ კონკრეტულად იმერეთის არაფორმალურ პროფესიულ განათლებასა და მომზადებასთან დაკავშირებით ჩვენ მოვიძიებთ დამატებით ინფორმაციას გამოკითხვებისა და მცირე ფერმერებისა და სკოლის მოსწავლეების ფოკუს ჯგუფების შედეგად.

იმერეთის აგრობიზნესის სექტორის მიმოხილვა

იმერეთი მისი სიდიდისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია საქართველოში. სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ყველაზე მთავარი პროდუქტი და ცოცხალი ცხოველი ძირითადად იმერეთიდან არის. აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად მოცემულია ქვემოთ...

ცხრილი 1: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ათას ტონის ერთეულში. საქსტატის 2013 წლის მონაცემები.²

	იმერეთი	საქართველო	იმერეთის წილობრივი მონაწილეობა
სიმინდი	100	364	27%
ნესვი	14	66	21%
ხმელი ლობიო	2	11	18%
ყურძენი	37	223	17%
თხილი	6	40	15%
ხილი	24	218	11%

იმერეთის ასევე წამყვანი რეგიონია ცოცხალი ცხოველების და ცხოველთა წარმოების კუთხით. ქვეყანაში ხორცის პროდუქტის დაახლოებით 18% იმერეთზე მოდის, რაც სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დიდი მაჩვენებელია.

²2014 წლის ნაცვლად 2013 წლის მონაცემებს ვიყენებთ იმის გამო, რომ საქართველოში 2014 წელს იყო გავალვა, რის გამოც სოფლის მეურნეობის უმეტესი პროდუქტის წარმოება 2013 წელს დასრულდა.

ცხრილი2: ცოცხალი ცხოველებისა და ფუტკრის რაოდენობა ათას ცალ ერთეულში.საქსტატის 2013 წლის მონაცემები.

	იმერეთი	საქართველო	იმერეთის წილობრივი მონაწილეობა
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	209	1230	17%
ღორები	31	191	16%
თხები	8	61	13%
შინაური ფრინველები	1215	6761	18%
ფუტკრები	14	399	4%

დანარჩენი საქართველოს მსგავსად, იმერეთში სოფლის მეურნეობა ორი მსხვილი მიმართულების ბიზნესად შეიძლება დივოს. ერთის მხრივ, არსებობენ სოფლის მეურნეობის მსხვილი კომერციული მწარმოებლები საკმაოდ დიდი ინვესტიციებითა და გარკვეული კომპეტენციით, რომლებიც მთლიანად ორიენტირებული არიან წარმოებული პროდუქციის ბაზრისთვის მიყიდვაზე. მეორეს მხრივ, არსებობენ შედარებით მცირე ფერმერები, რომლებსაც, როგორც წესი, ძალიან მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, ნაკლები კომპეტენცია და ცოტა რესურსი აქვთ ინვესტიციების განხორციელებისთვის.

იმისთვის, რომ უკეთ გაგვეგო კომერციული ფერმერობის მნიშვნელობა, გამოვიყენებთ საქსტატის მიერ მოწოდებული მონაცემები რეგისტრირებული და მოქმედი ბიზნეს სუბიექტების შესახებ ისევე, როგორც იმერეთის საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც შევავსეთ სხვადასხვა არასამთავრობო პროექტიდან მიღებული მონაცემებით. საერთო ჯამში, ჩვენ შევადგინეთ იმერეთის 337 სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს სუბიექტის სია, რაც საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ ჩატარებულ ინტერვიუს. ამ სიიდან ოთხი სუბიექტი მიეკუთვნება მსხვილი ბიზნესის კატეგორიას, 23 მიეკუთვნება საშუალო, ხოლო 151 - მცირე ბიზნესის კატეგორიას.³დანარჩენი 157 ბიზნესის ზომა არ იყო დაკონკრეტებული.

ოთხიდან სამი მსხვილი ბიზნესი წარმოადგენს სათბურებს, მეოთხე კი თხილის მწარმოებელს. გეოგრაფიულად, იმერეთის სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს სუბიექტების სამი მეოთხედი სასოფლო რაიონებში მდებარეობს. ეს ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის უმეტესობა მოითხოვს მიწის ნაკვეთების არსებობას, როგორცაა მოსავლის მინდვრები, სათბურები, მეცხოველეობის ფერმები, თევზის აუზები,

³საქსტატამ მოახდინა კომპანიების კლასიფიცირება ზომების მიხედვით შემდეგნაირად: მსხვილი - 100 დასაქმებულზე მეტი; საშუალო ზომის - 20-100 დასაქმებული და 0.1-0.5 მილიონი ლარის ბრუნვა; მცირე - 20 დასაქმებულზე ნაკლები და 100,000 ლარზე ნაკლები ბრუნვა.

სატყეო მეურნეობები და შერეული ტიპის ფერმები. ის ბიზნესები, რომლებიც ურბანულ ზონებშია განთავსებული, ძირითადად ისეთ მომსახურებას ითვალისწინებს, როგორცაა კონსულტაციები, აგრარული რჩევები, მექანიზაცია/აღჭურვილობა და სურსათის წარმოება.

იმერეთში ყველაზე უფრო პოპულარული/ფართოდ გავრცელებული აგრარული საქმიანობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და შინაური ფრინველებისგან შემდგარი მეცხოველეობის ფერმები, ასევე მარცვლეულისა და სხვა მცენარეების ნაკვეთები (მათ შორის, სათბურები). მიუხედავად ამისა, იმერეთი ცნობილია მცირე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით. საქსტატის ბოლოს ოფიციალური სოფლის მეურნეობის აღწერის შედეგების მიხედვით (ჩატარდა 2004 წელს, 2014 წლის შედეგების გამოქვეყნება 2016 წლის აპრილისთვის არის დაგეგმილი), იმერეთის ოჯახების 99%-ზე მეტს 1 ჰექტარზე ნაკლები მიწა აქვს.⁴ ეს ფერმერებისთვის ართულებს აგრო-ბიზნესების განვითარების შესაძლებლობას.

ცხრილი: იმერეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო აქტივობების ჩამონათვალი. მონაცემები მიღებულია საქსტატის, საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურებისა და სხვა დამატებითი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გაერთიანების საფუძველზე

სასოფლო-სამეურნეო აქტივობა	ბიზნესის წილი მთლიან სოფლის მეურნეობაში
მეცხოველეობა	32%
მარცვლეული და სხვა მცენარეები, მათ შორის, სათბურები	24%
სურსათის წარმოება, მათ შორის, სასმელის	14%
აგრარული მომსახურება, მათ შორის, მექანიზაცია და ლოგისტიკა	13%
შერეული ფერმები, მათ შორის, სურსათის წარმოება	8%
მეთევზეობა	5%
სატყეო მეურნეობა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	2%
არაკატეგორიზებული	1%

რეგისტრირებული აგრობიზნესის გარდა, ჩვენ ასევე შევქმენით კოოპერატივების მონაცემთა ბაზა, რომელიც ძირითადად ეყრდნობას საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურების მიერ ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციას. სულ იმერეთში 114 კოოპერატივია.

⁴საქსტატი(2004) მეურნეობების კლასიფიკაცია მიწის ფართობის მიხედვით, სოფლის მეურნეობის აღწერა, გვ 52, http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/agriculture/census/ganyofileba2.pdf (ნანახია 2016 წლის 11 მარტს)

კოოპერატივები, ერთის მხრივ, სარგებლობენ საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებით, მეორეს მხრივ კი - მთავრობის მხარდაჭერითა და დახმარებით. მაგალითად, პროექტი *ადამიანი გაჭირვებაში* ეხმარება რეგიონის მასშტაბით 10 კოოპერატივს კომპეტენციის განვითარებაში. ამავდროულად, ხელისუფლებამ 2013 წელს შექმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ეხმარება კოოპერატივებს ტრენინგების შეთავაზებითა და ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფით. 2015 წლის ბოლოსთვის სააგენტომ სხვადასხვა სახის დახმარება აღმოუჩინა 500-ზე მეტ ბენეფიციარ კოოპერატივს. თუმცა, ჩანს, რომ ხშირად კოოპერატივები არ ფუნქციონირებენ როგორც ინსტიტუციონალიზებული წარმონაქმნები. ნაცვლად ამისა, ინდივიდუალური ფერმერები ერთიანდებიან იმ მიზნით, რომ მიიღონ გრანტები ან სხვა სახის დახმარებები.

მართალია, სასოფლო-სამეურნეო ტიპის კომერციულ დაწესებულებად რეგისტრირებული სუბიექტები ამ კვლევის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს, მაგრამ სუბიექტების უდიდესი უმრავლესობა არ არის კომერციული ხასიათის და შედგება მცირე ფერმერებისგან 0.8-1.25 ჰა ნათესებით, რომლებიც განაწილებულია მიწის რამდენიმე ნაკვეთზე, რომლებიც შეიძლება სულაც არ ესაზღვრებოდეს ერთმანეთს და საერთოდ ერთმანეთთან ახლოსაც კი არ მდებარეობდეს. ასეთი მცირე საოჯახო ტიპის ფერმები საქართველოს მასშტაბით ძალიან გვანან ერთმანეთსდა, როგორც წესი, მოიცავს 2-5 ძროხას, რომლებიც ხბოს იგებენ გაზაფხულზე და აწარმოებენ ახალ რძეს აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდში. ზოგჯერ ხბოებს კვებავენ ამავე ფერმებში ან ყიდიან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით მოვაჭრეებზე იმ მიზნით, რომ ადრეულ სეზონზე გამოიმუშაონ გარკვეული ნაღდი ფული ან კლავენ მოხმარების მიზნით. საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძირითადი დანიშნულება რძის წარმოებაა, რომელიც გამოიყენება ბავშვთა კვებისთვის ან ყველის წარმოებისთვის. მცირე საოჯახო ტიპის ფერმერებს, როგორც წესი, ასევე ჰყავთ მცირე რაოდენობის ღორები და შინაური ფრინველები. მათ მოჰყავთ ბოსტნეულიც, როგორცაა კარტოფილი, ხახვი, პომიდორი და ყურძენი ღვინის დასამზადებლად ისევე, როგორც ხილი, თუ ნაკვეთზე არსებობს ხილის ხეები. ამ პროდუქტების უმრავლესობა შიდა მოხმარებისთვის გამოიყენება.

მცირე საოჯახო ტიპის ფერმერები მრავალფეროვანი ჯგუფია და ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია გონივრულად იქნეს მიჩნეული ახლად წარმოქმნილ ფერმებად, დანარჩენები კი არიან ინდივიდები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებას ადგილობრივად დამზადებული საკვებით. ამ ორი კატეგორიის მცირე ფერმერს შორის სამი ძირითადი განსხვავებაა: არა-სასოფლო-სამეურნეო წყაროებისგან მიღებული შემოსავალი, მიწის ნაკვეთის ხარისხი და ფერმერის დამოკიდებულება.

საოჯახო ტიპის ფერმები, რომლებსაც შემოსავლის სხვა წყაროც აქვთ, დიდი ალბათობით შეეცდებიან ინვესტირებას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის გარდა, შემოსავლის მიღების სამი მთავარი წყარო არსებობს სასოფლო საოჯახო ფერმებში: ანაზღაურებადი სამსახური, ფულადი გზავნილები და სამთავრობო ფინანსური დახმარებები. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ურბანულ დასახლებებში, ვიდრე სოფლებში. მიუხედავად ამისა, 'დასაქმებულად' კლასიფიცირებული პირების დიდი

უმრავლესობა სოფლებში უბრალოდ მიწის სამუშაოებით არის დაკავებული. სოფელში მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს აქვს ანაზღაურებადი სამსახური.⁵ უფრო მეტიც, საქართველოს სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი ამბობს, რომ მათი ოჯახი შემოსავალს იღებს ანაზღაურებადი სამსახურებიდან, ურბანულ დასახლებაში კი ეს მაჩვენებელი 60%-ზე მეტია.⁶

ანაზღაურებადი სამსახურების გარდა, ფულადი შემოსავლის კიდევ ორი წყარო სოფლის მოსახლეობისთვის არის ფულადი გზავნილები და პენსიები. მცირე საოჯახო ტიპის ფერმების დაახლოებით 12% ამბობს, რომ ისინი იღებენ ფულად გზავნილებს საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავებისგან, ამდენივე ამბობს, რომ ქვეყნის შიგნით მცხოვრები ნათესავებისგან იღებენ ფულად დახმარებას.⁷ მიუხედავად ამისა, შემოსავლის ყველაზე დიდი წყარო საქართველოში არსებული მცირე საოჯახო ტიპის ფერმებისთვის სახელმწიფო პენსიაა. სოფლად არსებული მცირე საოჯახო ფერმების დაახლოებით ორი მესამედი ამბობს, რომ ისინი იღებენ პენსიებს და დახმარებებს ხელისუფლებისგან.⁸

ეს ინფორმაცია ჩვენი მიზნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შემოსავლის მრავალფეროვანი წყარო ოჯახებს ფინანსურად უფრო დამოუკიდებელს ხდის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ შესაძლოა მოგება მოიტანოს, მაგრამ საქართველოში არსებული მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო სუბიექტები არასანდო ბიზნესია, რადგან აქ გვალვები და წყალდიდობები რამდენიმე წელში ერთხელ მაინც ხდება, ასევე ხშირია ცხოველთა ეპიდემიური დაავადებები, რაც ზრდის ცხოველთა მოულოდნელი სიკვდილიანობის რისკებს. არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლის მქონე ოჯახებში უფრო მეტად სავარაუდოა სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარება ვიდრე იმ ოჯახებში, რომელთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამ უკანასკნელი ჯგუფის წარმომადგენლები დიდი ალბათობით მცირე შემოსავლის და მცირე გასავლის მაგალითებად დარჩებიან.

შემოსავლის პროფილის გარდა კიდევ ორ ფაქტორს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა აგრობიზნესის პოტენციურ წარმატებაში. პირველი ფაქტორი არის ნიადაგის ხარისხი და პროდუქციის ხასიათი. თუ ფერმერი აწარმოებს მაღალი ღირებულების პროდუქციას, როგორცაა თხილეული, ციტრუსი, ყურძენი, თაფლი ან ლორი, მას შემოსავლის ზრდის მეტი შანსი აქვს.

მეორე ფაქტორი ეს არის დამოკიდებულება, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია. საქართველოში დიდი ხანია არსებობს მიდგომა, რომ შესაძლებლობების აღმოჩენა ქალაქში წასვლას უკავშირდება. GeoWel-ის მიერ WorldVision-ისთვის ჩატარებული კვლევა მოიცავდა

⁵საქსტატი (ნანახია 2015 წლის 25 აგვისტოს), 15

წლისადაუფროსიასაკისმოსახლეობისგადანაწილებასოფელსადაურბანულდასახლებებშიმათიეკონომიკურისტატუსისმიხედვით.

⁶კავკასიისბარომეტრი (2013), შემოსავლისწყარო: ხელფასი, CRRC (<http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/codebook/>).

⁷კავკასიისბარომეტრი (2013), შემოსავლისწყარო: საზღვარგარეთმცხოვრებინათესავები, CRRC დაშემოსავლისწყარო: საქართველოშიმცხოვრებინათესავები, CRRC (<http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/codebook/>).

⁸კავკასიისბარომეტრი (2013), შემოსავლისწყარო: პენსიადასამთავრობოდახმარებები.

საქართველოს რამდენიმე რეგიონში სკოლის მოსწავლეების ფოკუს ჯგუფების ორგანიზებას. გამოკითხული მოსწავლეებიდან თითქმის ვერცერთი ხედავდა რაიმე შესაძლებლობას სოფელში საცხოვრებლად დარჩენის შემთხვევაში. ზოგიერთი მათგანი თვლიდა, რომ სოფლის მეურნეობა შესაძლებელია ყოფილიყო პოტენციური შესაძლებლობა. შესაბამისად, ფინანსური რესურსების და მიწის ხარისხის/პროდუქციის ხასიათის გარდა ისმის ერთი მარტივი კითხვა - უნდათ თუ რა სოფლის მაცხოვრებლებს, რომ იყვნენ ფერმერები.

ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის იმიტომ, რომ ფერმერობის სახეობასთან დაკავშირებით არსებული აღქმა გვეხმარება ინფორმირებულობის კუთხით არსებული ფერმერებს საჭიროებების განსაზღვრაში. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლება და მომზადება სოფლის მეურნეობის განვითარების საშუალებად არის მიჩნეული, და მათი გაფართოება ფერმერებს სიღარიბის დაძლევაში უნდა დაეხმაროს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგივე ლოგიკა გავრცელდეს საარსებო მინიმუმზე მყოფ ფერმერებზეც, რომლებსაც არა აქვთ დრო და რესურსები ისარგებლონ ფორმალური განათლების სიკეთეები. მრავალი წლის გამოცდილება ადასტურებს რომ იმ ტიპის მცირე ფერმერებიც კი, ვისაც დამატებითი შემოსავალი გააჩნიათ და ფიქრობენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაფართოებაზე, ხშირად არ სურთ განათლებაში თანხის გადახდა.

ამიტომ, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ არაფორმალური განათლების ლოგიკას. თუკი ნაკლებ სავარაუდოა რომ, მცირე ფერმერები გადაიხდიან ფულს ან გამოყოფენ დროს ფორმალური პროფესიული განათლების მისაღებად, მაშინ მნიშვნელოვანია მათი უნარების და ცოდნის გაუმჯობესება არაფორმალური განათლების გზით. ეს იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას მცირე ფერმერების პროდუქტიულობაზე და, შესაბამისად, მცირე-შემოსავლიან ოჯახებსა და მთლიან ეროვნულ წარმოებაზე. შესაძლებელია ამ ყველაფრის დაკავშირება პროფესიული განათლების სისტემასთან თუკი პროფესიული განათლების მიმწოდებლების შეძლებენ რეგიონში ექსპერტულ ცენტრებად ჩამოყალიბებას.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნულ დონეზე არსებული სისტემა

მზარდი ყურადღება პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მიმართ

პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის მიმართ კერძო სექტორის ინტერესის გაანალიზებისთვის აუცილებელი კომპონენტია იმის გააზრება, რომ ბოლო პერიოდამდე პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორი (განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სფერო) მაღალი რანგის ხელისუფლების ორგანოების ყურადღებით არ იყო განებივრებული. ეს ერთდროულად მიზეზი და შედეგია იმ ფაქტისთვის, რომ პროფესიული განათლება და მომზადება საქართველოში ისტორიულად არაპოპულარული იყო. ბოლო დრომდე არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ საზოგადოება და კერძო სექტორიც მიიჩნევდა, რომ პროფესიულ განათლებასა და მომზადებას ღირებულება არ გააჩნდა.

ეს მიდგომა ბოლო წლებში შეიცვალა. თითქმის ყველა მთავარი დონორი ორგანიზაცია სხვადასხვანაირად ჩართულია პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში. ევროკავშირის ბოლოდროინდელი პროექტი *პროფესიული განათლებისა და დასაქმების რეფორმების ტექნიკური მხარდაჭერა საქართველოში*, რომლის კოორდინაციას ახდენს IBF და რომელიც ოთხ სხვადასხვა პროექტს მოიცავს, პროფესიული განათლებისა და მომზადებით საერთაშორისო დონორების დაინტერესების ძალიან კარგ მაგალითს წარმოადგენს.

საქართველოს ხელისუფლების მიერ პროფესიული განათლებისთვის მინიჭებული მნიშვნელობის შეფასება სხვადასხვა საშუალებით შეგვიძლია. ყველაზე ნათელი საშუალება ბიუჯეტის გაანალიზებაა.

ცხრილი4: სხვადასხვა საგანმანათლებლო კომპონენტზე გაწეული დანახარჯი (მილიონი ლარის ერთეულში). სახელმწიფო ბიუჯეტი (მოქმედი). 2010-2016 წ.

წელი	პროფესიული განათლება	ზოგადი განათლება	საუნივერსიტეტო განათლება და სამეცნიერო კვლევები	განათლების მთლიანი ბიუჯეტი	განათლების მთლიან ბიუჯეტში პროფესიულ განათლებაზე გაწეული დანახარჯების წილი
2010	10.7	350.9	73.6	542.1	2%
2011	6.5	393.5	61.7	555.8	1%
2012	9.3	451.6	68.2	641.2	1%
2013	9.3	444.7	100.9	682.5	1%
2014	15.0	521.1	87.9	739.7	2%
2015	22.7	477.3	109.8	848.3	3%
2016 ⁹	35.8	572.8	106.6	975.2	4%

მე-4 ცხრილში ჩანს, რომ პროფესიულ განათლებაზე 2016 წელს ხელისუფლების მიერ გაწეული დანახარჯები განათლებაზე სულ დახარჯული თანხების დაახლოებით 4% იყო. ეს უპრეცედენტო ზრდაა თუ გავითვალისწინებთ, რომ 2011-2013 წლებში აღნიშნული ხარჯის წილობრივი მაჩვენებელი 1%-ს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, თუ ევროპულ გამოცდილებას მივიღებთ მხედველობაში, იქ პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯების წილობრივი მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. მაგალითად ნიდერლანდებში პროფესიულ განათლებაზე დახარჯული თანხა მთლიანი განათლების ბიუჯეტის 10%-ია, გაერთიანებულ სამეფოში - დაახლოებით 14%.

ეროვნულ დონეზე ორი ძირითადი სამთავრობო უწყებაა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაზე ორიენტირებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ფუნქციაა ყოველდღიური პოლიტიკის განხორციელება და მონიტორინგი პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი ფუნქციაა პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში პროფესიული სტანდარტების შემუშავება და საზედამხედველო და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის კოორდინირება. ეს არის უწყება, რომლის მუშაობაში კერძო სექტორიც მონაწილეობს.

მეორე საშუალება პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროზე მთავრობის გაზრდილი ყურადღების ილუსტრირებისთვის არის სტრატეგიული დოკუმენტების გაანალიზება და შესაბამისი პროგრამების განხორციელება. მთავრობამ შეიმუშავა პროფესიული განათლებისა და მომზადების სტრატეგია 2013-2020 წლებისთვის. აღნიშნული

⁹2016 წლის მონაცემები აღებულია არამოქმედი ბიუჯეტიდან, არამედ ასიგნებების თავიდან.

დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა საკმაოდ ამბიციურია და სხვა ფაქტორებს შორის ითვალისწინებს ბაზარზე ორიენტირებულ მიდგომას.

პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრები საქართველოში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის მიხედვით, დღეს საქართველოში 89 პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრი არსებობს, საიდანაც 17 სახელმწიფო დაწესებულებაა, მხოლოდ 72 მათგანი კერძო სუბიექტია. აღნიშნული მონაცემთა ბაზა არ მოიცავს ინფორმაციას იმ უნივერსიტეტებისა და სკოლების შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, რომ განახორციელონ პროფესიული განათლება და მომზადება. მაგალითად, იმერეთში არსებული უნივერსიტეტები - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისში) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (დიდ ჯიხაიში)- ახორციელებენ პროფესიულ განათლებასა და მომზადებას. ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების შესახებ რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 5: პროფესიული განათლებისა და მომზადების სახელმწიფო და კერძო ცენტრები რეგიონების მიხედვით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის მონაცემები.

რეგიონი	სახელმწიფო	კერძო	სულ
თბილისი	5	37	42
იმერეთი	1	13	14
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3	4	7
აჭარა	2	4	6
შიდა ქართლი	1	5	6
ქვემო ქართლი	1	4	5
სამცხე-ჯავახეთი	1	3	4
კახეთი	1	2	3
გურია	1	0	1
რაჭა	1	0	1
სულ	17	72	89

საქართველოში არსებული პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების თითქმის ნახევარი თბილისშია თავმოყრილი. თუმცა, თუ 17 სახელმწიფო ცენტრს შევხედავთ, აქ გეოგრაფიული გადანაწილება უფრო ფართოა და 1/3-ზე ნაკლები მდებარეობს

თბილისში. პროფესიული განათლების ადამომზადების სახელმწიფო ცენტრები ასევე გვხვდება იმ რეგიონებშიც, სადაც კერძო ცენტრი საერთოდ არ არის წარმოდგენილი, როგორცაა გურია და რაჭა. ეს შესაძლოა იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ ხელისუფლება ცდილობს უზრუნველყოს პროფესიული განათლების ადამომზადების ხელმისაწვდომობა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემები ასევე მოიცავს იმ სტუდენტების რაოდენობას, რომლებიც სწავლობდნენ პროფესიული განათლების ადამომზადების სახელმწიფო ცენტრებში, მაგრამარ მოიცავს ინფორმაციას კერძო სუბიექტებთან დაკავშირებით, რაც დაგვეხმარებოდა შედარების გაკეთებაში. სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მონაცემები დავყავით აგრარული სპეციფიკისა და რეგიონების მიხედვით:

ცხრილი 6: სტუდენტების რაოდენობა პროფესიული განათლების ადამომზადების სახელმწიფო ცენტრებში რეგიონების მიხედვით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის მონაცემები.

რეგიონი	სტუდენტების ჯამური რაოდენობა	სასოფლო- სამეურნეო პროგრამის სტუდენტების რაოდენობა
თბილისი	1143	0
აჭარა	601	37
იმერეთი	489	21
ქვემო ქართლი	418	0
კახეთი	209	69
გურია	170	15
სამცხე-ჯავახეთი	135	24
სამეგრელო-ზემო სვანეთი	120	0
შიდა ქართლი	51	15
რაჭა	26	9
სულ	3362	190

იმ სტუდენტების საერთო წილი, რომლებიც პროფესიული განათლების ადამომზადების სახელმწიფო ცენტრებში სასოფლო-სამეურნეო პროგრამებზე სწავლობენ, 6 პროცენტია. ამ სტუდენტების ერთ მესამედზე მეტი სწავლობს

პროფესიული განათლების ადამომზადების კაჭრეთის ცენტრში, რომელიც კახეთში მდებარეობს.

ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში არსებული 20 სასოფლო სამეურნეო პროგრამიდან მხოლოდ ოთხს გააჩნია პროგრამების დონეზე მითითება. ორი მათგანს აქვს მე-3 საფეხურამდე, დანარჩენ ორს - მე-4 საფეხურამდე განათლება.¹⁰

მართალია, არ არსებობს მონაცემები იმ სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც პროფესიული განათლების ადამომზადების კერძო ცენტრებში სწავლობენ, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღმოაჩნდა ინფორმაცია ამ ცენტრების პროგრამების შესახებ. სულ ხუთი ცენტრია (სამი თბილისში, ერთი იმერეთში და ერთი შიდა ქართლში) და ისინი ერთად 11 სასოფლო-სამეურნეო პროგრამას სთავაზობენ სტუდენტებს. განათლების დონეებთან დაკავშირებით, სამი მათგანი მე-3 საფეხურამდე განათლებას ითვალისწინებს, ორი მათგანი მეორე საფეხურამდე, ხოლო ორი - მე-5 საფეხურამდე.

გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით 13 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებს. მათ შორისაა ჩვენი პარტნიორი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აწსუ) და იმერეთის ყველაზე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრი, ტექნიკური უნივერსიტეტის, რომელიც დიდ ჯიხაიშში იმყოფება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ვერ შეძლო ჩვენთვის დეტალური ინფორმაციის მოწოდება, ამიტომ შევეცადეთ თითოეულ ცენტრს პირადად დაკავშირებოდათ. საერთო ჯამში დაახლოებით 2,500 სტუდენტი სწავლობს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე, საიდანაც დაახლოებით 10% მიეკუთვნება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სპეციალობას.

ხელისუფლება იყენებს ვებგვერდს www.vet.ge პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში მიმდინარე რეფორმებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. ვებგვერდზე მოცემულია რელევანტური ინფორმაცია, მათ შორის, პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია და პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომათა ოქმები. თუმცა, ინფორმაციის ნაწილი მოძველებულია და ვერ ხერხდება კონკრეტული კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ინდივიდუალური ცენტრების ვებგვერდები ერთმანეთისგან განსხვავდება ხარისხისა და წარმოდგენილი ინფორმაციის რაოდენობით. ეს ვებგვერდები, როგორც წესი, მოიცავენ შემოთავაზებული პროგრამების სიას, მაგრამ დამატებითი დეტალები პროგრამის შესახებ, როგორც წესი, არ არის მოცემული.

საგანზე ორიენტირებულიდან მოდულზე ორიენტირებულ მიდგომამდე

ბოლო პერიოდამდე პროფესიული განათლებისა და მომზადების მიმართ ყურადღების სიმცირის გარდა, ასევე მიჩნეული იყო, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების ტრენინგები არ იყო ფოკუსირებული და არ იყო მიმართული პრაქტიკული უნარების განვითარებისკენ, რაც აუცილებელია პროფესიული განათლებისთვის. მართალია, განვითარების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტები ხშირად იჩენენ კერძო სექტორთან

¹⁰ საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში სულ 5 საფეხურია.

თანამშრომლობის ინიციატივას, მაგრამ ეს, როგორც წესი, თითქმის უშედეგოა. ერთი ასპექტი, სადაც ბოლო პერიოდში ცვლილება შეინიშნება, ეს არის მოდულზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი.

მოდულზე ორიენტირებული მიდგომის განვითარება ხდება კერძო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად ისეთ პლატფორმებზე, როგორცაა დარგობრივი საბჭოები და დარგობრივი სამუშაო ჯგუფები. პროფესიულ განათლებაში დღეს არსებული ტენდენცია არის დღეს არსებული საგანზე ორიენტირებული სტანდარტებიდან კომპეტენციაზე დაფუძნებულ მოდულზე ორიენტირებულ სტანდარტებზე ¹¹ გადასვლა (საქართველოში 54 ასეთი სტანდარტი არსებობს). ეს ნიშნავს, რომ საგანზე ორიენტირებული პროგრამები „დაიყო“ რმადენიმე მოდულად, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს შეარჩიოს მისთვის საინტერესო მიმართულებები. დღემდე მხოლოდ ერთი მოდულზე ორიენტირებული პროფესიული სტანდარტი დამტკიცდა 2015 წელს სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით: მეფუტკრეობა. დამატებით რვა სტანდარტის განხილვა ამ ეტაპზე მიმდინარეობს.

ახალი მოდულზე დაფუძნებული სისტემა უფრო ეფექტიანია და უკეთ ერგება მოსწავლის საჭიროებებს: იგი საშუალებას აძლევს სტუდენტს, რომ მან აირჩიოს ის მოდული ან კომპეტენცია პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაეხმარება მას კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზაციაში. ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ სერბეთის განათლების სამინისტროს განმარტებით, *მოდულები არის კონკრეტული, ცალკეული სემინტი ან სასწავლო პაკეტი, რომელსაც მივყავართ სწავლების განსაზღვრულ შედეგამდე ... მოდულების სტრუქტურა ასევე იძლევა ინტერდისციპლინარული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების (კომპეტენციის) შექმნის შესაძლებლობას, ანუ ის იძლევა საგნებს შორის კავშირის დამყარების შესაძლებლობას.*¹²

მაგალითად, თუ შევადარებთ ვეტერინარული მომსახურების პროგრამის საგანს და მოდულს ერთმანეთს, აღმოვაჩინებთ, რომ მოდულზე დაფუძნებული პროგრამა უფრო მაღალი დონის სპეციალიზაციის შესაძლებლობას იძლევა პროგრამის ფარგლებში და ფაქტიურად კომპეტენციაზე დაფუძნებული, განსხვავებით საგანზე დაფუძნებული პროგრამისგან, რომელიც უფრო თეორიულ კურსს წარმოადგენს:

¹¹ კომპეტენციაზე დაფუძნებული პროგრამები, როგორც წესი, უფრო მეტადაა პრაქტიკაზე ორიენტირებული, ვიდრე საგნებზე დაფუძნებული პროგრამები. ძირითადი აქცენტი იმაზეა, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს, ვიდრე რა საგნებს სწავლობენ ისინი. GIZ-ის ერთ-ერთი ანგარიშში კარგადაა მოცემული განსვავებები: [https://www.giz.de/akademie/de/downloads/Lehrbrief_14 - Competency-based Education and Training \(CBET\).pdf](https://www.giz.de/akademie/de/downloads/Lehrbrief_14_-_Competency-based_Education_and_Training_(CBET).pdf)

¹² სერბეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო (2008), *პროფესიული განათლების ადატრენინგების რეფორმის სერბეთის რესპუბლიკაში: მეთოდოლოგია კომპეტენციაზე დაფუძნებული მოდულური სასწავლო პროგრამისთვის პროფესიული განათლების ადამოწმადების სისტემაში*, გვ.9. <http://www.vetserbia.edu.rs/Zbirka%20dok%20English/02/2/Methodologies%20for%20the%20development%20of%20curriculum%20in%20VET.pdf> (ნანახია 2016 წლის 21 იანვარს).

ცხრილი 7: ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტები: საგანზე დაფუძნებული და მოდულზე დაფუძნებული პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების შედარება¹³

ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი			
საგანზე დაფუძნებული		მოდულზე დაფუძნებული	
კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული საგნები	ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია	ცხოველების ბიოლოგიური მახასიათებლები	სავალდებულო მოდული
	ზოოტექნიკის პრინციპები	ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა	
	ანატომია და ფიზიოლოგია	ცხოველთა დაავადებების ზოგადი პროფილაქტიკა	
	კვება და მოვლა	ცხოველთა დაავადებების სპეციფიკური დიაგნოსტიკა	
	ეპიზოოტოლოგია და პარაზიტოლოგია	ცხოველთა დაავადებების მკურნალობა	
	თერაპია	პირველადი ვეტერინარული დახმარება	
	ქირურგია და გინეკოლოგია	ცხოველის მოკვლის ვეტერინარული ზედამხედველობა	
	პროფესიული განათლების ტრენინგები	სამოვრების და წყლის რეზერვუარების დაცვა	
	ტრენინგები საწარმოში	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	
ზოგადი საგნები	მეწარმეობა	კვების უსაფრთხოება	ზოგადი მოდულები
	უცხო ენა	ვეტერინარიის ბიოქიმიური პრინციპები	
	IT და კომუნიკაცია	ვეტერინარული საქმიანობის დაგეგმვა	
	გაცნობითი ხასიათის ტრენინგი	ზოგადი მოდულები	
	ტრენინგები საწარმოში		
	ინდივიდუალური პრაქტიკული პროექტი		
	კომუნიკაცია		
	მეწარმეობა		
	პერსონალური და ინტერ-პერსონალური უნარები		
	რაოდენობრივი ცოდნა		
	IT		
	უცხო ენა		
	კატისა და ძაღლის დაავადებები, მათი მკურნალობა და პროფილაქტიკა		არჩევითი მოდულები
	შინაური ფრინველების დაავადებები, მათი მკურნალობა და პროფილაქტიკა		
	ფუტკრის დაავადებები, მათი მკურნალობა და პროფილაქტიკა		
	თევზის დაავადებები, მათი მკურნალობა და პროფილაქტიკა		

თუ შევადარებთ 'მველ', საგანზე დაფუძნებულ პროფესიულ სტანდარტს ახალ, მოდულზე დაფუძნებულ პროფესიულ სტანდარტთან, ასევე დავინახავთ რამდენიმე ძირითად სტრუქტურულ განსხვავებას.

¹³საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2015), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა; საგანმანათლებლო ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (2015), სოფლის მეურნეობის პროფესიული სტანდარტები.

ცხრილი 8: საგანზე დაფუძნებული და მოდულზე დაფუძნებული პროფესიული განათლების და მომზადების პროფესიული სტანდარტების შედარება

კრიტერიუმი	საგანზე დაფუძნებული პროგრამები	მოდულზე დაფუძნებული პროგრამები
პროგრამის სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული სუბიექტები ზოგადი სუბიექტები (მაგ: კომპიუტერული უნარები, უცხო ენის ცოდნა, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, მეწარმეობის პრინციპები) 	<ul style="list-style-type: none"> სავალდებულო მოდულები არჩევითი მოდულები (მაგ: ტრაქტორის მართვა, სხვა აღჭურვილობის მართვა) ზოგადი მოდულები (მაგ: კომუნიკაცია, მეწარმეობა, პერსონალური და ინტერ-პერსონალური უნარები, რაოდენობრივი ცოდნა, IT, უცხო ენების ცოდნა)
დოკუმენტის სტრუქტურა	<p>ჩამოთვლის ცოდნასა და უნარებს რაიმე ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე შემდეგი კატეგორიების მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> ცოდნა და გაგება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება დასკვნითი უნარები კომუნიკაციის უნარები სწავლის უნარები ღირებულებები 	<p>ჩამოთვლის ცოდნასა და უნარების კატეგორიებს, რომლებიც დაყოფილია ქვე-კატეგორიებად დეტალური პრაქტიკული უნარებისა და ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიული განვითარება სხვადასხვა პროფესიული უნარების კატეგორიები აქტივობის ტიპების მიხედვით <p>დამატებით ჩამოთვლის:</p> <ul style="list-style-type: none"> პერსონალურ ღირებულებებს აღჭურვილობასა და ხელსაწყოებს მომავლის ტენდენციებს
დარგობრივი სამუშაო ჯგუფების წევრთა სია	არ არის მოცემული	მოცემულია
შეფასების სტანდარტები და პროცესის აღწერა	არ არის მოცემული	მოცემულია
შემფასებლის ინსტრუქცია	არ არის მოცემული	მოცემულია
შემფასებლის ჩანაწერთა ფორმები (ცოდნა, პროცესი, პროდუქტი ან შედეგი)	არ არის მოცემული	მოცემულია
კომპეტენციის შეფასების ფორმა	არ არის მოცემული	მოცემულია
ზოგადი ჩარჩო დოკუმენტი	არ არის მოცემული	მოცემულია
ცოდნა და უნარები	<p>ძალიან დეტალური სია, მაგრამ თითქმის ყოველგვარი ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე და შესაბამისი უნარების თითქმის ყოველგვარი დაჯგუფების გარეშე, შესაბამისად, ძალიან რთული იყო მათი გადაჯგუფება ჩვენი უნარების რუკის ცხრილების მიხედვით.</p> <p>უნარებსა და ცოდნას ერთმანეთისგან განასხვავებს, მაგრამ თითქმის იდენტური განმარტებებით - 'იცოდე, როგორ გააკეთო რაღაც' vs 'ამ რაღაცის გაკეთება'.</p>	<p>დაჯგუფებულია პროფესიული აქტივობების მიხედვით და უფრო ზუსტად განასხვავებს ერთმანეთისგან ცოდნასა და უნარებს. აადვილებს უნარების რუკის სავარჯიშო ცხრილების გაკეთებას. უფრო პრაქტიკული და უნარებზე ორიენტირებული ჩანს, თუმცა, ასევე მოიცავს ცოდნაზე დაფუძნებულ თემებს.</p>

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი, მოდულზე ორიენტირებული სტანდარტების სტრუქტურა და შინაარსი არა მხოლოდ უფრო ამომწურავი ცოდნის მიღების შესაძლებლობას იძლევა და უკეთესად წარმოაჩენს პროგრამის შესაძლებლობებს, არამედ მას მარტივად შეუძლია შეასრულოს ძირითადი სახელმძღვანელოს ფუნქციაც შემფასებლისთვის. უფრო მეტიც, თითოეული პროგრამის დონე შედგენილია დამსაქმებლებისა და ექსპერტების რჩევების მიხედვით.¹⁴ მოდულზე ორიენტირებული პროგრამები ასევე საჭიროებს პროფესიული განათლებისა და მომზადების მასწავლებლების მეტ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავებასა და შეფასებაში.¹⁵ იბერია დააწესა გეგმავენ, რომ დაიწყო მოდულზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულისასწავლო პროგრამები 2016 წლიდან.

ეროვნულ დონეზე არსებული პროფესიული განათლებისა და მომზადების სტრატეგიები

პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში მთავარი დოკუმენტია პროფესიული განათლებისა და მომზადების 2013-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგია ამბიციური დოკუმენტია და იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებებს უჭირთ განსაზღვრულ ვადებში რეფორმების განხორციელება. სტრატეგიის მიხედვით პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში შემდეგი 7 მიმართულებაა/შედეგია მისაღწევი:

- 1) სოციალური პარტნიორების ჩართულობა უზრუნველყოფილია.¹⁶
- 2) პროფესიული განათლებისა და მომზადების ძლიერი ქსელი შექმნილია.
- 3) პროფესიული განათლება და მომზადება შეესაბამება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს.
- 4) მასწავლებლები არიან კვალიფიციური და აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობები.
- 5) პროფესიული კვალიფიკაციის სისტემა შექმნილია იმგვარად, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს დასაქმებას.
- 6) კურსდამთავრებულები მომზადებული არიან დასაქმებისთვის.
- 7) პროფესიული განათლება მომხიბვლელი ალტერნატივაა ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის, ახალგაზრდებისა და მოზრდილებისთვის.

სტრატეგიის პირველი მიმართულება სოციალურ პარტნიორებთან ურთიერთობის გაღრმავებაა. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ ხელისუფლება აცნობიერებს კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას. ამის მიღწევა დაგეგმილია შემდეგი აქტივობების საშუალებით (სამოქმედო გეგმის შესაბამისად):

- ეროვნული საბჭოს, დარგობრივი კომიტეტის (საბჭოს) და დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობის დაბალანსება

¹⁴ამფორმულირებისწარმოშობისპროცესსამდოკუმენტისბოლოსგანვიხილავთ.ჩვენსმეორეკვლევაშიგანხილულიიქნება

¹⁵ინტერვიუაკაკიწერეთლისსახელმწიფოუნივერსიტეტისაგრარულიფაკულტეტისდეკანთან, ქეთევანკინწურაშვილთან, ქუთაისში (2015 წლის 2 დეკემბერი).

¹⁶სოციალურ პარტნიორში, როგორც წესი, შედის სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტო, პროფ.კავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები, კოოპერატივები და კერძო სექტორი.

- შესაძლებლობების გაძლიერება
- პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის მექანიზმის უზრუნველყოფა
- პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების სოციალური პარტნიორების რაოდენობის გაზრდა

სოციალურ პარტნიორებთან დაკავშირებით ფასილიტაციასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი მთავარი უწყებაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრი ახორციელებს პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების მხარდაჭერასა და სახელმძღვანელო პრინციპების უზრუნველყოფას ახალ პარტნიორებთან მემორანდუმების გაფორმებისას და დაინტერესების შემთხვევაში, დარგობრივი კომიტეტისა და დარგობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას.

სტრატეგიის კიდევმიმართულება,რონელიც უშუალოდ კერძო სექტორის ჩართულობას ეხება, არის მე-3 მიმართულება: პროფესიული განათლებისა და მომზადების შესაბამისობაში მოყვანა შრომით ბაზართან. ამ მიმართულებით მთავარი პასუხისმგებლობა აკისრია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სამინისტრომ უკვე შეიმუშავა პირველი ამომწურავი კვლევა შრომით ბაზართან დაკავშირებით, რომელიც პერიოდულად უნდა განახლდეს ისე, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების სტანდარტები და სასწავლო პროგრამები მუდმივად თანხვედრაში იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.¹⁷ შრომითი ბაზრის ანგარიში, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არის შემუშავებული, ორი ნაწილისგან შედგება:1) ბიზნესის კვლევა ქვეყნის მასშტაბით; და 2) თვისობრივი კვლევის ანგარიში. ანგარიშის თვისობრივი კვლევის ნაწილში გაანალიზებულია თანამშრომლების, საჭირო უნარების და პროფესიის და ამჟამად დასაქმებული პირების პროფილის რეგიონული და დარგობრივი განაწილება.¹⁸ პერიოდულად მოხდება ამ დოკუმენტის განახლება იმ მიზნით, რომ ხელისუფლებამ შეძლოს პროფესიულ განათლებასა და მომზადებასთან დაკავშირებით პოლიტიკის სათანადოდ დაგეგმვა. სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავება დარგობრივ საბჭოებთან და დარგობრივ სამუშაო ჯგუფებთან ერთად მოხდება, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით.

პროფესიული განათლების ეროვნული საბჭო

პროფესიული განათლების ეროვნული საბჭო ფართოპროფილიანი საკონსულტაციო დაწესებულებაა. საბჭოს წევრების სია პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა. საბჭოს თავმჯდომარეა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და 25 წევრი ჰყავს პარიტეტული პრინციპით: ექვსი წევრი მთავრობიდან, მათ შორის, შესაბამისი დარგის მინისტრის მოადგილეები (განათლება, ეკონომიკა, ჯანდაცვა, სპორტი, ინფრასტრუქტურა და სოფლის

¹⁷შრომის,

ჯანმრთელობისადასოციალურიდაცვისსამინისტროსმიერმომზადებულიშრომისბაზრისკვლევაორინაწილისგანშედგება: 1) ეროვნულიმასშტაბისბიზნესისკვლევა; და 2) თვისებრივიკვლევა.

კვლევისთვისებრივიკომპონენტიანალიზებსმუშახელისრაოდენობის, მოთხოვნილიუნარებისადაპროფესიებისრეგიონულდადარგობრივჩაშლას.

¹⁸რადგანაცშრომისბაზრისკვლევაარიყოჩენიანგარიშისთვისპირდაპირ-რელევანტური, ჩვენძირითადისაკითხებიგადმოვიტანეთდანართი 1-ისსახით.

მეურნეობა); ექვსი წევრი დამსაქმებელთა ასოციაციებიდან (დამსაქმებელთა ასოციაცია, ქალ მეწარმეთა ასოციაცია, გუდვილის ტრენინგ-ცენტრი, მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაცია, სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების ასოციაცია); ექვსი წევრი პროფკავშირებიდან (ორი წარმომადგენელი პროფკავშირების ასოციაციიდან, ერთი აჭარის პროფკავშირების ასოციაციიდან, ერთი მეტალურგთა პროფკავშირებიდან, ერთი ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირიდან და ერთი ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირიდან) და ექვსი წევრი სხვა CSO-ებიდან (ფერმერთა ასოციაცია, ქალები მომავლისთვის, ასოციაცია 'ანიკა', ასოციაციების მენეჯმენტის ცენტრი, განათლება და კეთილდღეობა და პროფესიული განათლების ფონდი). 2015 წელს საბჭომ გამართა ორი გაფართოებული სხდომა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დღის წესრიგი ითვალისწინებდა პრეზენტაციებს რეფორმების შესახებ და შესაბამის კვლევებს.¹⁹ ჩვენ ვცადეთ საბჭოს წევრ კერძო სექტორის ორ წარმომადგენელთან შეხვედრა, მაგრამ უშედეგოდ.

დარგობრივი საბჭოები

დარგობრივი საბჭოები 2015 წელს შეიქმნა როგორც რეფორმირებული 'თემატური ჯგუფები'. საერთო ჯამში დღეს 11 დარგობრივი საბჭოა, საიდანაც ერთი ფოკუსირებულია სოფლის მეურნეობაზე. დარგობრივი საბჭოების მთავარი ფუნქციაა პროფესიული სტანდარტების გადახედვა და მიღება. თითოეული საბჭო ცხრა წევრისგან შედგება, საიდანაც სამი დასახელებულია პროფკავშირების მიერ, ერთი კერძო კოლეჯებიდან, ერთი პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებიდან, ერთი სოფლის მეურნეობის სამინისტროდან და სამი წევრი დამსაქმებელთა ასოციაციიდან (სოფლის მეურნეობის დარგობრივ საბჭოში ამჟამად არსებულ ბიზნეს-წარმომადგენლებს შორის არიან სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიმწოდებლები, თევზის ფერმა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრი). საბჭოები განიხილავენ დარგობრივი სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ სტანდარტებსა და მოდულებს, აკეთებენ კომენტარებს და ხმათა უმრავლესობით ან ამტკიცებენ მათ, ან უკან აგზავნიან მათი კომენტარების მიხედვით შესაცვლელად. სოფლის მეურნეობის დარგობრივ საბჭოს 2015 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში სამი ასეთი შეხვედრა ჰქონდა, სადაც მათ დაახლოებით 15 მოდულზე ორიენტირებული პროფესიული სტანდარტი განიხილეს.²⁰ ამ ეტაპისთვის ერთადერთი სტანდარტი, რომელიც დამტკიცდა, ეხება მეფუტკრეობას.

ამჟამად დარგობრივი საბჭოებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის განსახილველი სტანდარტების დიდი რაოდენობა და შედარებით მცირე დრო. ზოგიერთი სტანდარტის დოკუმენტი 40 გვერდზე მეტი მოცულობისაა (ზოგჯერ 80 გვერდამდეც კი) და საბჭოს წევრებს სხდომამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე ეგზავნებათ. მაგალითისთვის, სოფლის მეურნეობის საბჭოს პირველი სხდომა დაეთმო მხოლოდ მეფუტკრეობის სტანდარტის განხილვას, საკმაოდ ამომწურავი იყო და 3,5 საათი გაგრძელდა. თუმცა, შემდეგი ორი სხდომიდან თითოეულის სხდომა დაახლოებით შვიდი სტანდარტის განხილვას დაეთმო და შესაბამისად, თითო სტანდარტის განხილვას მხოლოდ ერთი საათი

¹⁹ პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომა, ოქმი #2, 29 ივნისი, 2015, ხელმისაწვდომია ონლაინ <http://www.mes.gov.ge/uploads/oqmi.pdf> (2016 წლის 30 იანვარი)

²⁰ ინტერვიუსაქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტთან, გულადილომინაშვილთან (2016 წლის 25 იანვარი).

დასჭირდა. ამის შესახებ ინფორმაცია საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მოგვარა. ²¹ აღნიშნული ფაქტი არ დადასტურდა საბჭოს წევრი კერძო სექტორის წარმომადგენლების ან განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული ცენტრის მიერ. ჩენ ვთხოვეთ განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნულ ცენტრს (ეროვნული ცენტრი) შეხვედრების ოქმების ან ერთიანი მონაცემების წარმოდგენა, მაგრამ უშედეგოდ.

რაც შეეხება დარგობრივი საბჭოების მიერ განხილულ პოპულარულ თემას, საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის მიერ დასახელებული იქნა პროფესიულ სტანდარტების ცოდნაში შრომის კოდექსისა და პროფესიული ურთიერთობების შეტანა. აღნიშნული შეთავაზება საბოლოოდ მიიღეს ახალ სტანდარტად. სხვა მნიშვნელოვანი თემები იყო ქართული პროფესიული ტერმინოლოგია და ტექნიკური საკითხები. ²²

დარგობრივი სამუშაო ჯგუფები

დარგობრივი სამუშაო ჯგუფების (დსჯ) ფუნქციაა პროფესიული სტანდარტის შექმნა თითოეული პროფესიისთვის. დსჯ-ს მიერ მუშაობის დასაწყებად, ეროვნული ცენტრი უკავშირდება შესაბამისი სფეროს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამსაქმებელს და სთხოვს მათ სამუშაო ჯგუფის ფორმირებას. ამის შემდეგ, აღნიშნული დამსაქმებლის ფუნქციაა, შეაგროვოს შესაბამისი დამსაქმებლები (მათ შორის, ინდმეწარმეები) ან ასოციაციები დარგობრივი სამუშაო ჯგუფის შესაქმნელად. UNDP-ის პროფესიული მომზადებისა და განათლების პროექტი ასევე მონაწილეობს სამუშაო ჯგუფის ისეთი წევრების შეგროვებაში, როგორცაა სოფლის მეურნეობის სფეროს პროფესორები და ექსპერტები; ²³ მაგალითად, პროფესორები საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან ან სხვადასხვა პროფესიული განათლების დაწესებულებებიდან ქვეყნის მასშტაბით. UNDP ასევე ფარავს ანაზღაურების, მგზავრობის, ტრენინგების, მასალების და დსჯ-ების სხვა ხარჯებს. თითოეული ჯგუფი 10-15 წევრისგან შედგება, მაგრამ ეს წევრები ასევე მონაწილეობას იღებენ დსჯ-ების სხვა შესაბამისი თემების განხილვებში. მაგალითად, ზოო-ტექნიკური ან მცენარეთა მოშენების დსჯ-ს წევრებს შეუძლიათ ფერმერობის განმხილველ დსჯ-ში მონაწილეობის მიღებაც.

2015 წელს პროფესიული სტანდარტების შემმუშავებელი რვა სასოფლო-სამეურნეო დსჯ-ის 137 წევრიდან 83 კერძო სექტორის წარმომადგენელი იყო. თუმცა ამ წევრების მონაწილეობის და აქტივობის ხარისხი სხვადასხვანაირია. მაგალითად, ფერმერთა ასოციაციამ ვერ შეძლო ჩვენი დაკავშირება დაწესებულების იმ წარმომადგენელთან, რომელიც პროფესიული განათლებისა და მომზადების რეფორმაში იყო ჩართული. მეორეს მხრივ, ზოგიერთ ბიზნეს სუბიექტს დსჯ-ებში ერთზე მეტი წარმომადგენელიც ყავდათ.

თუ შევხედავთ თითოეულ დსჯ-ში მონაწილე კერძო სუბიექტების სიას, აღმოაჩენთ, რომ ისინი, როგორც წესი, დიდ ბიზნესებს წარმოადგენენ, არადა ზოგიერთ პროფესიაში

²¹ ინტერვიუსაქართველოსპროფკავშირებისკონფედერაციისანალიტიკურიდეპარტამენტისსპეციალისტთან, გულადილომინაშვილთან (2016 წლის 25 იანვარი).

²² ინტერვიუსაქართველოსპროფკავშირებისკონფედერაციისანალიტიკურიდეპარტამენტისსპეციალისტთან, გულადილომინაშვილთან (2016 წლის 25 იანვარი).

²³ ინტერვიუკერძო სექტორის წარმომადგენელსადამემცენარეობისექსპერტთან, ილიამჭედლიძესთან (2015 წლის 22 დეკემბერი);

ინტერვიუსაქართველოსაგრარულიუნივერსიტეტისადასაქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისპროფესორთან, ზოო-ტექნიკისექსპერტგიულიგოგოლთან(2015 წლის 22 დეკემბერი).

ინდივიდუალური ფერმერი შესაძლოა უფრო კომპეტენტური იყოს. მაგალითად, მევენახეობის (ღვინის დამზადება და ვაზის მოშენება) სპეციალისტების შემთხვევაში წარმოდგენილია, 11 მსხვილი ღვინის კომპანია (შუმი, აგროექსპორტ ჯორჯია, ალავერდის მონასტრის მარანი, ქინძმარაული, კახეთის ღვინის მარანი, ვაზის და ღვინის ჯგუფი, კიმერიონი, თელავის ღვინო, პეტრიაანთ მარანი, შატო გრემი და საქართველოს შუშმანის ღვინო) და ოთხი ინდემწარმე მაშინ, როცა მეცხოველეობის დსჯ-ში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კომპანია (ჩირინა) და ექვსი ინდემწარმე.

იგივე კომპანია, ჩირინა, ასევე წარმოდგენილია ფერმერების და მემცენარეების დსჯ-ებში. ასევე, გრატოს სათბურები და აგრო-ქართუ წარმოდგენილი არიან ფერმერების და მემცენარეების დსჯ-ებში. რძის წარმოების დსჯ-ში ინდემწარმეები არ მონაწილეობენ და წარმოდგენილია ექვსი კომპანია (სანტე, ქართული ეკო, ქართუ, ვიმი, ნიკორა და საკონსულტაციო კომპანია GDCI). მეფუტკრეობის დსჯ-ში კერძო სექტორის წარმომადგენლები ძირითადად არიან სხვადასხვა რეგიონის მეფუტკრეთა გაერთიანებებიდან. ხილისა და ბოსტნეულის დსჯ-ში მხოლოდ ორი წარმომადგენელია კერძო სექტორიდან (დიკო და ჯგუფი მარგებელი) მაშინ, როცა ვეტერინარიის სპეციალისტების დსჯ-ში სამი ინდივიდუალური ფერმერი და ოთხი კომპანიაა (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, ფერმა 'მარგებელი', ვეტერინარული კლინიკა 'ზუნება' და კახეთის რეგიონის ვეტერინართა ასოციაცია).

პროფესიული სტანდარტების განვითარებასთან დაკავშირებით მუშაობის დაწყებამდე დსჯ-ების წევრებს უტარდებათ ერთკვირიანი ტრენინგები დასავლური გამოცდილების ექსპერტების მიერ DACUM-ის²⁴ მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც მოიცავს პროფესიული სტანდარტების შემუშავებას, სასწავლო კომპონენტებს და სტუდენტთა შეფასების ფორმებს. ტრენინგების დასრულების შემდეგ ჯგუფების წევრები ერთმანეთს ხვდებიან, სულ მცირე, კვირაში ორჯერ დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში პროფესიული სტანდარტების თითოეული მოდულის შესამუშავებლად, რისთვისაც ატარებენ კვლევებს ქართველი დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილი უნარებისა და კვალიფიკაციის შესახებ და ანალიზებენ საერთაშორისო გამოცდილებას ან შესაბამისი სფეროს პროფესიულ სტანდარტებს. დსჯ წევრები დაახლოებით 20 ბიზნეს სუბიექტის (რომელთა იდენტიფიცირება საკუთარი ქსელების მიერ ხდება) ანალიზს აკეთებენ ქვედარგების მიხედვით. ამ კვლევებზე დაყრდნობით წევრები შეიმუშავებენ პროფესიულ სტანდარტებს თითოეული სპეციალობისთვის DACUM-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას ფოკუს ჯგუფის საშუალებით, რომელიც განიხილავს იმ ფუნქციებს, ცოდნას, მოვალეობებს, უნარებსა და მახასიათებლებს, რაც აუცილებელია აღნიშნულ სფეროში მუშაობის დასაწყებად.²⁵ ახალი, მოდულზე ორიენტირებული პროფესიული სტანდარტები არ არის ისეთი დეტალური, როგორც წინა იყო. შესაბამისად, სტანდარტებთან ერთად დსჯ-ები ასევე შეიმუშავებენ მაღალი ხარისხის ილუსტრირებულ

²⁴ DACUM ხშირად იშიფრება, როგორც 'კურიკულუმის შემუშავების' მეთოდოლოგია, რომელიც ეხება პროცესს,

სადაც ფოკუს ჯგუფი გამოიყენება გამარტივებულ სტორიბორდინგ პროცესში შესაბამისი პროფესიისთვის აჭირომთავარი მოვალეობებისა და დაკავშირებული ფუნქციების, ცოდნის, უნარებისა და მახასიათებლების გამოვლენისთვის. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://facilitation.eku.edu/what-developing-curriculum-dacum>.

²⁵ DACUM. <http://www.dacum.org/> (ნანახია 2016 წლის 21 იანვარს).

სახელმძღვანელოს თითოეული სპეციალობისთვის, რომელიც გამოიყენება პროფესორების მიერ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში. მაგალითად, რომელიც შესაბამისი დსჯ-ს მიერ ფერმერებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოს მოცულობა 700 გვერდზე მეტია და მოიცავს ქვე-კომპონენტებს ფერმერობის ხუთივე ქვე-კატეგორიისთვის (მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა და მემცენარეობა). აღნიშნული სახელმძღვანელოები შექმნილია პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებების მიერ გამოსაყენებლად და გამოქვეყნების შემდეგ მიეწოდებათ მათ. ახალ სახელმძღვანელოებს პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებები 2015 წლიდან იყენებენ. ამ სახელმძღვანელოებში ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი განმარტებებია მოცემული. მაგალითად:

„მაგალითად, თუ სტანდარტი ამბობს, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს, როგორ შეაფასოს მიწის ნაკვეთი, ზოგი ფიქრობს, რომ ეს გულისხმობს მხოლოდ მიწის ნაკვეთის გაზომვას და მის გარეგნულად დათვალიერებას. მაგრამ ჩემთვის ეს ნიშნავს მიწის დახრილობის დონის, შესაძლო გაბატონებული ქარის (რომელი მხარიდან იქნება ქროლვა უმეტესწილად) განსაზღვრას. ისე, რომ, როდესაც სათბური აშენდება, მას არ დააზიანებს ქარი - რაც მომხდარა ადრე.“²⁶

კონკრეტულ სტანდარტზე მომუშავე დსჯ-ს წევრი ექსპერტებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს მიწის ნაკვეთის დეტალური შეფასება, რომ შემდგომში ადგილი არ ჰქონდეს რაიმე გაუგებრობას.

სტანდარტებისა და სახელმძღვანელოს კომბინაციის შემდეგ დსჯ-ს წევრები ახალი სტანდარტების, მოდულების, სასწავლო კომპონენტების, სტუდენტის შეფასებისა და სხვა საკითხების შესახებ ატარებენ ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, -ყველა იმ ძირითადი მასალის შესახებ, რაც მომზადდა დსჯ-ს მუშაობის შედეგად.

სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებები იმერეთში

პროექტის ადამიანი გაჭირვებაში პარტნიორები იმერეთში არიან საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტი (აწსუ). ასევე, სოფელ დიდ ჯიხაში (სამტრედია) ფუნქციონირებს აგროინჟინერიის და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეკუთვნის. ეს დაწესებულება არ წარმოადგენს პროექტის პარტნიორს, მაგრამ დიდ როლს ასრულებს რეგიონში პროფესიული განათლებისა და მომზადების კუთხით. ამ თავში დეტალურად არის განხილული სწორედ ეს დაწესებულებები.

საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია

საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია ჩამოყალიბდა 2006 წელს ქუთაისის კერვისა და მოდელირების ლიცეუმის რეორგანიზაციის საფუძველზე. 2007 წლიდან კოლეჯს დაექვემდებარება ბაღდათის პროფესიული სასწავლებელი, როგორც ფილიალი.

²⁶ინტერვიუ კერძო სექტორის წარმომადგენელს ადამ მემცენარეობის ექსპერტთან, ილიამჭედლიძესთან (2015 წლის 22 დეკემბერი).

ბაღდათის რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით 2009 წლიდან აღნიშნულ ფილიალში სტუდენტთა სწავლება განხორციელდა მემცენარის, მეფუტკრის და ავტომობილის ბიზნესის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია-ს ორივე ფილიალში სულ 489 სტუდენტი სწავლობს, საიდანაც ბაღდათის ფილიალში სწავლობს 21 სტუდენტი, აქედან 15 სწავლობს მეფუტკრეობას. ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი მეფუტკრეობის სპეციალობაზე არის 21 წლის.

მართალია, იმერეთში ფუტკრის სკების სულ 4% მდებარეობს, მაგრამ მეფუტკრეობა ამ რეგიონში სწრაფად მზარდი სფეროა, რომელსაც ხშირად აქვს დონორების მხარდაჭერაც. აღნიშნული საქმიანობა საკმარისად კარგ ტექნიკურ ცოდნას და ტრენინგს მოითხოვს, რაც პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის კარგი ნიადაგია.

ფოკუს ჯგუფში, რომელიც ჩვენ იბერიის სტუდენტებისთვის გავაკეთეთ, ხუთი სტუდენტი ბაღდათის ცენტრიდან იყო, ორი სტუდენტი ბაღდათთან ახლოს არსებული სოფლიდან და ერთი - ქუთაისიდან. რვიდან ექვს სტუდენტს უკვე ჰქონდა უნივერსიტეტის დიპლომი და მხოლოდ ორი მათგანი იყო სკოლის ატესტატი. მონაწილეთა უმრავლესობას უკვე ჰქონდა მცირე, საოჯახო ტიპის მეფუტკრეობის ბიზნესი ან გეგმავდნენ დაწყებას უახლოეს მომავალში. ეს ფაქტები ხაზს უსვამს იმას, რომ ინდივიდუალური ოჯახები ხედავენ შესაბამის სფეროებში პროფესიული განათლებისა და მომზადების როლს. ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტის მიზანი იყო არა იმდენად ცოდნის მიღება, რამდენადაც სერტიფიკატის მოპოვება, რაც მათ დაეხმარებოდათ გრანტების მოპოვებაში.

საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია აქტიურად თანამშრომლობს კერძო კომპანიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა შორის არიან UNDP, USAID და NRC. რაც შეეხება კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, მათ დადებული აქვთ შეთანხმებები 100-ზე მეტ მსხვილ მეწარმესთან, მათ შორის, სამი სოფლის მეურნეობის სფეროში (საიდანაც ყველა ინდემწარმეა). საზოგადოებრივ კოლეჯ იბერიაში 489 სტუდენტიდან 21 სასოფლო-სამეურნეო პროგრამებზე სწავლობს. ამჟამად საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია სტუდენტებს ორ პროგრამას სთავაზობს სოფლის მეურნეობის სფეროში, საიდანაც ორივე ბაღდათის ფილიალშია შემოთავაზებული და წარმოადგენენ საგანზე ორიენტირებულ და არა მოდულზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს (2017 წლიდან ყველა პროგრამა მოდულზე ორიენტირებული იქნება). ეს გულისხმობს მასწავლებლების დიდ შრომას, მაგრამ ითვალისწინებს მეტად კონკრეტულ და ქმედით სასწავლო გამოცდილებას.

მომავლისთვის კოლეჯი აპირებს სასოფლო-სამეურნეო პროგრამების დამატებას, როგორცაა ფერმერობა, ხილის გადამამუშავების სპეციალისტი, რძის წარმოების სპეციალისტი, ვეტერინარი, მძიმე ტექნიკის მემანქანე და მარცვლეულის მეურნეობის სპეციალისტი.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია ქუთაისში ფლობს ძალიან კარგ შენობას, რომლის განახლება ამჟამად მიმდინარეობს. ბაღდათის ფილიალსაც საკმაოდ ახალი და კარგად აღჭურვილი შენობა აქვს. საზოგადოებრივმა კოლეჯმა იბერიამ ქუთაისში დაიწყო და ბაღდათში გეგმავს სტუდენტთა საცხოვრებლის მშენებლობას. ბაღდათის ფილიალმა ბოლო დროს მთავრობისგანაც მიიღო გრანტი ფერმის ასაშენებლად, სადაც 20 ძროხა იქნება და განხორციელდება რძის წარმოებაში სტუდენტების პრაქტიკული სწავლება.

კოლეჯის ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით პრობლემაა, რომ მას არ გააჩნია შესაბამისი მასალებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და კომპიუტერულ ლაბორატორიას არ მიეწოდება ინტერნეტი, თუმცა, ამ უკანასკნელის გამოსწორება დაგეგმილია უახლოეს მომავალში. უფრო კონკრეტულად, მეფუტკრეობისთვის საჭირო აღჭურვილობა მოძველებულია და შესაფერისი პრაქტიკული სწავლებისთვის შეუსაბამოა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) აგრარული ფაკულტეტი

აგრარული ფაკულტეტი, რომელიც აწსუ-ში სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიულ განათლებასა და მომზადებას ახორციელებს, 2011 წელს შეიქმნა ყოფილ სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან შერწყმის შედეგად. სულ აწსუ-ში 430 სტუდენტის გადის პროფესიულ სწავლებას სხვადასხვა ფაკულტეტზე. აგრარული ფაკულტეტი 10 სპეციალობას ითვალისწინებს, საიდანაც ექვსი მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის სფეროს (დანარჩენი სპეციალობები არ მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის სფეროს. როგორც ფაკულტეტის თანამშრომლებმა აგვიხსენეს, მათ აქვთ უფლება მიიღონ სტუდენტები ნებისმიერ სპეციალობაზე, რაც მათ სურთ). აგრარული ფაკულტეტის მხოლოდ ორმა პროგრამამ გამოიწვია სტუდენტების ინტერესი: აგრარული ლოჯისტიკა (მე-4 და მე-5 საფეხურები); 60 სტუდენტი ჯამში) და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკოსი (15 სტუდენტი). ასევე, უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს სოფლის მეურნეობის მეწარმეობის პროგრამას (ამჟამად ირიცხება 30 სტუდენტი). გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2015-2016 აკადემიური წლისთვის წერეთლის უნივერსიტეტმა სულ 7 პროფესიულ პროგრამაზე გამოაცხადა მიღება (აქედან, როგორც აღვნიშნეთ, 2 პროგრამა სოფლის მეურნეობის ფაკულტეტიდანაა ერთი კი - ბიზნესის ფაკულტეტიდან). სხვა სოფლის-მეურნეობის პროგრამებზე სტუდენტები არ მიუღიათ რადგან, როგორც უნივერსიტეტში გვითხრეს, არ არსებობდა შესაბამისი მოთხოვნა. წერეთლის უნივერსიტეტი სამომავლოდ აპირებს ფერმერის, მებაღის და მეფუტკრის სპეციალობების პროგრამების დამატებას.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამის სტუდენტები ხშირად არიან პირები, რომლებმაც ვერ შეძლეს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარება და სანაცვლოდ შესთავაზეს აღნიშნულ პროგრამებზე სწავლება. აგრო-ლოჯისტიკის პროგრამის 60 სტუდენტიდან 15 ან ირიცხება უნივერსიტეტის საბაკავრო პროგრამაში, ან უკვე აქვს ბაკალავრის ხარისხი. როგორც წესი, ისინი სოფლის-მეურნეობასთან ან ლოჯისტიკასთან დაკავშირებულ სპეციალობებზე სწავლობენ.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, აგრარული ფაკულტეტი აწსუ-ს მთავარი კამპუსისგან განცალკევებულია და მდებარეობს ქუთაისის სხვა ნაწილში. ფაკულტეტის შენობა ძველია და უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებთან შედარებით უფრო ცუდ მდგომარეობაშია. მას არ გააჩნია გათბობის სისტემა, ინტერნეტი და საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები. სასწავლო მასალები ხშირად მოძველებულია, არ არსებობს ლაბორატორია ან ადგილი, სადაც პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამის სტუდენტები შეძლებდნენ პრაქტიკულ ტრენინგებს.

დიდი ჯიხაიშის სასურსათო ტექნოლოგიების კოლეჯი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მართალია, დიდი ჯიხაიშის კოლეჯი თავიდან არ მოიაზრებოდა პროექტის პარტნიორად, მაგრამ ის რეგიონში პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი მიმწოდებელია და გააჩნია ხუთი სასოფლო-სამეურნეო პროგრამა, რომელზეც 167 სტუდენტი სწავლობს. კოლეჯის მიერ შეთავაზებული სპეციალობებია: სურსათის წარმოების ტექნოლოგია, მელიორაციის სპეციალისტი, ტრაქტორის მემანქანე, და ვეტერინარიის სპეციალისტი. ისინი ასევე გეგმავენ ფერმერობის და მეფუტკრეობის სპეციალობების დამატებას.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, დიდი ჯიხაიშის კოლეჯი უფრო კარგ პირობებშია, ვიდრე ზემოთ განხილული ორი სუბიექტი. კოლეჯი ფლობს 31 ჰა მიწის ნაკვეთს პრაქტიკული კურსებისთვის. შენობა და აღჭურვილობა ძველია, მაგრამ არსებობს მათი განახლების გეგმები. როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაწილი, კოლეჯი იღებს დახმარებას უნივერსიტეტისგან განახლების სამუშაოებისა და სტუდენტებისთვის საცხოვრებლის აშენების მიზნით. ამჟამინდელი საცხოვრებელი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ დაკავებული.

კერძო სექტორის ჩართულობა იმერეთში

იმერეთში არსებული პარტნიორი პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებების კერძო სექტორთან თანამშრომლობა დღეის მდგომარეობით

ზოგადად, შესაბამის ბიზნეს სუბიექტებთან კონტაქტზე პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრები პირადი კონტაქტების დახმარებით გადიან. იგივე ვრცელდება პროექტის პარტნიორ პროფესიული განათლების ორგანიზაციებზეც, როგორებიცაა საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია და აწსუ.თუმცა, აღნიშნული დაწესებულებები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სტრუქტურითა და კერძო სექტორთან ჩართულობის მექანიზმის ფორმით. კერძო სექტორსა და პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას შესაძლოა ჩართულობის განსხვავებული ხარისხი და ფორმა გააჩნდეს:

- საზედამხედველო საბჭოს წევრობა;
- პროგრამებსა და სილაბუსებზე უკუკავშირის წარმოდგენა;
- ტრენინგების ჩატარება პროფესიული განათლების დაწესებულებებში; და
- პროფესიული განათლების დაწესებულებების სტუდენტებისთვის სასწავლო და სამუშაო პრაქტიკის შეთავაზება.

ცხრილი 9: პროფესიული განათლების პარტნიორი სუბიექტების რაოდენობა სოფლის მეურნეობის სფეროში

კოლეჯი	პროფესიული განათლების პარტნიორები	
იბერია	მეფუტკრეობა	2
	დეკორატიული მემცენარეობა	1
	სულ	3
აწსუ	აგრონომია	4
	სურსათის ტექნოლოგია	7
	ჰიდრო-ტექნიკური მენეჯმენტი	8
	აგროინჟინერია	3
	სულ	22

საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია ჩამოთვლის 99 პარტნიორ ორგანიზაციას, საიდანაც მხოლოდ სამია დაკავშირებული ბაღდათის ფილიალთან, სადაც ისინი ასწავლიან სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებს, მეფუტკრეობას და დეკორატიულ მემცენარეობას. თუმცა, ეს ინდივიდუალურ ინტერესს უფრო უკავშირდება, ვიდრეკომპანიების სტრატეგიულ ხედვას, რომ გამოყონ მასწავლებლები პროფესიული სწავლებისთვის. ამ ადამიანების სწავლებაში ჩართვა საშუალებას აძლევს იბერიის პარტნიორ ორგანიზაციებს, რომ გავლენა მოახდინონ სწავლების პროცესზე. თუმცა, მასწავლებლები ვალდებული არიან იმოქმედონ მთავრობის მიერ შემუშავებული სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად. საზოგადოებრივ კოლეჯ იბერიას ასევე ჰყავს საზედამხედველო საბჭო, რომელიც შვიდი წევრისგან შედგება. აქედან თითო წევრია შემდეგი ჯგუფებიდანაა:

- პროფესიული განათლებისა და მომზადების ადმინისტრაცია
- ადგილობრივი ხელისუფლება
- კერძო სექტორი (არა სოფლის მეურნეობის სფეროდან)
- მშობლები
- მასწავლებლები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- სტუდენტები

როგორც კოლეჯის სასოფლო-სამეურნეო პროგრამების კოორდინატორმა განაცხადა, საბჭოს ფუნქციებში შედისკურიკულუმისშემუშავების პროცესი და პროგრამების ბიუჯეტების დამტკიცება.²⁷

იბერიის კოლეჯისგან განსხვავებით, აწსუ-ს არ ჰყავს საზედამხედველო საბჭო. თუ იბერიის სამივე პარტნიორი სოფლის მეურნეობის სფეროდან ძირითადად სწავლების პროცესში არიან ჩართულები, აწსუ მიიღტვის სტაჟირების პრაქტიკის განვითარებისკენ. აგრარულ ფაკულტეტზე 22 შესაბამისი ორგანიზაციის სია მოგვცეს. აწსუ-ს წარმომადგენლების თქმით, თანამშრომლობის მთავარი ფორმა ორთვიანი სტაჟირების პროგრამებია, რომელსაც აწსუ უწევს მონიტორინგს. როგორც წესი, კომპანია გამოყოფს წარმომადგენელს, რომლის ფუნქციაც პროცესის მონიტორინგი, სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიცემა და დასწრების

²⁷ინტერვიუიბერიისკოლეჯისბაღდათისფილიალისაგრარულიპროგრამებისკოორდინატორთან, შორენაჩუბინიძესთან, 2015 წლის 18 იანვარი.

აღრიცხვას. აწსუ-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ პირს ისინი საათში 8 ლარს უხდიან. დაფინანსება სახელმწიფო ვაუჩერიდან მოდის (სახელმწიფო აფინანსებს პროფესიული განათლების მიმწოდებლებს მიღებული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილი არიან მათ მიერ მიღებული ვაუჩერიდან იმდენი თანხა გამოყონ, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევენ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახდენს მხოლოდ იმის მონიტორინგს, აქვთ თუ არა საჭირო სივრცე პოტენციურ პარტნიორებს კერძო სექტორიდან; გადაუხდის თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფულს კომპანიას, ეს მისი გადასაწყვეტია. ჩვენს მიერ კომპანიებთან და პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან აშკარად გამოჩნდა, რომ კომპანიებისთვის პროფესიული განათლების ცენტრებთან ურთიერთობისას უფრო მნიშვნელოვანია ნდობა, ვიდრე ანაზღაურება მისი თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის (თანამშრომელი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს მეთვალყურეობას უწევს).

სამუშაო პრაქტიკა განსხვავებულია კომპანიების მიხედვით. მაგალითად, 2014 წელს აწსუ დაუკავშირდა კომპანია ექსტრა მითს და შესთავაზა თანამშრომლობა. მხარეებმა გააფორმეს მემორანდუმი. კომპანიის დირექტორის დაინტერესება განაპირობა სტაჟირებაში მონაწილე ახალგაზრდებიდან პოტენციური მუშახელის აღმოჩენის შესაძლებლობამ. 2014 წლის განმავლობაში აწსუ-დან აღნიშნულ კომპანიაში მხოლოდ ექვსი სტუდენტი წავიდა სტაჟირების გასავლელად, საიდანაც ყველა დაინტერესებული იყო ხორცის წარმოებით და არა აგრო-ლოგისტიკით. სამუშაო ადგილზე პრაქტიკული სწავლება ორი კვირა გაგრძელდა მაშინ, როცა ასეთი პრაქტიკისთვის კომპანიის დირექტორი მინიმუმ ერთი თვიან თანამშრომლობას ელოდა.²⁸

სხვა პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებების გამოცდილება კერძო სექტორთან თანამშრომლობის კუთხით

ჩვენ გავანალიზეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სხვადასხვა მიმართულების პროფესიული სასწავლებლების გამოცდილება კერძო სექტორთან თანამშრომლობის კუთხით, რომ გვეჩვენა, რა სტრატეგიები არსებობს კერძო სექტორთან ურთიერთობის დამყარებისთვის და როგორ მუშაობენ ისინი პრაქტიკაში. ამ გამოცდილების გაანალიზებას მივყავართ რამდენიმე დასკვნამდე. ზოგიერთი დასკვნა ეფუძნება ისეთ ობიექტურ ფაქტორებს, რომელთა შეცვლა რთულია, ხოლო სხვების მოგვარება შესაძლებელია საერთაშორისო დონორების დახმარებით.

აშკარაა, რომ გეოგრაფიული მდებარეობა და დარგობრივი მიმართულება მნიშვნელოვანია ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. ტურიზმზე ორიენტირებულ იკაროსსა და მშენებლობაზე ორიენტირებულ სპექტრს პოტენციური პარტნიორების დიდი ბაზა აქვთ თბილისში, მათ შორისაა ზოგიერთი ძალიან მსხვილი კომპანია, რომლებსაც შეუძლიათ ხანგრძლივი ინვესტირებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა. მართალია, ზოგიერთი კომპანია ცდილობს შექმნას საკუთარი სასწავლო ცენტრები, სადაც მომავალ თანამშრომლებს მოამზადებენ, მაგრამ ორგანიზაციული თვალსაზრისით ეს მეტად რთული,

²⁸ინტერვიუ ქუთაისის ხორცის მწარმოებელ კომპანიასთან, 2015 წლის 13 დეკემბერი.

ხანგრძლივი და ძვირი პროცესია. მათ მოუწევთ არა მხოლოდ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩადება, არამედ ავტორიზაციის პროცესის გავლა, მასწავლებლების მოძიება და მომზადება, პოტენციური სტუდენტების აყვანა და სხვა. ამის ნაცვლად, მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებლებთან და გადაუხადონ მათ მოკლევადიანი კურსებისთვის, რომ მოამზადონ თავიანთი თანამშრომლები, ან დაამყარონ უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის სტაჟირების ან მასტერ კლასების შეთავაზებით. პროფესიული განათლების და მომზადების ცენტრის, სპექტრის დირექტორის, როინ ტაკიძის თქმით, კერძო კომპანიებმა მის დაწესებულებაში სამ მილიონიანი ინვესტიცია ჩადეს ბოლო სამი წლის განმავლობაში. „მშენებლობის სფეროში სერტიფიცირებული მუშახელის დიდი მოთხოვნაა: ადამიანების, რომლებსაც შეიძლება ენდო“ იყო მიზეზი რაზეც მან ისაუბრა.²⁹

იკაროსი ასევე სარგებლობს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ტურიზმის სექტორზე ორიენტირებულობით. თბილისი საქართველოს ტურიზმის ცენტრია სასტუმროებისა და რესტორნების მზარდი რაოდენობით, რომლებიც კვალიფიციურ მუშახელს ეძებენ. იკაროსმა შეძლო დაახლოებით 180 კერძო კომპანიასთან თანამშრომლობის განხორციელება. ახლად დაწყებული ბიზნესის წარმომადგენლები ხშირად სწორედ იკაროსს მიმართავენ სასწავლო კურსის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ სტუდენტთა ნაწილის თავის კომპანიაში დასაქმება.

ადამიანური რესურსები ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. კერძო სექტორთან ურთიერთობების კოორდინატორი უნდა იყოს პროაქტიული, მტკიცე და დინამიური პიროვნება, რომელსაც შეუძლია მუდმივად ჰქონდეს პარტნიორების მონაცემთა ბაზა კერძო სექტორიდან და განაახლოს ბაზა ახალი საკონტაქტო მონაცემებით. პროფესიული განათლებისა და მომზადების ყველა ცენტრმა, რომელსაც ვესაუბრეთ, აღნიშნა, რომ კერძო სექტორთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ ცენტრებისთვის, რომლებსაც იზოლირებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვთ.

კერძო სექტორთან წარმატებული ურთიერთობის ქვაკუთხედეა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ხარისხის დემონსტრირება. კერძო კომპანია უნდა დარწმუნდეს, რომ მისი მცდელობები და დახარჯული დრო უშედეგო არ იქნება და დაწესებულება მას მოუმზადებს შესაბამისი კვალიფიკაციის მუშახელს. არსებული გამოცდილება იმასაც გვაჩვენებს, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია და იმასაც, თუ რა ტიპის დახმარება მნიშვნელოვანი.

პირველი ნაბიჯია ბიზნესისთვის თავის წარდგენა. პირადი კონტაქტების გამოყენებასთან ერთად, წარმატებული პროფესიული სასწავლებლები ხშირად მართავენ შეხვედრებს და პრეზენტაციებს, სადაც პოტენციურ პარტნიორებს შეუძლიათ შენობის დათვალიერება, პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება და თანამშრომლობის შეთავაზება, კითხვებზე პასუხის გაცემა. ჩვენ დავესწარით ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას კოლეჯ აისსში, რომელიც კაჭრეთში მდებარეობს (კახეთის რეგიონი) და რომელსაც ცენტრებს შორის სოფლის მეურნეობის მიმართულების ყველაზე მეტი სტუდენტი ჰყავს.

²⁹ინტერვიუ პროფესიული განათლებისადამომზადების ცენტრსპექტრის დირექტორთან, როინ ტაკიძესთან, 2016 წლის 2 თებერვალი.

აისის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება თავის რეპუტაციას 2007 წლიდან აშენებს, UNDP-ის მნიშვნელოვანი დახმარებით. კოლეჯს UNDP დაეხმარა თავისი სერვისი გაეგრძელებინა კახეთის ხუთ მუნიციპალიტეტში. UNDP ასევე დაეხმარა კოლეჯს ყველა ზომის ფერმერებთან მუდმივი კომუნიკაციების დამყარებაში, გააცნო მათ ზოგადი ტექნიკური ნოუ-ჰაუდა კოლეჯში სწავლის შესაძლებლობები. აისს აქვს სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთები, სადაც ახალი აღჭურვილობა და ტექნიკა გამოიყენება და ფერმერებს კონსულტაციებს უწევენ მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამ ეტაპზე ცენტრმა 60-მდე სასოფლო-სამეურნეო კომპანიასთან დაამყარა მჭიდრო კავშირიკახეთში, ხოლო სტაჟირების და სამუშაო პრაქტიკის პროგრამები როგორც ჩანს, სრულად შეესაბამება კოლეჯის სტუდენტების საჭიროებებს.³⁰

დიდი ჯიხაიშის პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრი ორიენტირებულია ძალიან სპეციფიკურ მიმართულებაზე, როგორცაა მექანიზაცია და ტრაქტორები. რადგანაც ხელისუფლება დაეხმარა მექანიზაციის ცენტრის მშენებლობას ქვეყნის მასშტაბით, ბუნებრივია, რომ პროფესიულ ცენტრს დახმარება შეუძლია ამ კუთხით.ჩვენ ვესაუბრეთ მექანიზაციის ცენტრებს მთელს იმერეთში და მათ, რომლებიც სამტრედიასთან ახლოს მდებარეობენ, დიდი ჯიხაიშის კოლეჯთან აქტიური თანამშრომლობა აქვთ.მაგალითად, სამტრედიის მექანიზაციის ცენტრში დასაქმებული 120 ადამიანიდან დაახლოებით80-ს აქვს გავლილი მცირე კურსები ან სრული პროფესიული განათლების პროგრამა დიდი ჯიხაიშის კოლეჯში.

ბიზნეს სექტორის დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ

არსებული პარტნიორი კერძო კომპანიების გამოცდილება

ინტერვიუები, რომლებიც ჩავატარეთ პროფესიული განათლების პარტნიორ კერძო კომპანიებთან აჩვენებს, რომ პროფესიული განათლების დაწესებულების სტუდენტებისთვის პრაქტიკული ტრენინგების შეთავაზების მთავარი მოტივატორი ამ კომპანიებისთვის არის ამ სტუდენტებს შორის პერსპექტიული და ახალგაზრდა პოტენციური თანამშრომლების აღმოჩენის შესაძლებლობა.იმერეთის სოფლის მეურნეობის სექტორში უნარებისა და სპეციალიზაციის სერიოზული სიმცირეა და ამ ტიპის თანამშრომლობა ხელსაყრელია სამივე მხარისთვის - პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრები, კერძო კომპანიები და სტუდენტები. ზოგიერთ შემთხვევაში კერძო სექტორის წარმომადგენლებს ამ ტიპის თანამშრომლობისთვის ფულად ანაზღაურებასაც სთავაზობენ.ანაზღაურების საკითხი და ოდენობა მთლიანად დამოკიდებულია პროფესიული დაწესებულების გადაწყვეტილებაზე და ორმხრივ მოლაპარაკებაზე.

ბიზნეს სუბიექტების უდიდესი რაოდენობა, ვისაც ვესაუბრეთ,არ საჭიროებს უმაღლეს განათლებას თავისი დასაქმებულებისთვის და უფრო მეტ ყურადღებას მათ პროფესიულ გამოცდილებასა და პრაქტიკულ უნარებს უთმობენ.თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორი კომპანიები, როგორც წესი, უკმაყოფილონი არიან იმ პრაქტიკული და ზოგჯერ თეორიული ცოდნითაც კი, რასაც სტუდენტები იღებენ კოლეჯებში სწავლის შედეგად.ქუთაისშირძის მწარმოებელი კომპანიის მესაკუთრემ,

³⁰ინტერვიუპროფესიულიგანათლებისადამოზადებისცენტრის, აისისდირექტორისმოადგილესთან, მალხაზასლამაზაშვილთან, 2016 წლის 6 თებერვალი.

რომელიც ერთ-ერთია აწსუ-ს მცირერიცხოვან პარტნიორებს შორის, უკმაყოფილება გამოთქვა, რომ მართალია, კოლეჯი ეკითხება კომპანიას, რომელი უნარების და კომპეტენციის განვითარების საჭიროებას ხედავს, მაგრამ „როგორ ასწავლიან, ეს კიდევ სხვა საქმეა“. ის ასევე უკმაყოფილო იყო იმ ზოგადი განათლების დონით, რომლითაც სტუდენტი ირიცხება კოლეჯში სასწავლებლად.³¹

ყველას, მათ შორის, მშობლებს ურჩევნიათ პირმა მიიღოს უმაღლესი განათლება, რაც უფრო პრესტიჟულად მიიჩნევა. იმ კომპანიების წარმომადგენლებიც კი, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობენ, თვლიან, რომ პროფესიული განათლება საზოგადოებაში არ არის პოპულარული და ხალხი უპირატესობას საუნივერსიტეტო განათლებას ანიჭებს.³² უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის სფერო და სოფლად დარჩენის პერსპექტივა ახალგაზრდების უმრავლესობას არ ხიბლავს.³³ თერჯოლის ერთ-ერთი ფერმის მესაკუთრე გამოეხმაურა აღნიშნულ მოსაზრებას:

“ზმირად, პროფესიული კოლეჯების სტუდენტების ერთადერთი მოტივაცია არის სერტიფიკატი, რომელიც მათ შესაძლოა გამოადგეთ. მაგრამ სასწავლო პროცესის ხარისხი უგულვებელყოფილია როგორც სტუდენტების, ასევე მასწავლებლების მიერ.”³⁴

ჩაის ბიზნესის მესაკუთრემ წყალტუბოდან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მაშინაც კი, როცა მასწავლებელი კვალიფიციურია, სასწავლო მასალა და ლიტერატურა მოძველებულია. ეს ბიზნესს აიძულებს, დიდი დრო დაუთმოს პრაქტიკაზე მოსული სტუდენტების განათლებას, რადგან მათი მეთვალყურეობის გარეშე დატოვება შეუძლებელია: „როცა ბიზნესს მართავ, ექსპერიმენტების დრო არ არის“.³⁵

ზოგიერთმა პარტნიორმა ორგანიზაციამაც განაცხადა, რომ პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა ის არ აღმოჩნდა, რასაც ელოდნენ. მაგალითად, ხორცის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აწსუ-მ მიმართა მათ სტაჟირებებთან დაკავშირებით. 2014 წელს აწსუ-მ ექვსი სტუდენტი გაუშვა სტაჟირებაზე ამ კომპანიაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მინიმუმ ერთთვიან თანამშრომლობას ელოდა, პრაქტიკა სულ ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდა.³⁶ მეორე შემთხვევაში, მეცხოველეობის ფერმის მფლობელმა ქუთაისიდან განაცხადა, რომ მართალია, ისინი სიამოვნებით იღებენ სტუდენტებს სტაჟირებაზე, მაგრამ მათ მუშაობის სურვილი არ აქვთ. უფრო მეტიც, სტუდენტებმა ელემენტარული თეორიული ცოდნაც კი ვერ აჩვენეს, რაც სავარაუდოდ მოძველებული სასწავლო მასალის ბრალია. აღნიშნულ ბიზნესს სურდა თანამშრომლის აყვანა სრულ განაკვეთზე, მაგრამ ვერ ნახა მონდომებული სტუდენტი, თუნდაც მინიმალური კვალიფიკაციით.³⁷

³¹ინტერვიუ მდისმწარმოებელი ფერმის მესაკუთრესთან ქუთაისში, 2015 წლის 15 დეკემბერი.

³²ინტერვიუ ფუტკარის ბიზნესის მესაკუთრესთან სამტრედიისში, 2015 წლის 17 დეკემბერი.

³³ინტერვიუ კარტოფილის ფერმის მესაკუთრესთან საჩხერეში, 2015 წლის 12 დეკემბერი.

³⁴ინტერვიუ ფერმერული მომსახურების მესაკუთრესთან თერჯოლაში, 2015 წლის 11 დეკემბერი.

³⁵ინტერვიუ ჩაის ბიზნესის მესაკუთრესთან ქუთაისში, 2015 წლის 10 დეკემბერი.

³⁶ინტერვიუ ხორცის მწარმოებელი ფერმის მესაკუთრესთან ქუთაისში, 2015 წლის 13 დეკემბერი.

³⁷ინტერვიუ მეცხოველეობის ფერმის მესაკუთრესთან ქუთაისში, 2015 წლის 18 დეკემბერი.

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ბიზნესი კვალიფიციური თანამშრომლების სიმცირეს განიცდის, მაგრამ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ ნდობა დაბალია იმ ბიზნეს სუბიექტებისთვისაც კი, ვინც გარკვეული ფორმით ჩართული არიან სასწავლებლების მუშაობაში.

პოტენციური პარტნიორები კერძო სექტორიდან

საველე სამუშაოების შედეგად ჩვენ გამოვკითხეთ იმერეთის 40 სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი, მათ შორის, პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრების 10 პარტნიორი კერძო კომპანია აგრარული სფეროდან. დარჩენილ 30 ბიზნეს სუბიექტს არ ჰქონდა რაიმე თანამშრომლობა პროფესიული განათლების დაწესებულებებთან. პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით იმ ბიზნეს სექტორის დამოკიდებულება, რომელიც არ თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, შევისწავლეთ ზოგადად, გავარკვეეთ მათი ცნობიერება იმერეთში არსებულ კონკრეტულ პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით და შევისწავლეთ მათი პარტნიორობის სურვილი.

ცხრილი 10: 30 აგრობიზნესის სუბიექტის დამოკიდებულება, ცნობიერება და ინტერესი პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებთან დაკავშირებით იმერეთში

პოზიტიური დამოკიდებულება პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრების მიმართ	ზოგადად	8/30
ინფორმირებულობა იმერეთში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ		8/30
თანამშრომლობით დაინტერესება		20/30

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების უმრავლესობის განცხადებით, პროფესიული განათლების სექტორი ძლიერი იყო საბჭოთა პერიოდში, მაგრამ მათ არ ქონდათ ინფორმაცია ამ სფეროში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების შესახებ და ზოგადად, ნაკლებად ენდობოდნენ პროფესიული განათლების სუბიექტებს. 30 გამოკითხულიდან მხოლოდ რვა მათგანს დადებითად პროფესიული საგანმანათლებლო სექტორი. ასევე, 30-დან მხოლოდ რვა სუბიექტი აღმოჩნდა ინფორმირებული იმერეთში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ.³⁸ მეორეს მხრივ, ბიზნეს სუბიექტების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ (30 გამოკითხულიდან 20) გამოთქვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით დაინტერესება, ძირითადად სტაჟირების შეთავაზებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, გამორჩეული სტუდენტებისთვის სტიპენდიის დანიშვნის ფორმითაც კი. ეს ნათელს ხდის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნეს სექტორს შორის არსებულ ინფორმაციულ ვაკუუმსა და მიგვანიშნებს, რომ თანამშრომლობის შესაძლებლობა არსებობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგრობიზნესის წარმომადგენლების უმეტესობა არ არის ინფორმირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლებიც

³⁸მხედველობაშიამისადებისფაქტი, რომესრვაკომპანიაარარისერთიდაიგივე. ზოგიერთიკომპანია, რომელიცდადებითადაფასებდაპროფესიულიგანათლებისსექტორს, არიყოინფორმირებულიიმერეთშიარსებულიპროფესიულიცენტრებისშესახებ.

ხელმისაწვდომია იმერეთის რეგიონში. ზოგიერთ შემთხვევაში, კოლეჯების მიერ დასახელებულ პარტნიორთა სიაში არსებულმა ბიზნეს სუბიექტებმა არც კი დაადასტურეს თანამშრომლობის ფაქტი.

ნდობის დაბალი დონე პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მიმართ არის მთავარი მიზეზი ბიზნეს სექტორის ნაკლები ჩართულობისა. მათ არ აქვთ ინფორმაცია იმ ცვლილებების შესახებ, რასაც ბოლო პერიოდში ადგილი ჰქონდა პროფესიული განათლების სფეროში. მართალია, ეს უფრო ზოგადი გამოწვევაა, მაგრამ არსებობს კონკრეტული, პრაქტიკული მიზეზებიც რის გამოც ბიზნესს არ აქვს პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებთან თანამშრომლობის სურვილი.

ჭიათურაში არსებული თევზის ფერმის მფლობელმა ეჭვი შეიტანა პროფესიული განათლების დაწესებულებების კვალიფიციურობაში და შესაბამისად, სტუდენტებისთვის მათ მიერ თევზის სფეროში მიწოდებული ცოდნის ხარისხში: „მათ შეიძლება გასცენ სერტიფიკატები ან დიპლომები, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან მათ არ აქვთ საკმარისი ცოდნა იმისთვის, რომ ასწავლონ. თევზის სფეროში აუცილებელია კარგი პრაქტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტები ბევრს ვერაფერს ისწავლიან.“³⁹

ბიზნესის ზომა და ტიპი ასევე მნიშვნელოვანია. შედარებით მცირე ზომის კომპანიები უფრო ხიან მოკლე ვადიან თანამშრომლებს და სტაჟიორებს, რომლებმაც შესაძლებელია ისწავლონ, როგორ მუშაობს მათი ბიზნესი, გამოიმუშაონ საჭირო უნარები და დაიწყონ საკუთარი ბიზნესი. ხშირად ასეთი მცირე ბიზნესებს მიეკუთვნება ოჯახური მეფუტკრეობა ან რძის შემგროვებელი ცენტრები.

„არ მჭირდება სტაჟიორები იმიტომ, რომ ეს ფუტკრების მცირე ბიზნესია და მე და ჩემი ოჯახი ვუმკლავდებით. მეფუტკრეობა არ არის ის, რაც თეორიულად შეიძლება ისწავლო, ამას სჭირდება პრაქტიკა და დიდი დრო, შეიძლება წელიწადზე მეტიც. რატომ უნდა მინდოდეს ამხელა დრო დავხარჯო ვიღაცისთვის სწავლებაში, რომელიც მერე წავა და შეიძლება ჩემი კონკურენტიც გახდეს?“⁴⁰

ასევე, რძის მწარმოებელი დიდი კომპანიის წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ ისინი არ არიან დაინტერესებული სტაჟიორების შეთავაზებით, რადგან მათ საკუთარი უნიკალური ნოუ-ჰაუ გააჩნიათ და აქვთ ბიზნესის კეთების საკუთარი გზები, რაც არ უნდათ სხვებს გაუზიარონ.⁴¹

არსებობენ ისეთი ბიზნეს სუბიექტებიც, რომლებიც თვლიან, რომ არც საჭიროებენ სტაჟიორებს და არც მზად არიან მათთვის ზედამხედველობაში დრო დახარჯონ. მეცხოველეობის ფერმის წარმომადგენელმა ხონიდან, განაცხადა, რომ ის უბრალოდ მზად არ არის სტაჟიორების ასაყვანად, რადგან ეს არ შეესაბამება მისი ბიზნესის სტრუქტურას.⁴²

იმერეთში არსებული პროფესიული განათლების ცენტრების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. 308 გამოკითხული კომპანიიდან მხოლოდ რვა იყო ინფორმირებული რეგიონში

³⁹ინტერვიუ თევზის ფერმის მესაკუთრესთან ჭიათურაში, 2015 წლის 7 დეკემბერი.

⁴⁰ინტერვიუ მეფუტკრეობის მცირე ფერმის მესაკუთრესთან სამტრედიის რაიონში, 2015 წლის 14 დეკემბერი.

⁴¹ინტერვიუ რძის მწარმოებელი ფერმის მესაკუთრესთან ქუთაისში, 2015 წლის 15 დეკემბერი.

⁴²ინტერვიუ მეცხოველეობის ფერმის მესაკუთრესთან ხონში, 2015 წლის 15 დეკემბერი.

არსებული ცენტრების შესახებ. მაგალითად, ჩვენ ვესაუბრეთ რძის წარმოების სფეროს ახალ ინვესტორს იმერეთში, რომელმაც განაცხადა, რომ ის ემებდა კოლეჯს, რომელთანაც ითანამშრომლებდა დარომელსაც შესთავაზებდა რძის პროდუქტის სპეციალისტების გადამზადებას ლაბორატორიული სამუშაოებისთვის. ის გადაამისამართეს გორის კოლეჯში და შესაბამისად მათ შესთავაზა თანამშრომლობა. მისი განცხადებით, მის კომპანიას რომ სცოდნოდა იმერეთში არსებული კოლეჯების შესახებ და ჰქონოდა ინფორმაცია მათი სერვისის ხარისხიანობის შესახებ, სიამოვნებით ითანამშრომლებდნენ სწორედ ქუთაისის კოლეჯებთან.⁴³ კიდევ ერთმა კომპანიამ თერჯოლიდან, რომელიც კონსერვების წარმოების ბიზნესშია, განაცხადა, რომ ისინი ამ ეტაპზე გორში არსებულ კოლეჯთან თანამშრომლობენ.⁴⁴

ბიზნეს სუბიექტების უმრავლესობა დაინტერესებულია პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრებთან თანამშრომლობით მხოლოდ იმის გამო, რომ იპოვონ შესაბამისი მუშახელი სტუდენტებს შორის (30 კომპანიიდან 20-მა უპასუხა კითხვას ამგვარად). როგორც წესი, ბიზნესები არ აქვთ დადებითი აზრი პროფესიული განათლების მიმწოდებლების შესახებ, თუმცა, ზოგიერთმა ბიზნეს-წარმომადგენელმა მზაობა გამოთქვა არა მხოლოდ თანამშრომლობისთვის, არამედ ინვესტიციისთვისაც, რომ გაუმჯობესდეს ზოგადი ხარისხი და განათლება მათ კონკრეტულ საჭიროებებზე იყოს მორგებული. მაგალითად, თერჯოლის ფერმერული მომსახურების მესაკუთრემ განაცხადა, რომ სიამოვნებით დაუნიშნავდა სტიპენდიას პროფესიული კოლეჯის სოფლის მეურნეობის მიმართულების სამ წარმატებულ სტუდენტს.⁴⁵

არაფორმალური და არაოფიციალური პროფესიული განათლება

საქსტატისა და სხვა მონაცემთა ბაზების მიხედვით, მცირე ფერმები იმერეთში და მთლიანად საქართველოში წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიმწოდებლების უმრავლესობას. მიწის მცირე ნაკვეთზე მუშაობა და ცხოველების მცირე რაოდენობის მოვლა-პატრონობა არ არის საკმარისი მოტივაცია პროფესიული განათლებისა და მომზადების კოლეჯებთან თანამშრომლობისთვის. შესაბამისად, მცირე ზომის ფერმებს არ გააჩნიათ ნდობა ინფორმაციის სხვა წყაროების მიმართ.

საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურები შეიქმნა 2013 წელს და მათ აქვთ ორი ძირითადი ფუნქცია: 1) ისინი აგროვებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეძლოს ქვეყნის მასშტაბით მოძიებული ინფორმაციის დამუშავება და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები; და 2) ადგილობრივ ფერმერებს უწევენ კონსულტაციას და ეხმარებიან ბიზნესის განვითარებაში. შესაბამისი მომზადებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში ამ სამსახურებს შეუძლიათ ეფექტურად გააფართოვონ თავიანთი მომსახურება. შესაძლებელია მათი ჩართვა სოფლის მეურნეობის პროფესიული განათლების პროგრამებში, სადაც შესაძლებელია სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა.

⁴³ინტერვიუახლადდაწყებულირძისპროდუქტისწარმოებელთანთერჯოლაში, 2015 წლის 25 დეკემბერი.

⁴⁴ინტერვიუკონსერვებისწარმოებელიქარხნისმესაკუთრესთანთერჯოლაში, 2015 წლის 14 დეკემბერი.

⁴⁵ინტერვიუფერმერულიმომსახურებისმესაკუთრესთანთერჯოლაში, 2015 წლის 14 დეკემბერი.

კვალიფიციური ფორმალური საკონსულტაციო მექანიზმების ნაკლებობის გამო, ადგილობრივი ფერმერები და აგრობიზნესის წარმომადგენლები არაფორმალურ არხებს იყენებენ საჭირო ინფორმაციისა და რჩევების მისაღებად. პირისპირ საუბრები და არაფორმალური განხილვები, ე.წ. უფასო კონსულტაციები არის მთავარი გზა ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მისაღებად იმერეთში, მათ შორის, ვეტერინარულ საქმიანობაზე, წამლებზე, შხამ-ქიმიკატებზე, აგრონომიაზე, მარცვლეულზე, სასუქზე და პესტიციდებზე კონსულტაციების მიღებისთვის. განხილვები ხდება ნათესავებთან, მეგობრებთან და მეზობლებთან ან კვალიფიციურ და გამოცდილ ადგილობრივ ფერმერებთან. ჩვენ ასევე გვაქვს შემთხვევა, როდესაც კონსერვების მწარმოებელი კომპანიის დირექტორმა თერჯოლიდან რჩევისთვის მიმართა მის უცხოელ კოლეგას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტზე ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა მაღაზიები. აქ იგულისხმება ინფორმაცია ამა თუ იმ სასუქის ან პესტიციდის გამოყენების ინსტრუქციასთან დაკავშირებით, რომელიც იყიდება მაღაზიაში. თუმცა, ინფორმირებული არჩევანის გაკეთება და არა მხოლოდ პროდუქტის გამყიდველის რჩევებზე დაყრდნობა ერთდროულად აუცილებელიცაა და პრობლემურიც ფერმერებისთვის. ინფორმაციის მიღებისას მისკომუნიკაცია ან არასწორი ინტერპრეტაცია ძალიან ხშირია და გამოწვეულია ზოგიერთი ფერმერის მიერ უცხო ენის არასაკმარისი ცოდნით და კომპიუტერის/ინტერნეტის გამოყენების არცოდნით, რაც შეეძლოთ ინფორმაციის მოძიებისთვის გამოყენებინათ.

ადეკვატური ინფორმაციის სიმცირე ასევე კომპიუტერებზე ხელმისაწვდომობის არარსებობის შედეგიცაა. საქართველოს სოფლებში ხუთიდან მხოლოდ ერთი ოჯახი ფლობდა კომპიუტერს 2013 წელს.⁴⁶ თუმცა, ამიღბლიანი უმცირესობისთვისაც კომპიუტერზე ხელმისაწვდომობა არ ნიშნავს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას თუ ეს ინფორმაცია არ მოიპოვება შესაბამის ენაზე და თუ პირმა არ იცის, როგორ მოიპოვოს აღნიშნული ინფორმაცია.

ურბანულ დასახლებაში არსებულსოფლის მეურნეობის პროდუქტის მომწოდებლებს ძალიან უჭირთ კვალიფიციური კადრების მოძიება, რადგან აქ სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობის სურვილი ნაკლებია და არსებული ანაზღაურება ვერ ფარავს საცხოვრებლის ქირას ან მგზავრობის ხარჯებს. ეს ცუდად მოქმედებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზეც.

ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი არაფორმალური საშუალებაა ადგილზე კონსულტაციები. აქ, როგორც წესი, იგულისხმება ვეტერინარის მიერ დრო და დრო ფერმებში ვიზიტი ისევე, როგორც სატელეფონო კონსულტაციები გადაუდებელ ან ყოველდღიურ საკითხებზე. ვეტერინარები და კონსულტანტები, როგორც წესი, ადგილობრივი პროფესიონალები არიან, თუმცა, შესაძლოა სხვა მუნიციპალიტეტიდან იყვნენ იმერეთის ან მთელი საქართველოს მასშტაბით. თუმცა, ძალიან რთულია ადგილობრივი პროფესიონალის პოვნა და, როცა შესაძლებელია, ერთი პროფესიონალი ემსახურება რამდენიმე ბიზნესს ერთდროულად და სრული განაკვეთით არცერთგანაა დასაქმებული. ამავდროულად, იმ მიზნით, რომ შეამცირონ გარეშე დახმარების საჭიროება, ფერმერები სწავლობენ ამ კონსულტაციების საფუძველზე, მაგრამ ბევრი ფერმერი მაინც საჭიროებს სრულ განაკვეთზემომუშავე ახალგაზრდა პროფესიონალ ვეტერინარს. ერთ-ერთი ფერმერის თქმით:

⁴⁶ CRRC კავკასიისბარომეტრი, 2013, (<http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/OWNCOMP-by-SETTYPE/>)

„მე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი თბილისში როდესაც მომივიდა [მეფრინველეობის] ფერმის წამოწყების იდეა, გავიკითხე ამ სფეროს სპეციფიკის შესახებ და გავიარე კონსულტაციები ვეტერინარებთან. ამ კონსულტაციებიდან შევიტყვე, რა და როგორ გამეკეთებინა. ახლა, როცა რაიმე მჭირდება, მაგალითად, როცა რაიმე უცნაურს შევნიშნავ რომელიმე ქათამს, ვრეკავ თბილისში ვეტერინართან და ვეკითხები; ეს მუშაობს, მაგრამ მართლა მინდა, რომ ადგილობრივად მყავდეს ერთი ვეტერინარი, მაგრამ ვერ ვპოულობ, მითუმეტეს, რომ ეს ძალიან პატარა სოფელია.“

ზოგიერთი მსხვილი ფერმერი იყენებს ონლაინ დაოფლაინ ინფორმაციის წყაროებს, როგორცაა ინტერნეტში არსებული რეკომენდაციების მოძიება ან საერთაშორისო ან რეგიონულ სოფლის მეურნეობის სიმპოზიუმებზე (სადაც მათ შეიძლება შეიტყონ ახალი ტექნოლოგიებისა და დანადგარების შესახებ) და კონფერენციებზე დასწრება, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია სფეროში არსებული სიახლეების შესახებ და შეეცადონ მათი საქართველოში განხორციელება. თუმცა, ასეთი ფერმერი ძალიან ცოტაა იმერეთში და ძირითადად წარმოადგენენ მსხვილ საწარმოებს ან საკონსულტაციო ცენტრებს.

ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო კოოპერატივების დახმარება ქვეყნის მასშტაბით. ამ ინიციატივამ მიიქცია მნიშვნელოვანი ყურადღება საერთაშორისო დონორებისა და არასამთავრობო სექტორისგან. მართალია ამ ეტაპზე არცერთი პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრი თანამშრომლობს კოოპერატივთან, მაგრამ ასეთი თანამშრომლობისთვის აშკარად არსებობს პოტენციალი. კოოპერატივები ხშირად იღებენ გრანტებს ან დაბალპროცენტიან სესხებს სამთავრობო ან დონორთა პროექტების ფარგლებში. თუ პროფესიული განათლების დაწესებულებები შეძლებენ საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცებას, მათი შანსები, რომ მიიღონ დამატებითი დაფინანსება, გაიზრდება. რაც უფრო მნიშვნელოვანია, იდეალურ შემთხვევაში, კოოპერატივები შესაძლოა გადაიქცნენ ისეთ პლატფორმად, რომელთა საშუალებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები შეძლებენ პროფესიული ნოუ-ჰაუს დემონსტრირებას, ნაცვლად იმისა, რომ იყვნენ დაწესებულებები, სადაც ფერმერთა მცირე ჯგუფი ერთმანეთს უზიარებს საკუთარ გამოცდილებას.

იმერეთის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აგრონომიის და ვეტერინარიის სასწავლო პროგრამების არარსებობა და ზოგადად მათზე ინფორმაციის სიმცირე ქმნის დამატებით დაბრკოლებებს ფერმერებამდე საჭირო ინფორმაციის მიტანის კუთხით. შესაბამისად, ყველა ეს ფაქტორი ერთად აღებული ხელს უწყობს იმას, რომ ინფორმაციის მისაღებად უმნიშვნელოვანეს როლს სწორედ არაფორმალური არხები ასრულებს იმერეთში.

საერთაშორისო პრაქტიკა

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს მაგალითის გამოყენება საქართველოში კერძო სექტორთან თანამშრომლობის სტრატეგიის შესაქმნელად ერთი შეხედვით არასწორი მიდგომაა.

გაერთიანებული სამეფოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10-ჯერ მეტია, ვიდრე საქართველოში⁴⁷ და მისი მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით 14-ჯერ დიდია. ⁴⁸ მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ორ ქვეყანას საერთოც აქვს. ბრიტანული პროფესიული განათლების სისტემა მრავალფეროვანია, პროფესიული განათლების შეთავაზება ხდება სკოლებში, უნივერსიტეტებში, სამრეწლო სკოლებსა და კერძო კომპანიებში. პროფესიული განათლების სისტემის ამუშავების მიზნით, ბრიტანული სისტემა მოდულზე ორიენტირებულია, აღნიშნული ქვეყანა იყენებს იმ მოდელს, რომლის დანერგვასაც საქართველო დღეს აქტიურად ცდილობს.

ბრიტანული პროფესიული განათლების სექტორი ფუნქციონირებს სისტემით, რომელიც ძალიან წააგავს ქართულს. „პროფესიული უნარების საბჭოები“ წარმოადგენენ კერძო სექტორის ჩართულობის საწყის წერტილს, და აქვთ მსგავსებები საქართველოში არსებულ დარგობრივ საბჭოებსა და დარგობრივ სამუშაო ჯგუფებთან, რომლებიც ზევით განვიხილეთ.

რაც სავარაუდოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ბრიტანეთს არ გააჩნია ხელისუფლების/დამსაქმებლების/დასაქმებულების ჩართულობის ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც გერმანიას და ჩრდილოეთ ევროპას, მიუხედავად იმისა, რომ „კერძო სექტორის ჩართულობა“ ოფიციალურად მიიჩნევა ბრიტანული სისტემის მამოძრავებელ ძალად. ბრიტანეთში ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის საჯარო პოლიტიკაში ჩართულობა ცოტა ფორმალიზებულია. შედეგად, მჭიდრო საჯარო/კერძო თანამშრომლობის განვითარების მცდელობები საკმაოდ პრობლემურია.

გაერთიანებული სამეფოს *vis-à-vis* კერძო სექტორის ჩართულობის გამოცდილება შესაძლებელია შეჯამდეს შემდეგ სამ რეკომენდაციაში:

- განვსაზღვროთ დამსაქმებლის მოლოდინი და განვსაჯოთ ჩართულობის რეალისტური ხარისხი
- შევეცადოთ ჩართულობა იყოს რაც შეიძლება ნაკლებად გართულებული ადმინისტრაციული პროცესი
- ჩართულობის საუკეთესო ხარისხი ჩნდება მაშინ, როცა დამსაქმებელი პირდაპირ კავშირზეა პროფესიული განათლებისა და მომზადების ცენტრთან საკუთარი პერსონალის განვითარების მიზნით

გაერთიანებულ სამეფოში 2010 წელს დაიწყო რეფორმების ტალღა პროფესიული განათლების სფეროში. რეფორმების საჭიროება განაპირობა საერთაშორისო დონეზე განათლების სფეროში კონკურენციის ზრდის აღქმამ. როგორც მთავრობის ანგარიშშია აღნიშნული: „ბრიტანულმა ბიზნესმა და მათმა პერსონალმა შესაძლებელია ისარგებლონ ვაჭრობის ზრდითა და ახალი საექსპორტო ბაზრებით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

⁴⁷ მსოფლიო ბანკი, *მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ვალუტა US\$)*, 2014.

<http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁴⁸ მსოფლიო ბანკი, *მოსახლეობა, ჯამური*, 2014. <http://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

მათ საკმარისი უნარები ექნებათ გლობალური კონკურენციისთვის. ასე რომ, პროფესიული განათლება უმნიშვნელოვანესია ერის მიერ წარმატების მიღწევის პროცესში.⁴⁹

რეფორმები 2010 წლიდან

გაერთიანებული სამეფოს 2010 წლის ერთიანი არჩევნების შემდეგ განხორციელდა ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირება იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ადმინისტრაციის რაციონალიზაცია და ეს სფერო შესაბამისობაში მოსულიყო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. რეფორმები მოიცავდა ასევე მცდელობებს, რომ მომხდარიყო პროფესიული განათლებისა და მომზადების დეცენტრალიზაცია და უზრუნველყოფილიყო, რომ „დაფინანსება დღეს მოსწავლეს მიჰყვება“⁵⁰ ერთიანი მოზრდილთა უნარებზე დაფუძნებული ბიუჯეტის საშუალებით, რომელზეც ზედამხედველობას უნარების დაფინანსების სააგენტო და განათლების დაფინანსების სააგენტო ახდენენ. აღნიშნულმა მეტად გაზარდა დამსაქმებლისა და სტუდენტის ურთიერთობის მნიშვნელობა.

გაერთიანებული სამეფოს პროფესიულ უნარებზე დაფუძნებული სტრატეგია ამჟამად ფოკუსირებულია შრომისმოყვარეობისა და რეაგირების კონცეფციაზე. პროფესიული კვალიფიკაცია უნდა იყოს შრომისმოყვარეობაზე დაფუძნებული იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს დამსაქმებლის მოთხოვნები და უზრუნველყოს სტუდენტის კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად, პროფესიული განათლებისა და მომზადების სიტემას უნდა შეეძლოს რეაგირება, ე.ი. მოქნილი იყოს დამსაქმებლისა და სტუდენტის საჭიროებების მიმართ (მათ შორის, ხელისუფლების ან დამსაქმებლის თანადაფინანსების შესაძლებლობით), აუცილებელია, რომ საზოგადოებას მიაწოდოს ფართოდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.⁵¹ ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით გაერთიანებულ სამეფოში 2010 წლიდან დაწერგილ ყველაზე ყურადსაღებ რეფორმებს.

რეფორმებს შორისაა სასწავლო პრაქტიკის მნიშვნელოვნად გაზრდა. 2013 წელს გაერთიანებულმა სამეფომ განაცხადა, რომ გამოყოფდა £40 მილიონს 20,000-ზე მეტი სასწავლო პრაქტიკის დაფინანსებისთვის 2013-2014 და 2015-2016 სასწავლო წლებში. 2014 წელს დამატებით £20 მილიონი გამოიყო 2014-2015 და 2015-2016 სასწავლო წლებისთვის, რომ დამსაქმებლებთან ერთად მომხდარიყო სასწავლო პრაქტიკის თანადაფინანსება, მათ შორის, უმაღლესი განათლების სტუდენტებისთვის მაგისტრატურის საფეხურამდე.⁵² 200,000-

⁴⁹ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 4. <https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵⁰ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 10 <https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵¹ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 5-6. <https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵² ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2015), *მოზრდილთა პროფესიული განათლების ორმაგი მანდატი*, გვ. 32.

ზე მეტმა დამსაქმებელმა მიიღო სასწავლო პრაქტიკის პროგრამებში მონაწილეობა და 500,000-ზე მეტი სასწავლო პრაქტიკა დაიწყო 2012 წელს. 2009-2010 წლებთან შედარებით სასწავლო პრაქტიკის დაწყების რიცხვი 86%-ით გაიზარდა. აქ შედის მაღალი დონის სასწავლო პრაქტიკა (საფეხური 3), რომელიც 2009-2010 სასწავლო წლის შემდეგ 114%-ით გაიზარდა.⁵³ უფრო მეტიც, სასწავლო პრაქტიკის წარმატების მაჩვენებელი, რომელიც სტუდენტების იმ რაოდენობით იზომება, რომლებმაც პროექტის ყველა ეტაპი გაიარეს, 2005-2006 სასწავლო წლის 48.6%-იანი მაჩვენებელთან შედარებით გაუმჯობესდა და 2011-2012 სასწავლო წლისთვის გახდა 73.8%.⁵⁴

სასწავლო პრაქტიკის რეფორმასთან ერთად დაიწყო კერძო სექტორისთვის ინოვაციური მოტივატორების შეთავაზება, რათა მომხდარიყო მათი წახალისება, რომ მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში £340 მილიონიანი სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად. დაფინანსება განკუთვნილი იყო ახალი, ინოვაციური ტრენინგ მიდგომების დანერგვაში დახმარებისთვის. აღნიშნული პროგრამა ძალიან პოპულარული გამოდგა და ისეთი საინტერესო საქმიანობების ჩამოყალიბება განაპირობა, როგორცაა BMW-ს მუშაობა სიმენსის ფირმასთან. ამ ინიციატივამ კერძო სექტორიდან დამატებითი ინვესტიციების გამოყოფაც კი გამოიწვია.⁵⁵

უფრო მეტიც, დაიწყო დაბალპროცენტის სესხების შეთავაზება 24 წელს ზევით ასაკის პირებისთვის, ვისაც სურდა სწავლის მაღალ საფეხურზე გაგრძელება. ანგარიშის მიხედვით, „ეს ადამიანებს აძლევს დაბალრისკიან შანსს, რომ მოახდინონ ინვესტირება საკუთარ უნარებზე, რისთვისაც გადახდა მოუწევთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა კარგ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმდებიან. ეს აგრეთვე მსყიდველობით ძალაუფლებას მსწავლელის ხელში აქცევს და მათ ნამდვილი არჩევნის გაკეთების საშუალება ეძლევათ.“⁵⁶

ამ ეტაპისთვის გაერთიანებულმა სამეფომ გამოაცხადა დაბალი და ექვივალენტური კვალიფიკაციის პოლიტიკიდან რელაქსაციისა და გამონაკლისების პერიოდი, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, ისწავლონ ნახევარ განაკვეთზე უმაღლეს სასწავლებლებში ტექნოლოგიის, ინჟინერიის და კომპიუტერული პროგრამების

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/427342/bis-15-145-A-dual-mandate-for-adult-vocational-education.pdf (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵³ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 17.

<https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵⁴ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 10.

<https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵⁵ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 6-7.

<https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵⁶ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 7. <https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

ფაკულტეტებზე და მიიღონ სესხები სწავლის გადასახადისთვის 2015-2016სასწავლო წლიდან.⁵⁷

რეფორმების კვალდაკვალ, 2011-2012 წლებში 19 წლიდან და ზევით პირების 83.9%-მა მიაღწია კურსის ბოლოს კვალიფიკაციას. როგორც ზევით აღინიშნა, სასწავლო პრაქტიკის მაჩვენებელიც საგრძნობლად გაიზარდა. პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებათა საერთო კმაყოფილება ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.⁵⁸

კერძო სექტორის ჩართულობის ინტენსივობა და ხასიათი

პროფესიულ განათლებასა და კერძო სექტორს შორის კავშირის შენარჩუნების პასუხისმგებლობა გაერთიანებული სამეფოს დასაქმებისა და უნარების კომისიას ეკისრება. კომისიის ფუნქციაა ლიცენზირება და შედგება 25 პროფესიული უნარების საბჭოსგან. აღნიშნული საბჭოები წარმოადგენენ კერძო სექტორის ჩართულობის საწყის წერტილს.

პროფესიული უნარების საბჭოებს დამსაქმებლები ხელმძღვანელობენ.⁵⁹ თუმცა, ისინი განსხვავდებიან ქართული საბჭოებისგან რამდენიმე ნიშნით. პირველი, გაერთიანებულ სამეფოში ჯგუფების უფრო მეტი სახეობაა წარმოდგენილი ვიდრე საქართველოში, რადგანაც საქართველოში არსებული დარგობრივი საბჭოები და დარგობრივი სამუშაო ჯგუფები უფრო ზოგადი ხასიათისაა. მეორე, პროფესიული უნარების საბჭოების დაფინანსება მუდმივად ხდება ხელისუფლების მიერ, მაგრამ მათ ჰყავთ ცალკე პერსონალი, ამიტომ ისინი უბრალოდ კი არ მუშაობენ მთავრობისთვის, არამედ ნახევრად დამოუკიდებელი სუბიექტები არიან. მესამე, მათი მანდატი უფრო ფართოა. გაერთიანებულ სამეფოში პროფესიული უნარების საბჭოებს სამი როლი აქვთ: შეინარჩუნონ და განაახლონ პროფესიული სტანდარტები; წარმოადგინონ უკუკავშირი ზოგადად სისტემაზე; და დაეხმარონ მთავრობას დაფინანსების პრიორიტეტების დასახვასა და თავიანთ სფეროში ტრენინგების განხორციელებაში.

პროფესიული უნარების საბჭოების მუშაობაში ჩართულობის გარდა კიდევ ერთი გზა პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველსაყოფად არის სამუშაო და სასწავლო პრაქტიკის პროგრამები. ეს მიმართულება განსაკუთრებით გაძლიერდა 2010 წლის რეფორმების შემდეგ.

⁵⁷ ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2015), *მოზრდილთა პროფესიული განათლების ორმაგი მანდატი*, გვ. 32.

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/427342/bis-15-145-A-dual-mandate-for-adult-vocational-education.pdf (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵⁸ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 10.

<https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁵⁹ ტრენინგების ევროპული ფონდი (2013), *დარგობრივი უნარების საბჭოები. რა? რატომ? როგორ? შევუწყობთ ხელი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული განათლების შესაბამისობას*, გვ. 10.

[http://www.etf.europa.eu/eventsmgmt.nsf/\(getAttachment\)/E8ABC2132D7FBDBDC1257CB70056AA61/\\$File/SCs%20position%20paper.docx](http://www.etf.europa.eu/eventsmgmt.nsf/(getAttachment)/E8ABC2132D7FBDBDC1257CB70056AA61/$File/SCs%20position%20paper.docx) (ნანახია 2015 წლის 18 იანვარს).

სასწავლო პრაქტიკა სრულიად განსხვავდება პროფესიული ტრენინგის კომპონენტის-სამუშაო პრაქტიკისგან, რადგან სასწავლო პრაქტიკა გულისხმობს მეტ ინტეგრაციას სამუშაო გარემოში მთელი ტრენინგის განმავლობაში. სასწავლო პრაქტიკა, როგორც წესი, რომელიმე დამსაქმებლის მიერ ფინანსდება, ტრენინგის უდიდესი ნაწილი მიმდინარეობს სამუშაო ადგილზე და არა საკლასო ოთახში და პრაქტიკანტი იღებს ანაზღაურებას. 2010 წლის რეფორმები მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმის რწმენამ, რომ სასწავლო პრაქტიკა მაღალანაზღაურებადი სამუშაოს წინა საფეხურია და რომ ხშირად მოსწავლეები, რომლებიც სკოლას ამთავრებენ, სათანადოდ ვერ აფასებენ აღნიშნულის მნიშვნელობას. 2010 წლის რეფორმების შედეგად 200,000-ზე მეტმა დამსაქმებელმა მიიღო სასწავლო პრაქტიკის პროგრამებში მონაწილეობა, 500,000-ზე მეტი სასწავლო პრაქტიკა დაიწყო 2012 წელს და £100 მილიონზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო კერძო ბიზნესის მიერ მხოლოდ სასწავლო პრაქტიკის პროგრამებში.

2010 წლის რეფორმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო იმის გაცნობიერება, რომ მართალია, სასწავლო კურსი კონკრეტულ პროფესიებში მაღალი დონის უნარების განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმია, მაგრამ ასევე შესაძლებელია ნაკლებად ინტენსიური ტრენინგებით შედეგის მიღწევა. ეს იყო საშუალება, რომელიც ზემოქმედებას მოახდენდა სამუშაო გარემოზე და საბაზისო განათლების მიღების საშუალებას მისცემდა უმუშევარ პირებსა და სამსახურის მაძიებლებს. მომზადების ეს მოდელი არ იყო აუცილებლად იმ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაზე დაფუძნებული, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ პროფესიულ განათლებასთან ურთიერთობა. განათლებისა და სტრუქტურირებული სამუშაო პრაქტიკის შერწყმის შედეგად ამ მიდგომამ ნამდვილად მოახერხა პროფესიული განათლების გადაფარვა.

დიდ ბრიტანეთს ასევე აქვს უნარების ეროვნული აკადემიები (19)⁶⁰, რომელიც თავს უყრის კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და სხვა უწყებებს. აღნიშნული აკადემიები მჭიდროდ თანამშრომლობენ პროფესიული უნარების საბჭოებთან და იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებიც ტრენინგების პროგრამებს ეძებენ, კონტაქტის პირველად საშუალებას წარმოადგენენ.⁶¹

პრობლემები კერძო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებით და მიღებული გამოცდილება

ბრიტანეთის მთავრობის მცდელობამ, რომ დახმარებოდა პროფესიულ განათლებაში დამსაქმებლის ჩართულობას, გარკვეული პოზიტიური ცვლილებები გამოიწვია, და მათ შორის, შესაძლოა, რამდენიმე გამოცდილების გაზიარებასაქართველო ხელისუფლებასაც გამოადგეს. განსაკუთრებით ეს ეხება სასწავლო პრაქტიკის მიმართულების გაძლიერებას. თუმცა, ასევე სასარგებლო იქნება იმ მაგალითების მხედველობაში მიღება, როდესაც გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებას პრობლემები შეექმნა საჯარო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებით და იმ სტრატეგიების გათვალისწინება, რაც გამოყენებული იქნა ამ პრობლემებთან გასამკლავებლად. ანგარიშის თანახმად:

⁶⁰უნარების ეროვნული აკადემია. <http://www.nsa-network.co.uk/> (ნანახია 2015 წლის 18 იანვარს).

⁶¹ უნარების ეროვნული აკადემია, *რა არის უნარების ეროვნული აკადემია?*

<http://www.power.nscademy.co.uk/about-us/what-national-skills-academy> (ნანახია 2015 წლის 18 იანვარს).

„საჭიროა დამსაქმებლების უფრო ფართომასშტაბიანი ჩართულობა. 2012/13 წლის Osted-ის [განათლების, ბავშვთა მომსახურებისა და უნარების სტანდარტების ოფისი] ანგარიშში კვითხულობთ, რომ კიდევ არსებობს მიმართულებები, რომლებიც ვერ პასუხობს ადგილობრივი დამსაქმებლების მოთხოვნებს. პროფესიული განათლება უფრო მეტად უნდა იყოს კონცენტრირებული სამუშაო უნარების განვითარებაზე, უნდა არსებობდეს იმ დამსაქმებლებთან რეალური თანამშრომლობა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული კურიკულუმის, კვალიფიკაციებისა და შესაძლებლობების შექმნაში. პროფესიული განათლება უნდა განახორციელონ იმ მასწავლებლებმა და ტრენერებმა, რომლებსაც განახლებული პროფესიული და სწავლების გამოცდილება გააჩნიათ. ეს ორმხრივი მოძრაობის ქუჩაა.“⁶²

ყველაზე მარტივი პრობლემა იყო ის, რომ ბევრი დამსაქმებელი ჯერ კიდევ ვერ ხედავს მთავრობასთან თანამშრომლობის სასარგებლო მხარეებს. პროფესიული უნარების საბჭოები ვერ გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელი⁶³ და ვერ მოიპოვეს კერძო სექტორის ნდობა (კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესისა).⁶⁴ ეს, შესაძლოა, შედეგი იყოს წარსული გამოცდილებისა, როდესაც მთავრობისა და ბიზნესის თანამშრომლობა და ორმხრივი ჩართულობა იშვიათი მოვლენა იყო⁶⁵.

აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ ხშირად ხელისუფლება ნათლად ვერ გამოხატავს კერძო სექტორის მიმართ არსებულ მოლოდინებს. არსებობს ჩართულობის სხვადასხვა ხარისხი, და ბიზნესების უმეტესობას არ სჭირდება სრული ჩართულობა. სექტორული უნარების განვითარების ბრიტანული სააგენტო ასახელებს ჩართულობის ხუთ სხვადასხვა ფორმას, საიდანაც თითოეული საჭიროებს უფრო მეტ ინტერაქციას:

1. დამსაქმებლები ჩართულები არიან პროფესიული სექტორული უნარების საბჭოების სტრატეგიის შემუშავებაში, აქტიურად მუშაობენ ორგანიზაციულ დონეზე, მათ შორის, უკავშირდებიან პროფესიული სექტორული უნარების საბჭოების (პსუს) სამეთვალყურეო საბჭოს და წვლილი შეაქვთ პოლიტიკის განსაზღვრასა და ფინანსურ დახმარებაში.
2. დამსაქმებლები ჩართულები არიან კვალიფიკაციის შემუშავების პროცესში.

⁶² ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2014), *შემდგომი განათლების მუშახელის სტრატეგია: მთავრობის სტრატეგია შემდგომი განათლების ეტაპზე მუშახელის წარმატებულობასთან დაკავშირებით*, გვ. 9.

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/326000/bis-14-679-further-education-workforce-strategy-the-government-strategy-support-workforce-excellence-in-further-education.pdf (ნანახია 2016 წლის 20 იანვარს).

⁶³ OECD-ის მიერ გაკეთებული მიმოხილვის თანახმად, 2006 წელს მათი თვითდაფინანსების წილი მხოლოდ 7% იყო. Kathryn Hoeckel, Mark Cully, et al. (2009). *სწავლა მუშაობისთვის: OECD-ის მიერ ინგლისსა და უელსში პროფესიული განათლების და ტრენინგების მიმოხილვა*, OECD, გვ. 18.

⁶⁴ Steve Johnson, Fiona Walton, et al. (2006). *უნარები ბიზნეს ქსელისთვის: მე-3 ფაზის შეფასების მთავარი ანგარიში*. სამხ.იორკშირი, გაერთიანებული სამეფო, სექტორული უნარების განვითარების სააგენტო,

⁶⁵ Jonathan Payne (2007). 'სექტორული უნარების საბჭოები და დამსაქმებლის ჩართულობა: დამსაქმებელზე ორიენტირებული უნარების დღის წესრიგის შემუშავება ინგლისში', *Skope-ის კვლევითი დოკუმენტი* 78, გვ. 11.

3. დამსაქმებლები იყენებენ შემოთავაზებულ ინიციატივებს, ავსებენ განაცხადებს გრანტების მოსაპოვებლად ან შეიმუშავენ სასწავლო პრაქტიკის პროგრამებს.
4. დამსაქმებლები მზად არიან კვლევებში მონაწილეობის მისაღებად, რომ დაეხმარონ პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებებს უნარებთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლებაში.
5. დაწესებულებებს სურვილი აქვთ, მიიღონ პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია.⁶⁶

OECD კიდევ უფრო შორს მიდის და ასახელებს სპეციფიკურ რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს კერძო სექტორის ჩართულობის მენეჯმენტი. მათი პირველი შემოთავაზების თანახმად, საჯარო პოლიტიკის ჩართულობა უფრო სავარაუდოა მაშინ, როცა დამსაქმებელი უკვე იყენებს სიტემას იმისთვის, რომ მოამზადოს პერსონალი. მეორე, ისინი მიუთითებენ, რომ ბიზნესის დიდ ნაწილს ადმინისტრაციული დაბრკოლებები აფერხებს. მესამე, ზემოთ ჩამოთვლილის შესაბამისად, ისინი ხაზს უსვამენ, რომ არსებობს დასაქმებულთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები და აუცილებელია თანამიმდევრულობა იმის განსაზღვრისას, თუ რომელი დაწესებულება რა ინტენსივობით ჩაერთვება. მაგალითად, მიჩნეულია, რომ მსხვილი ფირმები უფრო მაღალი ინტენსივობით ჩაერთვებიან პროცესში, ხოლო მცირე ზომის ფირმები, შესაძლოა, გავიდნენ პსუს-თან კავშირზე, თუმცა, ისინი ძირითადად შეასრულებენ სამუშაო პრაქტიკასა და სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ნაწილს.⁶⁷

აღნიშნულის გარდა, 2010 წლის რეფორმებმა სხვა ცვლილებებიც გამოიწვია. ჩვენ ხაზი გაუსვით იმ მნიშვნელოვან რეფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება საქართველოს მაგალითს:

1. **სასწავლო პრაქტიკის შემდგომი რეფორმირება**– მართალია, სასწავლო პრაქტიკის პროგრამების რაოდენობა და წარმატებულობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2010 წლის რეფორმების შედეგად, მაგრამ მათი ხარისხი და ღირებულება შეუსაბამოა. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების მოსაზრებით, რადგანაც სასწავლო პრაქტიკის ხარისხი დამსაქმებლის და მოსწავლის ურთიერთობაზე დამოკიდებული, გადაწყვეტის საშუალება შესაძლოა იყოს დამსაქმებლის აქტიურობის გაზრდა აღნიშნულ ურთიერთობაში. დამსაქმებლის მიერ უნდა განისაზღვროს სასწავლო პრაქტიკის შესრულების სტანდარტები, რომლის შესაბამისად გაიზომება მოსწავლის შესრულების ხარისხი პროგრამის ბოლოს.⁶⁸ მცირე დავალებების ნაცვლად, სტანდარტები საბოლოო შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული --რის გაკეთება შეუძლია მოსწავლეს პროგრამის ბოლოს (*„მნიშვნელოვანია თავიდან იქნეს აცილებული ტესტური მონიშვნის*

⁶⁶იქვე. გვ. 15.

⁶⁷Jonathan Payne (2007). 'სექტორული უნარების საბჭოები და დამსაქმებლის ჩართულობა: დამსაქმებელზე ორიენტირებული უნარების დღის წესრიგის შემუშავება ინგლისში', *Skope-ის კვლევითი დოკუმენტი* 78, გვ. 18.

⁶⁸ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 8. <https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

პრინციპი⁶⁹). ოთხი ძირითადი პრინციპია: დამსაქმებელი უნდა იყოს კლიენტი; დამსაქმებელმა უნდა მოახდინოს თანა ინვესტირება; მთავრობამ არ უნდა განსაზღვროს ტრენინგის ღირებულება; და მთავრობის მიერ გაცემული დაფინანსება მიღწეულ წარმატებას უნდა ემყარებოდეს.⁷⁰

2. ახალი „ვასწავლოთ კიდევ“ პროგრამის შემუშავება – პროგრამა ითვალისწინებს იმედისმომცემი პროფესიული ექსპერტების ჩართულობას პროფესიულ სწავლებაში და სწავლების შედეგად სწავლაში, მასწავლებლის გამოცდილების შექმნაში, მუშაობის პარალელურად.⁷¹
3. კვალიფიკაციის, სტანდარტებისა და კურიკულუმის შემდგომი რეფორმირება – „გაერთიანებულ სამეფოში არიან დამსაქმებლები, რომლებმაც საკუთარი ინიციატივით შექმნეს თავისი სტანდარტები და შიდა ტრენინგის პროგრამები საკუთარი მუშახელის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად:რამდენიმე მათგანია EDF, ტატა სტილი, სიმესიდანისანი. ეს სასარგებლოა ინდივიდუალური კომპანიისთვის, მაგრამ არ მონაწილეობს გაერთიანებული სამეფოს საერთო მუშახელის განვითარებაში. ეს და სხვა დამსაქმებლები უნდა იყვნენ ქვეყანაში კვალიფიკაციის განვითარების მამოძრავებელი ძალა.“⁷²
4. მუშაობაზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლა– „ზოგიერთი ჩვენი საუკეთესო შემდგომი განათლების დაწესებულების მსგავსად, დაგვჭირდება, გადავინაცვლოთ ტრადიციული კოლეჯის შენობაში მიმდინარე პედაგოგიური მიდგომიდან იმ მიდგომაზე, სადაც სწავლა გადატანილია სამუშაო ადგილზე და მორგებულია ბიზნესის საჭიროებებს... ჩვენ, შესაძლოა, ასევე დაგვჭირდეს სხვა იდეების განხილვაც ამ მიდგომის დანერგვისთვის, მაგალითად, ყველა უმაღლესი პროფესიული განათლებისთვის სამუშაო გამოცდილების მოსალოდნელ შედეგად გადაქცევა.“⁷³

⁶⁹ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 19.

<https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁷⁰ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), *შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები*, გვ. 36.

<https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁷¹ ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2014), *შემდგომი განათლების მუშახელის სტრატეგია: მთავრობის სტრატეგია შემდგომი განათლების ეტაპზე მუშახელის წარმატებულობასთან დაკავშირებით*, გვ. 16.

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/326000/bis-14-679-further-education-workforce-strategy-the-government-strategy-support-workforce-excellence-in-further-education.pdf (ნანახია 2016 წლის 20 იანვარს); განათლებისა და მომზადების ფონდი, *ვასწავლოთ კიდევ*.

<http://www.et-foundation.co.uk/supporting/support-for-employers/teach/> (ნანახია 2016 წლის 20 იანვარს).

⁷² ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2015), *მოზრდილთა პროფესიული განათლების ორმაგი მანდატი*, გვ. 42.

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/427342/bis-15-145-A-dual-mandate-for-adult-vocational-education.pdf (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁷³ ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2015), *მოზრდილთა პროფესიული განათლების ორმაგი მანდატი*, გვ. 48-49.

5. პროფესიული განათლებისა და მომზადების შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაზრდა – ეს საშუალებას მისცემს როგორც პოტენციურ სტუდენტს, ასევე დამსაქმებელს, რომ მიიღონ ინფორმირებული და რაციონალური გადაწყვეტილებები: „აპლიკაციების და მობილური ხელსაწყოების სამყაროში, საეჭვოა, რომ ხელისუფლება იყოს ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო საშუალება. ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს, უზრუნველვყოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იმ დეველოპერებისთვის, რომლებიც ქმნიან აპლიკაციებს, რაც გაამარტივებს ხელმისაწვდომობას.“⁷⁴
6. პროფესიული განათლების იმიჯის რეფორმირება – „კარგი სტატუსის მქონე დაწესებულებების არსებობა უმნიშვნელოვანესია ისეთი ხარისხიანი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებისთვის, სადაც ახალგაზრდებს სწავლის სურვილი ექნებათ. დამსაქმებლები გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ ფორმალური განათლება მოძველებულია – გამოიყენება ძველი აღჭურვილობა და ტექნოლოგია ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეები ახალი ტექნოლოგიების შესაქმენლად მოამზადონ. ეს ხაზს უსვამს უკეთესი სპეციალიზაციის და დამსაქმებლის წამყვანი როლის აუცილებლობას, პროფესიული განათლების დაბალი საფეხურის, განმეორებითი ტრენინგისა და მაღალი დონის ერთმანეთისგან უკეთ გამიჯვნის საჭიროებას.“⁷⁵

ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩეხეთის რესპუბლიკა საქართველოსთვის სასარგებლო მაგალითია, რადგან აღნიშნულ ორივე ქვეყანას მსგავსი ისტორიული ტრადიქტორია აქვს და ერთნაირი გამოწვევების გადალახვა მოუწია პროფესიული განათლების სფეროში. ბოლო დროს ჩეხეთის რესპუბლიკამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კერძო სექტორის ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით. შესაბამისი გამოცდილება შემდეგია:

- კომპანიებში სტაჟირებების წახალისების საჭიროება სამთავრობო პროგრამების საშუალებით; და
- კომპანიებისთვის ფინანსური დაინტერესების შექმნა პროფესიული განათლების სექტორთან მეტი ჩართულობისთვის.

სოციალური პარტნიორობის განვითარება პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში

სოციალური პარტნიორების როლი თანდათან გაიზარდა. ახალი სკოლის აქტის (ძალაშია 2005 წლის 1 იანვრიდან) საფუძველზე გაიზარდა სოციალური პარტნიორების როლი და

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/427342/bis-15-145-A-dual-mandate-for-adult-vocational-education.pdf (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁷⁴ განათლების დეპარტამენტი & ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2013), შრომისმოყვარეობისა და რეაგირების უნარები, გვ. 9. <https://www.gov.uk/government/publications/rigour-and-responsiveness-in-skills> (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

⁷⁵ ბიზნეს ინოვაციებისა და უნარების დეპარტამენტი (2015), მოზრდილთა პროფესიული განათლების ორმაგი მანდატი, გვ. 35.

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/427342/bis-15-145-A-dual-mandate-for-adult-vocational-education.pdf (ნანახია 2016 წლის 14 იანვარს).

ჩართულობა პროფესიული განათლების შინაარსისა და მიზნების ჩამოყალიბებაში, ასევე შედეგების შეფასებაში როგორც ეროვნულ (ჩარჩო საგანმანათლებლო პროგრამები, RVPs), ასევე ადგილობრივ დონეზე (სკოლის სასწავლო პროგრამები, SVPs). სოციალური პარტნიორების როლი ასევე გაიზარდა პროფესიული განათლების დასრულების კომპონენტში (პროფესიონალი არის საგამოცდო კომისიის წევრი საბოლოო გამოცდაზე თითოეულ დარგში, რომელიც მოიცავს პროფესიულ სერტიფიკატსაც - ISCED 3C).

გარდა ამისა, უწყვეტი განათლებისა და მომზადების შედეგების აღიარების აქტმა (No. 179/2006 Coll.) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში სოციალური პარტნიორების ჩართულობის გაზრდის კუთხით. კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს სოციალური პარტნიორების როლს ეროვნული საკვალიფიკაციო რეესტრის შექმნის ფარგლებში შესაბამისი კვალიფიკაციისა და შეფასების სტანდარტების შექმნისა და დამტკიცების პროცესში.

დარგობრივი ჯგუფები, დარგობრივი საბჭოები და ადამიანური რესურსების განვითარების რეგიონული საბჭოები წარმოადგენს დამატებით საშუალებას პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორების ჩართვის უზრუნველყოფისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოებს შორის არაოფიციალური კავშირი არსებობს, არ არის შექმნილი ოფიციალური სისტემა, როგორც ასეთი. განათლების ეროვნული ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედი დარგობრივი ჯგუფები შეიქმნა იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ეროვნულ დონეზე RVPs შექმნას, რომლის მიზნები და შინაარსი შესაბამისობაში იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დღეისათვის არსებობს 25 დარგობრივი ჯგუფი, რომლებიც შედგება შესაბამისი სფეროების ექსპერტებისგან: განათლება, შრომის ბაზარი და პროფესია. დარგობრივი საბჭოები (sektorové rady) წარმოადგენს შედარებით ახალი ტიპის უწყებას ქვეყანაში. საბჭოები თავს უყრის ძირითად მოთამაშეებს, განსაკუთრებით კონკრეტულ სფეროში არსებულ დამსაქმებლებს, და ჩართულნი არიან პროფესიული და კვალიფიკაციის სტანდარტების განსაზღვრის პროცესში. ამ კონცეფციის შემუშავება 2006 წლიდან დაიწყო და დარგობრივი საბჭოების რაოდენობა თანდათან გაიზარდა (ამჟამად არსებობს 29 დარგობრივი საბჭო). ადამიანური რესურსების განვითარების რეგიონული საბჭოები იქმნება რეგიონულ დონეზე და საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებენ.

ბოლო წლებში ჩეხეთის რესპუბლიკამ გამოიყენა ევროპის სოციალური ფონდისგან (ESF) დაფინანსების მიღების შესაძლებლობა, რამაც ხელი შეუწყო პროფესიული განათლების სფეროში მრავალი ეროვნული პროექტის წარმატებულ განხორციელებას პილოტური ტესტირების რეგულირების და ღონისძიებების სისტემებთან დაკავშირებით. პროექტები ითვალისწინებდა აქტივობებს, რომელთა მიზანი იყო დამსაქმებლების პროფესიულ განათლებაში ჩართულობის უზრუნველყოფა როგორც სასწავლო დოკუმენტების შემუშავებაში, ასევე თავად განათლებასა და ტრენინგებში (მაგ: პროექტები „სტაჟირება ახალგაზრდა სამუშაოს მაძიებლებისთვის“ და „სტაჟირება კომპანიებში“). ასევე მიმდინარეობდა მედია კამპანია, რომლის მიზანი იყო განათლების ტექნიკური მიმართულებების პოპულარიზაცია.

ადგილობრივ დონეზე საგანმანათლებლო დაწესებულებების და დამსაქმებელთა პარტნიორობა, როგორც წესი, ხორციელდება საშუალო ან გრძელვადიანი თანამშრომლობის სახით, რაც მოიცავს დამსაქმებლების მონაწილეობას სასწავლო პროგრამების შემუშავების და

პროფესიული კომპეტენციის მოთხოვნების განსაზღვრის პროცესში, პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში მონაწილეობას (პრაქტიკული ტრენინგები სამუშაო ადგილზე კომპანიის შენობაში) და მასწავლებლებთან თანამშრომლობას (უწყვეტი განათლება). თუმცა, სკოლები ასევე სარგებლობენ შესაძლებლობით, რომ შეიძინოს ახალი მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა, ან წახალისების სხვა ფორმებით, როგორცაა უსაფრთხოების ტექნიკა, ტრანსპორტირება და დახმარება განსახლებაში ან სტიპენდიების პროგრამებში. ზოგიერთი დიდი კომპანია ქმნის საკუთარ კერძო პროფესიულ სკოლებს, რათა უზრუნველყონ, რომ კვალიფიციური მუშახელი აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.

კვალიფიკაციის ეროვნული რეესტრი წარმოადგენს პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს; ის უზრუნველყოფს იმ უნარებისა და კომპეტენციების აღწერილობას, რომლებიც საჭიროა კონკრეტულ პროფესიაში პროფესიული ან სხვა ფუნქციის წარმატებით შესრულებისთვის. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ ეროვნულ სისტემას, რომელიც ეფუძნება დამსაქმებლის რეალურ მოთხოვნებს ამოცანების შესრულების კუთხით კონკრეტულ პროფესიებს და სამუშაო ადგილებზე. ეროვნული რეესტრი განსაზღვრავს კომპეტენციის მოთხოვნებს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის მიუხედავად იმისა, რა ფორმით იქნა იგი მიღებული. რეესტრი ასევე განსაზღვრავს პროფესიული კომპეტენციის გადამოწმების კრიტერიუმებს კონკრეტული პროფესიის ფარგლებში. ამავე დროს, ის წარმოადგენს მუდმივ პლატფორმას, რომელიც ერთანეთთან აკავშირებს პირველად საგანმანათლებლო მომზადებასა და უწყვეტ განათლებასა და მომზადებას. ფაქტობრივად, ეს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემაა: სრული პროფესიული კვალიფიკაციის კომპლექტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროგრამებს და სწავლების სფეროებს და წარმოადგენს პროფესიული კვალიფიკაციების რეესტრს, რომელიც სისტემის ახალი ნაწილია:

- 1) სრული პროფესიული კვალიფიკაცია (წყარო www.nsk.cz) განიმარტება, როგორც კონკრეტულ პროფესიაში ამოცანების შესრულების პროფესიული კომპეტენცია. არსებობს მისი მიღების სამი გზა:

- IVET-ის საშუალებით ანუ შესაბამისი სკოლის მიერ განსაზღვრული საშუალო ან უმაღლესი დონის სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, რომელიც პირს უფლებას აძლევს განახორციელოს პროფესიული საქმიანობა (არსებული მეთოდი);

- ინდივიდუალური პროფესიული კვალიფიკაციების მოპოვების საშუალებით, რომლებიც ერთად წარმოადგენს კვალიფიკაციის კომპლექტს შესაბამისი სრული პროფესიული კვალიფიკაციით და სათანადო სრული პროფესიული კვალიფიკაციისთვის კოლის აქტით გათვალისწინებული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს, მას უფლება ექნება გავიდეს გამოცდაზე (მაგ: დასკვნითი გამოცდა ისეთ სფეროებში, რომელიც პროფესიულ სერტიფიკატს ითვალისწინებს) სასკოლო განათლების დასრულების გარეშე; ან

- ერთი ან რამდენიმე პროფესიული კვალიფიკაციის მოპოვების საშუალებით, რაც პირს საშუალებას მისცემს, სათანადოდ განახორციელოს პროფესიული

საქმიანობა კონკრეტულ სფეროში საგანმანათლებლო ხარისხის მიღებასთან ერთად; ანუ ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირმა უკვე მიიღო შესაბამისი ხარისხი და მიიღებს პროფესიულ კვალიფიკაციას, რომელიც მას დაეხმარება ამავე ხარისხის სრული პროფესიული კვალიფიკაციის მიღებაში (მაგ: კვალიფიცირებული კალატოზი მიიღებს ყველა ნაწილობრივ კვალიფიკაციას, რომლებიც ერთად წარმოადგენს ავეჯის დამამზადებლის პროფესიის სრულ კვალიფიკაციას); ეს ნაწილი ასევე მოიცავს სრულ პროფესიულ კვალიფიკაციას, რომელსაც არ ფარავს რომელიმე სასწავლო მიმართულება ან სასწავლო პროგრამა.

- 2) პროფესიული კვალიფიკაციის შეძენა შესაძლებელია თითოეული პროფესიული კვალიფიკაციისთვის შეფასების სტანდარტით დადგენილი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. კვალიფიკაცია განისაზღვრება კონკრეტული პროფესიის ფარგლებში დავალების ან დავალებათა წყების სათანადოდ შესრულების კომპეტენციით (მაგ: ცივი საკვების მომზადება და ქუდების წარმოება).

სტაჟირებები კომპანიებში – განათლება პრაქტიკის მეშვეობით (2012 –2014)

ეს ორწლიანი პროექტი შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრომ განათლების, ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით დაიწყო 2012 წლის ივნისში. პროექტი ევროპის სოციალური ფონდის მიერ არის თანა-დაფინანსებული და ახორციელებს უწყვეტი განათლების ფონდი.

კომპანიებში სტაჟირებები მიზნად ისახავს, დაეხმაროს როგორც ახალ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დასაქმებას პროფესიული პრაქტიკის ნაკლებობის გამო, ასევე სხვა, შრომის ბაზარზე არაპრივილეგირებული ჯგუფების წარმომადგენლებს, როგორცაა დიდი ხნის განმავლობაში უმუშევარი პირები ან ისინი, ვისაც შრომის ბაზარზე დაბრუნება სურს, მაგ: ქალები დეკრეტული შვებულების შემდგომ. სტაჟირებები ასევე ხელსაყრელია კომპანიებისთვის, რომლებიც ვერ პოულობენ კონკრეტული პოზიციისთვის შესაფერის კანდიდატს. სტაჟირების სასწავლო პროგრამები საშუალებას მისცემს მათ, რომ მოამზადონ თანამშრომლები საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად. მსმენელებს საშუალება ეძლევათ, რომ აღიდგინონ სამუშაო ჩვევები, ხელახლა მიეჩვიონ სამუშაო პროცედურებს და დაეწიონ იმ სფეროებს, სადაც სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება მოხდა მათი არყოფნის დროს. სტაჟირება გრძელდება ერთიდან ექვს თვემდე და სტაჟირების პროვაიდერები იხდიან ფიქსირებული ხარჯებს. საშუალოდ, სამთვიანი სტაჟირების ღირებულება 60 - 120 ათასი ჩეხური კრონია (დაახლოებით 2,400 - 4,800 ევრო).

კომპანიებს უნდა შეეძლოთ გამოყონ მენტორი მოსწავლის ან მოსწავლეებისთვის და შექმნან პირობები სტაჟირების კონტრაქტის მიხედვით განხორციელებისთვის. მსმენელებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ ხელფასები; ისინი იღებენ თანხას მხოლოდ კვებისა და მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად და გამონაკლის შემთხვევებში, ასევე საცხოვრებლისთვის. ახალ ცოდნასთან და პროფესიულ გამოცდილებასთან ერთად, სტაჟირება მათ ეხმარება შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. იგი ასევე უზრუნველყოფს მათ იმ კომპანიაში დასაქმების შესაძლებლობით, სადაც სტაჟირება განხორციელდა.

სტაჟირების დასრულების შემდგომ გაცემა სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს პრაქტიკანტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც რეგისტრირებულია დასაქმების ოფისში და იღებს უმუშევრობის შეღავათებს, გახდება პრაქტიკანტი, სტაჟირების პროცესში მონაწილეობა არ გამოიწვევს უმუშევრობის შეღავათების უფლების შეწყვეტას. სამუშაო პოზიციების შეთავაზება დამოკიდებულია დამსაქმებლის მიმდინარე საჭიროებებზე და შეიძლება იყოს მენეჯერული და ადმინისტრაციული თანამდებობა ისევე, როგორც ხელოსნის პოზიცია.

პროექტის ფარგლებში არსებობს ე.წ. სტაჟირების ნიმუშები, რომელიც განსაზღვრავს ჩარჩო შინაარსს, მოსწავლეებისთვის და სტაჟირების პროვაიდერებისთვის არსებულ მოთხოვნებს და იმ ხარჯების გაანგარიშებას, რაც იფარება პროექტის მიერ. 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით, 28 ნიმუში-სტაჟირება განხორციელდა შერჩეულ სფეროებში (IT, მენეჯმენტი, მშენებლობა, ეკონომიკა და ა.შ.) და ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდება, სანამ სამიზნე ნიშნულს 150-ს არ მიაღწევს. პროექტში მონაწილეობის მსურველი პრაქტიკანტებისა და პროვაიდერების რეგისტრაცია დაიწყო სექტემბრის შუა რიცხვებში და თვის ბოლოს თითქმის 270 რეგისტრირებული დამსაქმებელი და 1,200-ზე მეტი სტაჟირების მსურველი იყო. პროექტის ფარგლებში ხუთი ათასი მონაწილე უნდა მომზადდეს იმ მიზნით, რომ სასწავლო სტაჟირების პროგრამები ჩამოყალიბდეს, როგორც კონკრეტულ სფეროში პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის უნივერსალური ინსტრუმენტი და განათლების პრაქტიკასთან დამაკავშირებელი საშუალება. პროექტი უნდა დაეხმაროს უწყვეტი განათლების სასწავლო სტაჟირების ფორმით შეტანას ჩეხეთის კანონმდებლობაში. პროექტში ჩართულ ბიზნეს სუბიექტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, რომ მოამზადონ და განათლება მისცენ მომავალ სპეციალისტებს იმ სფეროში, რომელშიც ისინი მოქმედებენ, და შემდგომში, დაასაქმონ სწორედ ეს კვალიფიციური მუშახელი.

კერძო სექტორის ჩართულობის ფინანსური მოტივატორები

პროფესიულ განათლებაში ცოტა ხნის წინ შემოტანილი იქნა საგადასახადო წახალისების ფორმები. 2014 წლიდან დამსაქმებლების მიერ საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლების პირდაპირი და ირიბი დაფინანსების ხარჯები ექვემდებარება საგადასახადო დაბეგვრისგან გამორიცხვას:

- გამოიქვითება დაახლოებით საათში 7 ევროს ექვივალენტი იმ პრაქტიკული სწავლების ან სტაჟირებისა, რომელიც მოსწავლეს / სტუდენტს მიეწოდება გადასახადის გადამხდელის შენობაში.
- გამოიქვითება იმ ხარჯების ექვივალენტი თანხა, რომელიც ნაწილობრივ მაინც გამოიყენება პროფესიული სწავლების მიზნებისათვის.

გარდა ამისა, საგადასახადო დაქვითვის ლიმიტი კორპორატიული სტიპენდიებისთვის გაიზარდა, რისი მთავარი მიზანია ნაწილობრივ დაფაროს მეწარმეთა ხარჯები და შეუქმნას მოტივაცია ახალ კომპანიებს, რომ დაიწყონ სკოლებთან თანამშრომლობა.

რაც შეეხება უწყვეტ პროფესიულ განათლებასა და მომზადებას (CVET), ორი საგადასახადო წახალისების ფორმაა გათვალისწინებული ჩეხეთის კანონმდებლობით: (ა) თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯები ითვლება საერთო ბიზნეს ხარჯების ნაწილად საგადასახადო მიზნებისათვის; და (ბ) შესაძლებელია საგადასახადო ბაზიდან გამოიქვითოს გამოცდებთან

დაკავშირებული ხარჯები უწყვეტი პროფესიული განათლებისა და მომზადების შედეგების დადასტურებისა და აღიარების აქტის შესაბამისად.

შესაძლებლობა სკოლებისთვის, რომ დააფინანსონ კომპანიის ინსტრუქტორები უკვე დაიხვეწა 2009 წლის სკოლის აქტში შეტანილი ცვლილებით. სკოლებს შეუძლიათ გამოიყენონ ერთ პირზე არსებული შრომითი ხარჯების ნაწილი და გადაუხადონ კომპანიის თანამშრომელს პრაქტიკული სწავლებისთვის. ამ ღონისძიების გამოყენებით სკოლებმა უნდა შეძლონ უფრო ადვილად ითანამშრომლონ კომპანიებთან პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად და როგორც სახელშეკრულებო პარტნიორებმა, უფრო ეფექტურად შეძლონ სწავლების ხარისხის შემოწმება.

დამსაქმებლებს შეუძლიათ მოიპოვონ სახელმწიფო გრანტები თავისი თანამშრომლების პროფესიული მომზადებისთვის თუ აკმაყოფილებენ განსაზღვრულ პირობებს. არსებობს რამდენიმე პროგრამა, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან ევროკავშირის ფონდებიდან თანადაფინანსების პრინციპით. პროგრამები მოიცავს:

- აქტიური დასაქმების პოლიტიკის სქემებს. კომპანიას შეუძლია მოითხოვოს დახმარება თანამშრომლების მომზადებაში/გადამზადებაში.
- ინვესტირების მოტივატორებს (ინვესტირების მოტივატორების აქტის შესაბამისად). მაღალი უმუშევრობის მქონე რეგიონის ინვესტირებმა შეიძლება მიიღოს დახმარება თანამშრომლების პროფესიული მომზადებისთვის.
- ევროკავშირის პროგრამების მიერ თანა-დაფინანსებულ მოქმედ პროგრამებს. კომპანიებს შეუძლიათ დაწერონ პროექტები, რომლებიც მოიცავს ტრენინგ-მოდულებს და მიიღონ თანადაფინანსება თუ დააკმაყოფილებენ პროგრამებით დადგენილ კრიტერიუმებს.

რეგიონების უმეტესობაში სტიპენდიების ან სხვა შეღავათების მიღება სტუდენტებს შეუძლიათ საშუალო საფეხურის იმ პროგრამებზე სწავლის დაწყებისას, რომლებიც ნაკლებად პოპულარულია, მაგრამ უაღრესად მოთხოვნადი შრომით ბაზარზე. აღნიშნულის მიზანია პროგრამაზე სტუდენტების მოზიდვა და/ან მოტივირება. რეგულარული სასკოლო დასწრება, შესანიშნავი სასწავლო შედეგები და კარგი საქციელი, როგორც წესი, წინაპირობაა სტიპენდიის მიღებისთვის. სასტიპენდიო პროგრამების დეტალები შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს რეგიონებში. სტუდენტს, როგორც წესი, შეუძლია მიიღოს ჯამში დაახლოებით 1000 ევრო ყოველი სამი სასწავლო წლისთვის (ყოველთვიური თანხა განისაზღვრება კონკრეტული საფეხურის მიხედვით). ზოგიერთ სფეროში აღინიშნება ინტერესის ზრდა. თუმცა, სხვაგან კვლავ გრძელდება სტუდენტების ინტერესის სიმცირე.

რაც შეეხება კომპანიებს, ზოგიერთი საწარმო ითვალისწინებს თავიანთი ინტერესის სფეროებში სტიპენდიებს და სხვა შეღავათებს სტუდენტებისთვის. ზოგჯერ საჭიროა შეთანხმება, რომ სტიპენდიით მოსარგებლე სტუდენტი აღნიშნულ კომპანიაში იმუშაებს სწავლის დასრულების შემდეგ.

ესტონეთი

პროფესიული განათლებისა და მომზადების მთავარი მახასიათებლები ესტონეთში

ესტონეთის პროფესიული განათლების სისტემის ანალიზი სასარგებლოა ჩვენი მიზნებისთვის. ესტონეთსა და საქართველოს ანალოგიური გამოწვევები ჰქონდათ ბოლო წლების განმავლობაში. ცენტრალიზებულ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ათწლეულების გატარების შემდეგ, ესტონეთის ძველი პროფესიული განათლების სისტემა აღარ იყო ახალი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი. სტუდენტებს აღარ ჰქონდათ მოლოდინი, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ავტომატურად დასაქმდებოდნენ.

ესტონეთში ხელისუფლება ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელია განათლების განვითარების განცხადებული გეგმებისა და სტრატეგიების მიღებისა და განხორციელების კუთხით. ქვეყნის პროფესიული განათლებისა და მომზადების სამართლებრივი საფუძველი 1990 წელს შეიქმნა. პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული მთავარი კანონებია: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტი, რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების უზრუნველყოფას ზედა და სკოლის შემდგომ (მესამე საფეხურის გარდა) საფეხურზე და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას; დაწესებულებებში გამოყენებითი უმაღლესი განათლების აქტი, რომელიც არეგულირებს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნასა და ფუნქციონირებას; პროფესიების შესახებ აქტი, რომელიც არეგულირებს პროფესიული საბჭოების მუშაობას და კვალიფიკაციის სისტემას; გასართობი სკოლები აქტი, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალური გასართობი სკოლების საქმიანობას; და მასთან დაკავშირებული სხვა კანონები. განათლებისა და კვლევების სამინისტრო კოორდინაციას უწევს მომზადებას და განახორციელებს განათლების პოლიტიკას ადგილობრივი ხელისუფლებების და სხვა შესაბამისი სამინისტროების დახმარებით, როგორცაა სოციალური დაცვის სამინისტრო და კულტურის სამინისტრო.

პირველადი პროფესიული განათლება და მომზადება (IVET) სამ სხვადასხვა საფეხურზეა ხელმისაწვდომი ესტონეთის საგანმანათლებლო სისტემაში: საბაზისო, ზედა საშუალო განათლება და სკოლის შემდგომი და უმაღლესი პროფესიული/სამსაფეხურიანი განათლება. გარდა ამისა, არსებობს უწყვეტი პროფესიული განათლება და მომზადება, რომელიც მიმართულია იმ ადამიანებზე, რომლებიც აღარ არიან სრულგანაკვეთიან განათლებაში ჩართულები.

საბაზისო განათლების საფეხურზე სწავლის ხანგრძლივობა ცხრა წელია, სადაც გათვალისწინებულია მცირე (დაახლოებით 15 კვირიანი) გაცნობითი ხასიათის კურსი კონკრეტული სპეციალობებისთვის (თუმცა, ზოგადი განათლების სკოლების მცირე რაოდენობაში ხდება ამ შესაძლებლობის გამოყენება).

ზედა საშუალო განათლების საფეხურზე (გიმნაზიები და პროფესიული დაწესებულებები) სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია, მათ შორის 1-2 წლიანი ექსკლუზიური პროფესიული სწავლება. ზედა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხელმისაწვდომია წინასწარი პროფესიული კურსები (15-40 კვირა) როგორც გზა სასურველი პროფესიისკენ. ზედა-

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო სკოლებში IVET განსაზღვრავს მინიმალურ სასწავლო ხანგრძლივობას სამი წლით ან 120 სასწავლო კვირით, რომლის ნახევარი მაინც უნდა მიეძღვნას იმ საგნების სწავლებას, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ პროფესიასთან ან სპეციალიზაციის სფეროსთან (ზოგადი საგნები, როგორც წესი, გრძელდება 40 კვირის განმავლობაში და დანარჩენი დრო პრაქტიკულ ტრენინგს უკავია).

ზედა საშუალო განათლების შემდგომ საფეხურზე პროფესიული განათლებისა და მომზადების მიზანია მოამზადოს მუშახელი კვალიფიციური სამუშაოსთვის. სტუდენტები ეცნობიან ცოდნას, უნარებს, გამოცდილებასა და დამოკიდებულებას, რაც აუცილებელია რთული სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულებისთვის. ზედა საშუალო განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის ხანგრძლივობა 0.5-2.5 წელი ან 20 -100 სასწავლო კვირაა. ზედა საშუალო განათლების და ზედა საშუალო განათლების შემდგომ არა-სამსაფეხურიან დონეზე პრაქტიკული სწავლება წარმოადგენს ჯამური პროფესიული სწავლების მინიმუმ 50%-ს.

პროფესიული უმაღლესი განათლების საფეხურზე (უნივერსიტეტები, რომლებიც ითვალისწინებენ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხს) სწავლის ხანგრძლივობა 1-2, 3-4 ან 5-6 წელია და დამოკიდებულია კონკრეტულ სასწავლო მიმართულებაზე. მესამე საფეხურზე, პროფესიული სწავლება მინიმუმ სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, საიდანაც პრაქტიკული სწავლების წილობრივი მაჩვენებელი 30%-ია. კურსდამთავრებულები სწავლების დასასრულს იღებენ დიპლომებს.

უწყვეტი პროფესიული განათლება და მომზადება (cvet) ფოკუსირებულია მოზრდილებზე. ზრდასრულთა განათლება (რეგულირდება ზრდასრულთა განათლების 1993 წლის აქტით) აქტივობების ფართო სფეროა, რომელიც ფინანსდება განათლებისა და კვლევების სამინისტროს, სოციალურ საკითხთა სამინისტროსა და ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ. Cvet ითვალისწინებს ტრენინგებს რიგი საჭიროებების მიხედვით. უმაღლეს განათლებაში მოღვაწე ზრდასრულებს შეუძლიათ ისწავლონ პროფესიული განათლების და მომზადების დაწესებულებაში საღამოს კურსების ან დისტანციური სწავლების საშუალებით, სადაც მონაწილეებს გარკვეულ შემთხვევებში მოეთხოვებათ საფასურის გადახდა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახდენენ ზრდასრულთა პროფესიული განათლებისა და მომზადების ორგანიზებას თუ არსებობს მოთხოვნა, შესაბამისი რესურსები და ხელმისაწვდომი მასწავლებლები. უმუშევარი და სხვა მოწყვლადი პირებისთვის, რომლებიც გარიყული არიან შრომის ბაზრიდან, ტრენინგის ორგანიზება ხდება ქვეყნის დასაქმების სამსახურების მიერ და საფასურს იხდის სოციალურ საკითხთა სამინისტრო.

2013 წელს ესტონეთში მნიშვნელოვანი ბიძგი მოხდა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის რეფორმირების კუთხით. შემოთავაზებულ რეფორმებს შორის იყო პროფესიული მომზადების ახალი კატეგორიები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ესტონეთის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. დაინერგა შედეგზე დაფუძნებული პრინციპები სხვადასხვა სახის პროფესიული მომზადების, სასწავლო პროგრამებისა და სწავლებისა და პედაგოგიური სფეროში მომუშავე პერსონალისთვის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების განვითარებისა და დამკვიდრების პროცესში. რეფორმებმა ასევე დაწერეს ინსტრუქციების გაცემის უფლება და განსაზღვრეს და დაწერეს ახალი მეთოდოლოგიის გამოყენების წესები

(ესტონეთის პროფესიული განათლების კრედიტების რაოდენობა) სწავლის მოცულობის განსაზღვრისთვის.

ზრდასრულებს შეუძლიათ მიიღონ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება ფორმალური განათლების სისტემის მეშვეობით. ფორმალური განათლების სტრუქტურების გარდა არსებობს სასწავლო კურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია დასაქმებულებისთვის, უმუშევარი და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და დასაქმების შანსების გაზრდის მიზნით. ტრენინგ-პროვაიდერები ძირითადად პროფესიული განათლებისა და მომზადების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო სასწავლო ცენტრების, საწარმოებისა და სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებების სახით არიან წარმოდგენილი. ზრდასრულთა ტრენინგებს აფინანსებენ დამსაქმებლები, მთავრობა და თავად მონაწილეები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ფორმალური და არაფორმალური მოზრდილთა მომზადების მნიშვნელოვანი პროვაიდერები გახდნენ. განათლებამდელი სწავლების აღიარებამ გააუმჯობესა მისი ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლება ღიაა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე მოსწავლეებისთვის და ფინანსური დახმარება საცხოვრებელი და მგზავრობის ხარჯებისთვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლებისა და მომზადების სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, ბოლო წლების განმავლობაში გაუმჯობესდა პროფესიული განათლების ინფრასტრუქტურა.

სოციალური პარტნიორები კომპანიებთან თანამშრომლობითა და პროფესიული საბჭოების შექმნით უაღრესად ჩართულნი არიან პროფესიულ განათლებასა და მომზადებაში. მათი მონაწილეობა რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით, აგრეთვე დაინტერესებულ პირებთან დადებული ხელშეკრულებებით. ეროვნულ დონეზე სოციალური პარტნიორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დარგობრივი უნარების საბჭოებში მონაწილეობით, რომლებიც შეიმუშავენ პროფესიული კვალიფიკაციის სტანდარტებს. ისინი ასევე მონაწილეობას იღებენ პროფესიული განათლების პოლიტიკის სამუშაო ჯგუფებში. ადგილობრივ დონეზე მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობაში. პროფესიული სტანდარტები ესტონეთის ახალი რვა საფეხურიანი კვალიფიკაციის სისტემაში შედეგზე ორიენტირებულია. ისინი იქმნება და განახლდება რეგულარულად და წარმოადგენენ ეროვნული პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების საფუძველს, რომლებსაც ეფუძნება სკოლების სასწავლო პროგრამები. ეს საბჭოები, საქართველოს დარგობრივი კომიტეტებისგან განსხვავებით, ასევე განსაზღვრავენ პროფესიულ სტანდარტებს თითოეულ სექტორში. თუმცა, ისინი არ არიან ჩართული თავად კურიკულუმის შინაარსის მომზადებაში. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ კურსებზე სასწავლო ადგილებისთვის სტუდენტების განსაზღვრის პროცესში ეკონომიკურ საკითხთა სამინისტრო რეგულარულად გადის კონსულტაციებს სოციალურ პარტნიორებთან, როგორცაა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციები.

2010 წლამდე პროფესიულ განათლებაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო, მაგრამ რაოდენობამ შემცირება დაიწყო 2010/2011 წლიდან ქვეყანაში 1990-იანი წლების მეორე ნახევარში არსებული დაბალი შობადობის გამო. ესტონეთის განათლების საინფორმაციო სისტემის (EIS) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა,

რომ 2013 წლის სექტემბრის მდგომარეობით ესტონეთში 25,699 პროფესიულ განათლებაში მონაწილე სტუდენტი იყო.

ტრადიციულად პროფესიულ განათლებაში უფრო მეტი მამაკაცი მონაწილეობდა, ვიდრე ქალი. თუმცა, პროფესიული განათლების დონეებს შორის არსებობს დემოგრაფიული განსხვავებები: ზედა-საშუალო პროფესიულ პროგრამებზე კურსდამთავრებულთა 66.2% მამაკაცია, მაგრამ საშუალო განათლების შემდგომი პროფესიული მომზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 36.9%-ია მამაკაცი. ყველაზე სასურველი სფერო მამაკაცებისთვის ტექნოლოგიური მიმართულებებია, როგორცაა მექანიკის და ლითონის სამუშაო, ხოლო ქალები უმეტესად პერსონალურ მომსახურებას, ბიზნესსა და ადმინისტრაციას სწავლობენ. ამავე დროს, 2005 წლიდან იზრდება ცხოვრების მანძილზე სწავლებაში მონაწილეობის დონე.

ესტონეთში პროფესიული განათლების სისტემა უფრო მოქნილი გახდა იმისთვის, რომ მოეცვა მოსახლეობის ფართო სეგმენტი. ხელმისაწვდომობის გასამარტივებლად ზოგიერთი კურსის ხანგრძლივობა შემცირდა და მოხდა კურსების მოდულებზე ორიენტირება, ხოლო ელექტრონული სწავლება უკვე ითვალისწინებს მეტ არჩევანს და შესაბამისად, უფრო მეტ ხელმისაწვდომობას პოტენციური სტუდენტებისთვის. აღნიშნულმა მოიცვა სკოლის დამამთავრებელი მოზარდები, დამატებითი ტრენინგებისთვის დაბრუნებული ზრდასრულები, ახალგაზრდა დედები, რომლებიც ზრდიან პატარა ბავშვებს, მოქალაქეები, რომელთაც სჭირდებათ დახმარება სახელმწიფო ენის შესწავლის მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პატიმრები და კომპანიები და მათი თანამშრომლები, რომლებიც ეძებენ მუშაობის პარალელურად გადამზადების კურსებს ან რომლებსაც ახალი უნარების შექმნა სურთ. ამავე დროს, ევროპულ და საერთაშორისო უნარების კონკურსებში მონაწილეობა, ისევე როგორც გაცვლითი პროგრამების ან საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა პროფესიული მომზადების სტუდენტებისთვის ემსახურება პროფესიული განათლების ხარისხის იმიჯის გაუმჯობესებას საზოგადოებაში.

პროფესიული განათლება და მომზადება ფორმალური განათლების ფარგლებში ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფოს დაკვეთით განხორციელებული განათლების საფუძვლით. ასევე არსებობს კერძო კომპანიების მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სახელმწიფო და მუნიციპალურ პროფესიული განათლების სკოლებში. 2013-2014 წლებში 25,699 პროფესიული განათლების და მომზადების სტუდენტიდან 97% სწავლობდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამებზე.

არაფორმალური განათლება

ზრდასრულთა ფორმალური განათლების გარდა არსებობს ასევე არაფორმალური განათლება სამუშაოსთან დაკავშირებული ტრენინგებისა და პოპულარული ზრდასრულთა განათლების სახით. სამუშაოსთან დაკავშირებული ტრენინგი წარმოადგენს შესაძლებლობას, რომ მსმენელებმა შეიძინონ და განავითარონ პროფესიული და სამუშაოსთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები და გამოცდილება სამუშაო ადგილზე ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე გადამზადების კურსის საშუალებით. პოპულარული ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს პიროვნული განვითარების, შემოქმედების, ნიჭის,

ინიციატივებისა და სოციალური პასუხისმგებლობის უნარის, ისევე როგორც ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების შესაძლებლობას, რაც საჭიროა წარმატების მისაღწევად ცხოვრებაში.

არაფორმალური ტრენინგები, პირველ რიგში, კერძო სასწავლო ცენტრების მიერ არის წარმოდგენილი, და ესტონეთის ზრდასრულთა განათლების სექტორის ძირითად ნაწილს შეადგენს. არაფორმალური განათლება და ტრენინგი ასევე შეიძლება შემოთავაზებული იქნას უფასოდ, ან საფასური გადახდილი იქნეს მონაწილის ან დამსაქმებლის მიერ.

დამსაქმებლების ჩართულობა

ესტონეთში პროფესიული განათლება და მომზადება იმ მოქნილი და კვალიფიციური მუშახელის სიმრავლის გასაღებია, რომელთაც შეუძლიათ მოერგონ ცვლილებებს შრომის ბაზარზე. პროფესიული განათლებისა და მომზადების სფერო განათლებისა და კვლევების სამინისტროს უფლებამოსილების სფეროში შედის. შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ დასაკმაყოფილებლად სოციალური პარტნიორები ჩართული არიან პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებაში.

ესტონეთისთვის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია განჭვრეტადობა. გარდა შრომის ბაზრის მოთხოვნების პროგნოზისა, რომელსაც ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს, მთავრობამ 2014 წელს მიიღო ესტონეთის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგია 2020. სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობების შესაბამისობაში მოყვანა შრომის ბაზრის საჭიროებებთან. პროფესიული კვალიფიკაციის სისტემა ერთმანეთთან აკავშირებს შრომის ბაზარსა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემას.

რადგანაც ითვლება, რომ პროფესიულ განათლებაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, სტიმულირების და აქტივობების სხვადასხვა საშუალებები იქნა მიღებული როგორც ფიზიკური პირებისთვის, ასევე საწარმოებისთვის, რათა გაიზარდოს პროფესიულ განათლებაში მონაწილეობის ხარისხი. მათ შორისაა სასწავლო სესხები, სასწავლო შეღავათები, გადასახადებისაგან სასწავლო ხარჯების გამორიცხვა, სასწავლო შვებულება დასაქმებული პირებისთვის, უმუშევართა წახალისება, საგადასახადო შეღავათები (რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან თუ ისინი უზრუნველყოფენ ფორმალური განათლებას თავიანთი თანამშრომლებისთვის) ხელფასის სუბსიდირება და სამუშაო პრაქტიკის ზედამხედველობის ანაზღაურება, რაც იმას ნიშნავს, რომ დამსაქმებლები, რომლებიც ზედამხედველობენ სამუშაო პრაქტიკას სტუდენტებისთვის, მიიღებენ ანაზღაურებას.

სასწავლო პრაქტიკის სქემები და სტრუქტურირებული სამუშაოზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები ესტონეთში გათვალისწინებულია სკოლებში ან სამუშაო ადგილებზე შემოთავაზებული სასწავლო პროცესის სახით. 2007 წელს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება განისაზღვრა, როგორც სწავლების ფორმა, სადაც სამუშაო პრაქტიკა წარმოადგენს სასწავლო გეგმის საერთო მოცულობის არანაკლებ ორ მესამედს (სკოლაზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში სამუშაო პრაქტიკა წარმოადგენს სასწავლო გეგმის საერთო მოცულობის ნახევარს). პრაქტიკული სწავლების ნახევარი მიმდინარეობს კომპანიაში,

სწავლის დარჩენილი ნაწილი კი პროფესიული განათლების დაწესებულებაში. არ არსებობს ცალკე სასწავლო პროგრამების სამუშაო ადგილზე დაფუძნებული სწავლებისთვის. პროფესიული სასწავლებლები გადამწყვეტ როლს თამაშობენ სასკოლო სასწავლო პროგრამების შემუშავებაში. კანონმდებლობის მიხედვით, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება შეიძლება განხორციელდეს პროფესიული განათლების ყველა დონეზე.

სამუშაო ადგილზე დაფუძნებული სწავლება მიმდინარეობს სკოლას, სტუდენტსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული სტაჟირების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ისევე როგორც სასწავლო პროცესის ცალკეულ დეტალებს. დამსაქმებელმა უნდა მოახდინოს სტუდენტის მიერ შესრულებული ამოცანების კომპენსაცია სტაჟირების ხელშეკრულების შესაბამისად. შეთანხმებული ანაზღაურება არ უნდა იყოს მთავრობის მიერ დადგენილ მინიმალურ ანაზღაურებაზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს და დამსაქმებელს უკვე გაფორმებული აქვთ მოქმედი შრომითი ხელშეკრულება, მაშინ დამსაქმებელს არ მოუწევს დამატებითი ხელფასის გადახდა. ყოველ წელს დაახლოებით 500-600 სტუდენტი მონაწილეობს პროფესიული განათლების მირ შეთავაზებულ სამუშაო ადგილზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამებში. სამუშაო ადგილზე დაფუძნებული სწავლების მთავრობის მიერ დაფინანსებით გაფართოება ესტონეთის პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის პირველადი მიზანია 2020 წლამდე.

პროფესიულ განათლებასა და მომზადებაში მონაწილე 583 სტუდენტის დაახლოებით 2% მონაწილეობდა სამუშაოზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამებში 2013/2014 წლებში. ეს რაოდენობა განაწილებული იყო საცალო გაყიდვებზე (22%), სატყეო მეურნეობა (11%), სოციალური მუშაკი და კონსულტირება (10%), ელექტრონიკა და ავტომატიზაცია (9%), ავტომობილები, გემები და საჰაერო ხომალდები (9%), ელექტროენერჯია და ენერჯია (9 %) და მექანიკა და ლითონის სამუშაო (8%).

სასწავლო პრაქტიკანტს ორი ხელმძღვანელი ყავს დანიშნული, ერთი სკოლაში და მეორე სამუშაო ადგილზე. სასწავლო პრაქტიკის პროგრამა, როგორც წესი, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სწავლების სქემის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში სკოლა უხდის ხელფასს ხელმძღვანელს, რომელიც დანიშნულია სამუშაო ადგილზე.

გამოწვევები

ისევე როგორც საქართველოში, პროფესიული განათლების მიმართ ისტორიულად უარყოფითი დამოკიდებულება იყო ესტონეთშიც. ტრადიციულად ესტონელები მეტ ღირებულებას ანიჭებენ უმაღლეს განათლებას. მაგრამ იქ, პროფესიული განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება გაიზარდა ეკონომიკური რეცესიის და უმუშევრობის ფონზე.

როგორც საქართველოს, ასევე ესტონეთის ხელისუფლება თვლის, რომ პროფესიული განათლება და მომზადება შრომის ბაზართან უფრო შესაბამისი უნდა გახდეს. სასწავლო პროგრამების რეფორმირება დაიწყო და მიმდინარეობს პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობის დანერგვა. ბევრი სასწავლო პროგრამა შემცირდება, განსაკუთრებით საშუალო პროფესიული განათლების შემდგომი ეტაპისთვის იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს კურსდამთავრებულთა დასაქმება კომპანიებში. მოხდება ახალი პროფესიული განათლებისა და მომზადების სასწავლო პროგრამების შემუშავება იმ მიზნით,

რომ ამაღლდეს კვალიფიკაცია და შემოთავაზებული იქნას უფრო მეტი სხვადასხვა სპეციალიზაცია.

გარდა ამისა, მასწავლებელთა ცოდნის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია, რომ გაიზარდოს მასწავლებელთა პროფესიული განათლების გადამზადების პროგრამები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ზოგადი განათლების სასწავლო მასალებში ბაზრის მოთხოვნებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ძირითადი კომპონენტების ინტეგრირება. სასურველია მოხდეს მასწავლებლებისა და ტრენერების ხელშეწყობა სასწავლო პროცესის მოდერნიზაციის კუთხით. განსაკუთრებული ძალისხმევაა მიმართული მასწავლებლებისა და ტრენერებისთვის მოდერნიზაციის სწავლებისა და სასწავლო პროცესის სტუდენტის პირად და პროფესიულ განვითარებაზე ფოკუსირებისკენ. სტუდენტის შეფასების ფორმალური წესი ახალი სწავლის შედეგებსა და მოდულზე დაფუძნებული კურიკულუმების სისტემაში ასევე მოითხოვს მასწავლებელთა ნაწილში დამოკიდებულების ცვლილებას. მასწავლებელთა ტრენინგი (როგორც საწყისი, ასევე უწყვეტი) არის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ცოდნის გაუმჯობესების გასაღები. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლების მომზადებას საწარმოებში.

სასურველია პრიორიტეტი იყოს სტუდენტებისთვის შესაბამისი სფეროსა და კარიერის არჩევაში დახმარება, ასევე მათი მხარდაჭერა კურსის დასრულების შემდგომ. კურსის მიტოვების რიცხვის შემცირებისკენ მიმართული მცდელობები სასურველია უფრო ინტენსიური გახდეს. დაგეგმილია, რომ სავალდებულო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დახმარება და კარიერის სერვისები ხელმისაწვდომი გახდეს პროფესიული განათლებისა და მომზადების დაწესებულებების ყველა სტუდენტისთვის. პროფესიული განათლებისა და მომზადების სტუდენტთა სასწავლო დახმარებების ახალი სისტემა მომავალში იქნება შემუშავებული და დანერგული.

ახალგაზრდებს შორის პროფესიული განათლება და მომზადება სასურველია, მეტად იყოს პოპულარიზებული. მაგალითად, შეჯიბრი უნარებში, საინფორმაციო კამპანიები და ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის, სოციალური მედიისა და სხვა საშუალებებით.

დანართი 1: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული შრომის ბაზრის კვლევის მთავარი რელევანტური საკითხების მოკლე მიმოხილვა

- ჯამში 63,400 ორგანიზაცია (56,500 კომერციული და 6,900 არაკომერციული).
- იმერეთში არის 7,000 ორგანიზაცია (თბილისის შემდეგ მეორე ადგილზე) და 78,300 ათასი თანამშრომელი (თბილისისა და აჭარის შემდეგ მესამე ადგილზე).
- დასაქმების მიხედვით, დაახლოებით 900,000 დასაქმებულია.
- სოფლის მეურნეობაში (საქართველოს მასშტაბით) 960 ორგანიზაცია და თითქმის 22,000 დასაქმებულია.
 - o ბოლო 12 თვის მანძილზე, 1,341 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა ამ სექტორში და 808 სამუშაო ადგილი დაიხურა, რამაც გამოიწვია წლიური ზრდა 533 სამუშაო ადგილით.
- დასაქმებულისთვის სავალდებულო მინიმალური განათლება:
 - o 50% - უმაღლესი განათლება
 - o 32% - საშუალო განათლება
 - o 15% - პროფესიული განათლება
- დასაქმებულების რეალური საგანმანათლებლო პროფილი
 - o საშუალო – 290,000
 - o პროფესიული – 133,000
 - o უმაღლესი – 451,000
 - o DK – 34,000
- სპეციალური სამუშაო ადგილები იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც პროფესიული განათლება აქვთ (ექთნები ლიდერობენ) მოცემულია ათასებში:

ექთნები	10.8
ბუღალტრები	5.6
ბალის მასწავლებლები	5.5
მუსიკის მასწავლებლები	5.0
დირექტორები და მენეჯერები	4.0
დანადგარების მემანქანეები	3.6
სატვირთოს მძღოლები	3.5
ფარმაცევტები	2.9
პროცესის კონტროლის ტექნიკოსი	2.8
მოლარე	2.6

- საჭირო კვალიფიკაცია და უნარები დამსაქმებლებისთვის მთავარი პრობლემაა.
- იმერეთის ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები:
 - o დამლაგებლები
 - o დაცვა/შენობის მეთვალყურე

- ხელოვნებასთან დაკავშირებული სპეციალობები
 - ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები
 - ზოგადი პროფესიული მიმართულების სპეციალისტები
- როგორ პოულობენ დამსაქმებლები დასაქმებულებს: ძირითადად არაფორმალური კონტაქტებით და უფრო იშვიათად ინტერნეტის საშუალებით.

დანართი 2: ინტერვიუების და ფოკუს-ჯგუფების სია

აგრო-ბიზნესები

#	რესპოდენტი	პოზიცია	ორგანიზაცია	მუნიციპალიტეტი	სასოფლო აქტივობა	ინტერვიუს თარიღი
1	აკაკი ბელთაძე	დირექტორი	შპსლიგო	ვანი	თხილი	11-12-15
2	ალუ გამახარია	დირექტორი	შპსტერნალი&შპსტერნალი+	ქუთაისი	ჩაი	10-12-15
3	ანდრეა ღვინჯილია	დირექტორი	შპსათინათი	ქუთაისი	რძისპროდუქტები	10-12-15
4	ბექა ჩიხლაძე	დირექტორი	შპსოპაზი	ხონი	შინაურიფრინველეები	3-12-15
5	ბესარიონ ლელაძე	კოოპერატივის წევრი	შპსხორცკომბინატი	ხესტაფონი	შინაურიპირუტყვი	22-2-16
6	დათო ჩაპრავა	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმე დათო ჩაპრავა	ქუთაისი	თხილი	10-12-15
7	დავით ჩხეიძე	დირექტორის მოადგილე	შპსიმერეთი სათბურის	სამტრედია	სათბური	24-11-15
8	დავით კიკნაველიძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმედავით კიკნაველიძე	ბაღდათი	მეფუტკრეობა	3-12-15
9	გიგა ჩხოზაძე; დავით ჭუბაბრია	დირექტორი; მთავარი ბუღალტერი	შპსდამატებითი ხორცი	ქუთაისი	ხორცისგადამუშავება	24-12-15
10	გიორგი კეზევაძე	დირექტორი	შპსმუხრანი 2007	თერჯოლა	შინაურიფრინველეები	17-12-15
11	გურამ კუტალაძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმეგურამ კუტალაძე	სამტრედია	მეთევზეობა	10-12-15
12	იური ჩხეკელი	დირექტორი	შპსჩაი +	ხონი	ჩაი	3-12-15
13	იზა კომლაძე	დირექტორი	შპსალვა	საჩხერე	ფერმერთა მომსახურების ცენტრი	25-12-15
14	ჯემალ ბიგვავა	დირექტორი	შპსჯემალ ბიგვავა	ქუთაისი	ხილისგადამუშავება	23-12-15
15	კახაბერ მანჯავიძე	დირექტორი	შპსაგრო ეკო	თერჯოლა	რძისპროდუქტები	25-12-15
16	ქეთევან ახმელიძე	დირექტორი	შპსგურმანი	ქუთაისი	შინაურიპირუტყვი; ხორცისგადამუშავება	10-12-15
17	კოტე ნაცვლიშვილი	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმეკოტე ნაცვლიშვილი	სამტრედია	მეთევზეობა; ფერმერთა მომსახურების ცენტრი	17-12-15
18	ლამარა ჩიხელიძე	დირექტორი	შპსნექტარი	ჭიათურა	მეფუტკრეობა	25-12-15
19	ლევან გოქსაძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმელევან გოქსაძე	ჭიათურა	მეთევზეობა	25-12-15
20	მაია ბერაძე	დირექტორი	შპსგობრა-98	ქუთაისი	შინაურიფრინველეები	18-11-15
21	მალხაზ შენგელია	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმემა	ვანი	შინაურიპირუტყვი	16-12-15

			ლხაზ შენგელია		ყვი	
22	მამუკა კუბლაშვილი	პარტნიორი	ნიკორა 2015	ქუთაისი	შინაურიპირუტ ყვი	1-12-15
23	მამუკა წიქორიძე	დირექტორი	შსსგეგუთი 2005	წყალტუბო	სათბური	3-12-15
24	მიხეილ ბარბაქაძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმემიძ ეილ ბარბაქაძე	საჩხერე	კარტოფილის მოყვანა	25-12-15
25	მიხეილ კუჭავა	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმემიძ ეილ კუჭავა	ხონი	სათბური; შინაურიპირუტ ყვი; მეთევზეობა	17-12-15
26	ნიკოლოზ თევზაძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმენიკოლოზ კუჭავა	სამტრედია	სიმინდი	17-12-15
27	რაინდი კვენეტაძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმერაინდი კვენეტაძე	ბაღდათი	შინაურიპირუტ ყვი; რძისპროდუქტები; სათბური	11-12-15
28	რამაზ ცქიფურიშვილი	დირექტორი	შსსთერჯოლაფერმერთა სახლი	თერჯოლა	ფერმერთა მომსახურების ცენტრი	16-12-15
29	რევაზ კანდელაკი	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმერევაზ კანდელაკი	ქუთაისი	შინაურიფრინველები	12-12-15
30	რომან გორგოძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმეგორგოძე რომან	ბაღდათი	სათბური	4-12-15
31	სერგო ჩიტაძე	დირექტორი	შსსქართული მცენარეები	წყალტუბო	სათბური	3-12-15
32	შაქრო ჯულიხაძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმეშაქრო ნანული	ბაღდათი	შინაურიფრინველები	4-12-15
33	შალვა იოსელიანი	დირექტორი	შსსფუტკარი	სამტრედია	მეფუტკრეობა	25-12-15
34	შალვა კაპანაძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმეშალვა კაპანაძე	თერჯოლა	მეღვინეობა, მევენახეობა	24-12-15
35	სულხან მეტრეველი	დირექტორი	შსსედენა	თერჯოლა	საკონსერვო ქარხანა	18-12-15
36	თამარ თევდორაძე	ბუღალტერი	შსსვესტ ბატონი	ქუთაისი	აგროლოჯისტიკა	23-12-15
37	ტარიელ სვანიძე	დირექტორი	შსს MGB	ქუთაისი/ სამტრედია	თხილი	18-12-15
38	თემური გიორგაძე	დირექტორი	შსსტრაქტორ-სერვისი	ქუთაისი	სასოფლო ტექნიკა, მანუფაქტურა და მომსახურება	1-12-15
39	ვაჟა ნუცუბიძე	დირექტორის მოადგილე	შსსლიდერი	წყალტუბო	ხორბლის გადამამუშავება	16-12-15
40	ვლადიმერ გეგეშიძე	კერძომეწარმე	ინდ.მეწარმეველადიმერ გეგეშიძე	ბაღდათი	მეფუტკრეობა	3-12-15

სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები

#	რესპოდენტი	პოზიცია	ორგანიზაცია	თარიღი
---	------------	---------	-------------	--------

1	გიული გოგოლი	სექტორული სამუშაო ჯგუფის წევრი; მუშაობს ფერმერთა და მეცხოველეთა პროფესიული სტანდარტების განვითარებაზე; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი.	სექტორული სამუშაო კბუფი	22-1-16
2	გულადი ლომინაშვილი	სასოფლო სექტორული საკონსულტაციო წევრი; საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტი	სასოფლო სექტორული საკონსულტაციო	25-1-15
3	ილია მჭედლიძე	სექტორული სამუშაო ჯგუფის წევრი; მუშაობს მემცენარის, მევენახის, მეზოსტნის და ფერმერის პროფესიული სტანდარტების განვითარებაზე; AgriExportGeorgia-ს დირექტორი	სექტორული სამუშაო კბუფი	22-1-16
4	ნიკოლოზ ზაზაშვილი	სასოფლო სექტორული საკონსულტაციო წევრი; სოფლის მეურნეობის განვითარების ჯგუფის დირექტორი	სასოფლო სექტორული საკონსულტაციო	26-1-15
5	ოლივერ დიზი; მაგდა გურგენიძე	დაქვემდებარებული ჯგუფის ლიდერი & ეხპერტი პროფესიული განათლების პოლიტიკის საკითხებში; პროფესიული განათლების პროექტის ასისტენტი	IBF	15-1-16
6	რუდიგერ ჰენინგი	საერთაშორისო პროექტების მენეჯერი	UNDP	30-11-15
7	თეა სიფრაშვილი	პროფესიული განათლების კვალიფიკაციების მხარდაჭერი პროგრამის კონსულტანტი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	23-12-15

პროფესიული განათლების მომწოდებლები

#	სახელი	პოზიცია	ინსტიტუტი	მდებარეობა	თარიღი
1	ქეთევან კინწურაშვილი	სასოფლო ფაკულტეტის დეკანი	აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	ქუთაისი	2-12-15
2	კობა მანჯგალაძე	დირექტორის მოადგილე	დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯი	სამტრედია	24-12-15
3	მალხაზ ასლამაზაშვილი	დირექტორის მოადგილე	აისი (კაჭრეთი)	საგარეჯო	6-2-16
4	მათე ტაკიძე	დირექტორი	სპექტრი	თბილისი	4-2-16
5	მურთაზ სვანაძე	პროფესიული განათლების პროგრამების კოორდინატორი	აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	ქუთაისი	9-12-15
6	ვატი ჯიქიძე	კარიერული მენეჯერი	საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია	ქუთაისი	4-12-15
7	რუსუდან ჩარტოლანი	დირექტორი	იკარუსი	თბილისი	4-2-16
8	თინათინ ლოსაბერიძე	დირექტორი	საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია	ქუთაისი	1-12-15

ფოკუს-ჯგუფები

#	მდებარეობა	ინსტიტუტი	ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა	თარიღი
1	ქუთაისი	აწსუ	ლექტორები	5	2-12-15
2	ბაღდათი	საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია	ლექტორები	6	2-12-15
3	ბაღდათი	საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია	მეფუტკრეობა	8	9-12-15
4	ქუთაისი	აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	აგრო-ლოჯისტიკის პროგრამის სტუდენტები	18	10-12-15
5	ქუთაისი	აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	ჰიდროტექნიკური პროგრამის სტუდენტები	16	10-12-15
6	ქუთაისი	აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი	აგრო ბიზნეს მენეჯმენტის პროგრამის სტუდენტები	1	16-12-15